გაზეთი ბევრია, „ვერსია" ერთი

# ვერსია

№73 (829) 1 - 2 ივლისი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

# თბილისის ვიცე-მერის სკანდალური ჩვენება



## გამოძიების ექსკლუზიური მასალები

როგორ აკეთებდნენ უგულავას ქვისლი და სააკაშვილის მეგობარი მილიონებს „თბილისის განვითარების ფონდით" და რატომ „ჩაუშვა" დავით ალავიძემ ნაციონალები

გვ. 6

## „მერაბიშვილმა შემოგვითვალა, საქმე „აპასნი" ხალხთან გაქვთო..."

როგორ წაართვა შსს-მ რამდენიმე სამშენებლო ამხანაგობას ქონება „ევორიის" მეშვეობით, რატომ ფიგურირებს საქმეში ზურაბ ხარატიშვილი და რა კავშირი ჰქონდა „ევორის" „ქართუ ბანკის" გაკოტრებასთან

გვ. 8

## შევარდნაძის რეჟიმმა 6 ქართველი ტყვე დახვრიტა?!



გვ. 5

**თემურ ქორქოლიანი:** „ნათლად მახსოვს კადრები, როგორ ხოცავს კვირაია ხელფეხშეკრულ ახალგაზრდებს შევარდნაძის თანდასწრებით!"

# მხოლოდ 40 თეთრი

## დავით ზურაბიშვილი: „მალე ნაციონალობის გზას დავადგებით!"

გვ. 7

## „ოცნებამ" ჯაბა სამუშია „გადააგდო"?!



მამუკა კაციტაძე ხელისუფლებას აფრთხილებს!

გვ. 4

### ლიტო გელოვანი

## კოჰაბიტაცია პენიტენციაში

ის, რაც წლებოდა წინა კვირაში

გვ. 2

## ნაცმოძრაობამ საპრეზიდენტო არჩევნებს შეიძლება, ბოიკოტი გამოუცხადოს?!

ნაციონალური პრაიმერი სერიული დაჭერების აკომპანიმენტით

გვ. 3

## ღია წერილი „ალია ჰოლდინგის" მედიაჯგუფს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისაგან

გვ. 9

## ცემა-ტყეპა თბილისის საკრებულოში

გვ. 12

## რატომ აღარ კითხულობენ ადამიანები წიგნებს

გვ. 13

## მოშიმშილე რეჟისორი ლევან ანჯაფარიძე ეროვნულ კინოცენტრს პროკურატურაში უჩივის?!

„ეროვნული კინოცენტრი კრაზანების ბუდეა, კულტურის სამინისტროს თანამშრომელთა 99-% კი — მამალი ნაციონალი!"

გვ. 13

დიტო გელოვანი

**„რას აკეთებენ მხიარულების გაკვეთილებზე?“ — დაინტერესდა მასწავლებელი. „რაღას არ აკეთებენ, მაგრამ უფრო ხშირად გაკვეთილები ასე იწყება: ბავშვები ფანჯრიდან ხტებიან ეზოში. მერე ისევ შეცვივდებიან სკოლაში წივილ-კივილით და მანამდე დახტიან მერხიდან მერხზე, სანამ ძალ-ღონე მთლიანად არ გამოეცლებათ და არ დაცვივდებიან“. „მერე, რას ეუბნებათ მასწავლებელი?“ — ისევ დაინტერესდა ფრეკენი. „არაფერს! ისიც ბავშვებთან ერთად დახტის, მაგრამ უარესად. როცა ბავშვებს ხტუნაობის თავი აღარ აქვთ, ჩხუბს იწყებენ, მასწავლებელიც იქვე დგას და აქეზებს, დასცხეთ მაგრადო. წვიმიან ამინდში ბავშვები იხდიან ტანსაცმელს, ეზოში გამორბიან და ცეკვავენ, მასწავლებელი კი, ზის როიალთან და საცეკვაოს უკრავს...“**

***(ასტრიდ ლინდგრენი, „პეპი გრძელიწინდა“)***

# კოჰაბიტაცია პენიტენციაში




არა, რა... ძალიან დატვირთული კვირა იყო, ასეთები ჩვენშიც კი იშვიათია — რასმუსენი ჩამოვიდა; ივანიშვილმა — ოქტომბერში წავალო, ვანო მერაბიშვილმა ბოდიში მოიხადა; ფეხბურთის ფედერაციის შენობას ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლეს; დროების მედროვემ „იმედის“ საქმის გამოძიების დაჩქარების სურვილი გამოთქვა; მერიის თანამშრომლები ჯერ დაიჭირეს, შემდეგ გამოუშვეს, შემდეგ იქორწინეს თუ რა ვიცი და ბოლოს ისევ გამოუშვეს; გაირკვა, რომ ნაციონალური მოძრაობის საპრეზიდენტო პრაიმერში მონაწილეობას ქლიბი, რიჟა და კუბდარი მიიღებენ; მამუკა ახვლედიანს თბილისი დაათვალიერებინეს და ალბათ ის ადგილიც აჩვენეს, სადაც ტოლმის ფესტივალი ჩატარდა; როლანდ ახალაიას ხელფასი დაუქვითეს, ხოლო მიხეილ სააკაშვილს გული აერია...

წესით, სჯობს თანმიმდევრობით მივყვეთ და იმასაც მოგახსენებთ, რატომ და რაზე აერია გული სააკაშვილს, თუმცა ახლავე გეტყვით, რომ მისი ამ სიტყვების შემდეგ — „ყველაფერს გავაკეთებ, რომ პრეზიდენტობიდან ჩემი წასვლის შემდეგ პოლიტიკაში ვიყო“, — გული აერია ყველას, მგონი, თვით სერგო რატიანსა და გოკა გაბაშვილსაც კი, რადგან ერთმა თქვა „პოლიტიკური პასუხისმგებლობა ეკისრება ნაციონალურ მოძრაობას საზოგადოების და დაზარალებულების მიმართ. პასუხისმგებლობა გვაქვს, რომ ეფექტური გამოძიება ჩატარდეს“-ო და მხარი მეორემაც აუბა — წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შემთხვევებზე წინა ხელისუფლების წარმომადგენლები პასუხისმგებლობას ვერ აიცილებენო და, დანაშაულში მონაწილე ყველა ადამიანის გამოვლენა და კანონის სრული სიმკაცრით დასჯა მოითხოვა, „მიუხედავად მათი თანამდებობებისა, სახელისა და გვარისა“.

საგულისხმოა, რომ ერთმაც და მეორემაც საპარლამენტო კომისიის შექმნა მოითხოვა და რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც ბათუმში ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდა, ერთი კი გავიფიქრე, რატომ არ ტარდება ყორნის გათეთრების მცდელობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო კონფერენცია?„ამ ტიპის დანაშაულების მიმართ საზოგადოებაში შეუწყნარებლობა არ იქნება. ჩვენ გვინდა, ჩატარდეს ეფექტური გამოძიება. უნდა შეიქმნას საგამოძიებო კომისია“, — ეს მგზნებარე სიტყვები ისტორიაში პავლე კუბლაშვილის სახელით შევა, რადგან პავლე კუბლაშვილმა თქვა.

ვააა, ესენი ვინა ყოფილან, კაცოუუ! აქამდე სად იყავით, თქვე ჩემის კომპოზიტორებო? ამქვეყნიურები თუ არ ხართ, ის მაინც გვითხარით, რომელქვეყნიურები ხართ!

ამქვეყნიურები არ არიან. რომელი ენჯეოშნიკი გინახავთ ამქვეყნიური? მოიკითხავ რომელიმეს და აღმოჩნდება, რომ ტრენინგზე იმყოფება ვაშინგტონში, მოიკითხავ მეორეს და გეტყვიან, რომ კონფერენციაზეა ბრიუსელში, მოიკითხავ მესამეს და აღმოჩნდება, რომ რამდენიმე საათის წინ, ბერლინში კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა, რამდენიმე საათის შემდეგ კი მიფრინავს ჟენევაში, სადაც მას შეუერთდებიან ვენეციის სიმპოზიუმის მონაწილე მეოთხე, მეხუთე და მეექვსე. რაც შეეხება მეშვიდეს, საქართველოში არც ის იმყოფება — კუთვნილ შვებულებას იბიცაზე ატარებს. და, საერთოდ, არავითარი ვაშინგტონი, ბერლინი და ვენეცია — მაგათი ცხოვრება იბიცაზე გადის და პასუხი კითხვაზე (რომელქვეყნიურები არიან?) მიღებულია. მათი მთავარი დღესასწაული (ფრანგებისთვის ბასტილიის აღების დღე, ინგლისელებისთვის — დედოფლის დაბადების დღე...) არის იბიცობა.

ამ თემასაც დავუბრუნდები, მაგრამ ახლა იმას უნდა მივუბრუნდე, გასული კვირის მთავარი მოვლენების მხოლოდ ერთი ნაწილი რომ ჩამოვთვალე, მეორე ნაწილი კი მრავალწერტილში რომ ჩავტიე.

გასული კვირის მთავარ მოვლენად, ყოველ შემთხვევაში — ჩემთვის მაინც, კობა დავითაშვილის განცხადება იქცა. ლამის ყველამ იცის ამ პიროვნებისადმი ჩემი უარყოფითი დამოკიდებულების შესახებ, მაგრამ, როცა კაცი მართალს ამბობს და საღ აზრს გამოთქვამს, არ უნდა დაუკარგო და არც დავუკარგავ. დავუკარგავ კი არა, სიტყვა-სიტყვით და ზუსტად გავიხსენებ იმას, რაც მან თქვა:

„საქართველოში არსებობს მოზარდთა მავნე ზეგავლენისგან დაცვის შესახებ კანონი, რომელიც ფორმალურად არსებობდა წლების განმავლობაში. ვინაიდან რეალურად არ არსებობდა ამოქმედების მექანიზმები, ჩემი აზრით, აუცილებელია, ამ კანონის ამოქმედება. მე მოვამზადე ცვლილებათა პაკეტი, რომელიც გულისხმობს ახალგაზრდების დაცვას მავნე ზეგავლენისგან, კერძოდ, ეს ეხება სერიოზულ შეზღუდვებს იმ ტიპის პროდუქციის დემონსტრირებისა, რომლებიც ახდენენ წახალისებას და პროპაგანდირებას ძალადობის, ჰომოსექსუალური, ბისექსუალური და პოლიგამიური კავშირების. გარკვეულწილად, მე ავიღე ლიტვის კანონმდებლობა, რომელიც ლიდერია ამ სფეროში. ბევრმა ქვეყანამ გადაიღო ლიტვის კანონმდებლობა და ჩვენ არ უნდა ვიყოთ გამონაკლისები, სერიოზულად უნდა შეიზღუდოს ასეთი პროდუქციის გავრცელება, როგორც ტელეეთერით, ასევე სხვა საშუალებებით. მე მიმაჩნია, რომ იმ უწყინარ სერიალებში, რომელიც ჩვენი ახალგაზრდობის ძირითადი სულიერი საზრდოა, ჩვეულებრივად მიდის წარმოჩენა იმისა, რომ ოჯახის წევრებს შორის ყველაფერი „მოსულა“, ყველაფერი დაშვებული და ნებადართულია. ბავშვები ამ ყველაფერს ისრუტავენ, ეს არ არის სასაცილო თემა, ეს არ არის საქილიკო თემა. არ მინდა, საქართველო იყოს ბრაზილია, იმ ქვეყანას თავისი კულტურა აქვს, საქართველოს კი — თავისი“.

ეს რომ წავიკითხე, ღამის ორი საათი იყო. მეზობლები ჩემმა მქუხარე ტაშმა გააღვიძა, ხოლო შემდეგ მეზობელ კორპუსებშიც გაეღვიძათ, რადგან, ერთი ძველებური გამოთქმისა არ იყოს, მქუხარე ტაში ოვაციებში გადაიზარდა.

გავა დრო და დიღმის მასივის მესამე კვარტლის მეჩვიდმეტე კორპუსზე აუცილებლად გამოაკრავენ მემორიალურ დაფას წარწერით: „ამ კორპუსში 2013 წლის 25 ივნისის, 2 საათსა და 35 წუთზე, სამი საათის განმავლობაში ტაშს უკრავდნენ კობა დავითაშვილს“.

რა ვქნა? თქვას კობამ და გვერდით დავუდგები, ხალხსაც მოვიყვან და თუ იმასაც მივაღწევთ, რომ სერიალებისგან გამოთავისუფლებული დრო „პინკ ფლოიდით“ და „ლედ ზეპელინით“ შეივსება... წავედი ოცნებებში...

გასულ კვირაში სერიალებთან დაკავშირებული ერთი სასაცილო ამბავი გადამხდა. მოკლედ, თანამშრომელს კომპიუტერის მონიტორზე რამდენიმე კვირის განმავლობაში ვიღაც ყმაწვილის სურათი ჰქონდა გამოტანილი (ახლაც აქვს), მისი დის შვილი მეგონა, სინამდვილეში კი, ის უდღეური სავაში აღმოჩნდა.

მიდი, კობა, ჯერ მავნე სერიალები ავკრძალოთ და რომ მოვძლიერდებით, ე.წ. სამოქალაქო საზოგადოებასაც შევუტიოთ. აი, სტაჟიანი გულშემატკივარი კი არა და... მოკლედ, ვინც 40 წელს გადააბიჯა, ყველას ეხსომება „ვამბობთ ლენინს და ვგულისხმობთ პარტიას“. ეს იმასთან დაკავშირებით გამახსენდა, რომ — ვამბობთ არასამთავრობო ორგანიზაციებს და ვგულისხმობთ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“.

აბა, სხვას რას იფიქრებს არასამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი წესიერი კაცი, როდესაც გაიგებს, რომ სამეგრელოში ნაპოვნი ამაზრზენი კადრების ჩვენებით ერთნაირად არიან აღშფოთებულები კახა კოჟორიძის საია და მიხეილ სააკაშვილის ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ეკა გიგაურის „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ (სხვებთან შედარებით, ყველაზე საქმიანი ორგანიზაცია) და გიგა ნასარიძის „საქართველო არ იყიდება“.

ასევე, მერიის მაღალჩინოსნების დაკავებასთან დაკავშირებით, ერთნაირი პოზიცია გააჩნიათ ენჯეოშნიკ გიორგი მშვენიერაძეს („დემოკრატიული ინიციატივა“) და იგულავა უგულავას.

ძალიან კარგად მესმის, რომ ყველაფერს თავისი სამართლებრივი წესი გააჩნია — დაკავებას, ჩხრეკას და ა.შ. მაგრამ უგულავას კაბინეტში კოჰაბიტაციაში მყოფ არასამთავრობოებს მაინც ვურჩევ — თქვენი ჭკვიანური განცხადებები და სამართლიანი (თუ ასეთი ოდესმე იქნება) უგულავას კაბინეტიდან მოშორებით გააკეთეთ. ეს ყველაფერი მტერთან თანამშრომლობის გარეშეც შეიძლება.

მხოლოდ რამდენიმე სტრიქონი: „... როგორც მის ჩვენებაშია ნათქვამი, 2012 წლის ივნისში, მას დაუკავშირდა დავით ალავიძე და უთხრა, რომ „თბილისის განვითარების ფონდის“ დირექტორს, გიორგი საბანაძეს სურდა „ლიბერთი ბანკში“ „თბილისის განვითარების ფონდის“ მიერ გახსნილი საბანკო ანგარიშიდან თანხის განაღდება სალაროს მეშვეობით. შესაბამისად, 2012 წლის 16 ივნისს, მან მოახდინა 10 000 000 ლარის განაღდება და ამ დროს მას ახლდა დავით ალავიძე. 2012 წლის 11 ივლისს კი საბანაძემ უკვე 3 800 000 ლარი გაიტანა. 2012 წლის 6 აგვისტოს, 4 000 000 ლარი და ა.შ...

აქ ისეთი რამეებია, წესით, ნაკლებად საინტერესო უნდა იყოს, პროკურატურის თანამშრომლებმა გიორგი საბანაძეს წითელი ხალიჩა დაუგეს და ისე წაიყვანეს თუ პანღური ამოარტყეს და ისე.

მე შენ გეტყვი და, არ იმსახურებს პანღურს თუ რა?!

„ყველა ადამიანი, რომელიც ავიწროებს სხვა ადამიანებს, ჩემთვის არის ძალიან დიდი პრობლემა და მტერი საზოგადოებრივი წესრიგის და ყველა იმ პრინციპის, რომელსაც მე ვემხრობი, მაგრამ ამას სჭირდება ობიექტური და სამართლებრივი პროცესი. მე ამ პროცესის გამჭვირვალობის მომხრე ვარ, მთელი ცხოვრება ამას ვებრძოდი და შევებრძოლები მომავალშიც“, — აღნიშნა მიხეილ ლონგმა, გიულის (აბდულა გიულის?) ბიჭმა და თემურის (ლენგის) დის შვილმა.

ისე, რა ოხერი რამ არის ქართული ნაცვალსახელი — ეს, იმის, ამის, ამას, იმას, ისეთი, ასეთი, იმნაირი, ამნაირი...

მთელი ცხოვრება ამას ვებრძოდიო... შინაომები ქონია. კაცი იმას რომ იტყვის — „გაზაფხული მოიტყვანაო“, ის კაცი კი არ არის, ის არის ეს და ამასთან აქვს საქმე.

„სააკაშვილი იყო პასუხისმგებელი პირი, ის თავად იღებდა გადაწყვეტილებებს. არ მინდა, რომ ის დააპატიმრონ, თუმცა გამორიცხული არაფერია. არსებობს პროკურატურა, სასამართლო და კანონი ყველასათვის ერთია. მე არ ვაპირებ მასთან მოლაპარაკებების წარმოებას“, — განაცხადა გასულ კვირაში ბიძინა ივანიშვილმა.

ყველაფერი კარგი იყო, მაგრამ რას ქვია „არ მინდა, რომ ის დააპატიმრონ“?! ბავშვობაში არც მე მინდოდა „ბორჯომიანი“ რძე, მაგრამ რა უნდა მექნა, როცა ჯანმრთელობა მსხვერპლს ითხოვდა? თან, სწორედ ახლა არის დრო — „ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლთან ადგილობრივი საკითხებისადმი პრაგმატულ მიდგომას მიესალმება“ და „ალიანსს სოფელ დიცში მავთულხლართების გაბმის საკითხი აღელვებს“.

მოკლედ, სანამ ნატო აღელვებულია და სანამ ევროკავშირი მისალმებას დაამთავრებს, ერთი წკაპანაცია და, კოჰაბიტაცია პენიტენციაში.

„ვიიიშ“ — ბებიაჩემი იტყოდა ხოლმე და აუცილებლად დასძენდა: „ვაისაყვარელო“.

„პირადად მე, მართლა მაქვს დიდი სურვილი, ჩატარდეს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები, რადგან დღევანდელი პარლამენტი ვერ ასახავს საზოგადოების განწყობას პოლიტიკური პარტიების მიმართ. „ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც ასე ფართოდაა წარმოდგენილი პარლამენტში, ნამდვილად არ იმსახურებს ამას, თუმცა, მიუხედავად სურვილისა, მე ვიქნები წინააღმდეგი, რომ ჩატარდეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, რადგან ჩვენ უნდა მივეჩვიოთ ვადებში მოქცევას, კანონის დაცვას, კონსტიტუციის პატივისცემას, ამიტომ, გვინდა თუ არა, ეს პარლამენტი თავის ვადებში დაამთავრებს“, — დავით საგანელიძის ეს სიტყვები ბიძინა ივანიშვილის იმ სიტყვების პონტში გადის და სწორედ ამაზეა ნათქვამი, ნუ მიაცვ-მააცვამო.

25 წლის წინ კონსტიტუციაში ისიც გვეწერა (მგონი, მეექვსე მუხლი იყო, ჰმ...), კომუნისტური პარტიასაზოგადოების წარმმართველი ძალააო და ახლა რა ვქნა — ეროვნულ მოძრაობაში მონაწილეობა ვინანო თუ კომკავშირული კრისების თავ-პირის-ლეწვა?

აი, ეს კი არ უნდა მეთქვა. რას იტყვის კოჟორიძე? რას და — დაგმობს ძალადობას და პოლიტკორექტულობისკენ მომიწოდებს.

მარკ ტვენის სიტყვებს გაგახსენებთ: „რა არის შეერთებული შტატების სენატორი? სენატორი არის ადამიანი, რომელიც, დროის სწორედ იმ მონაკვეთში, როცა ციხეში უნდა იჯდეს, ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქში ზის და სახელმწიფოებრივ კანონებს წერს“.

სორი... თქვენთვის არ შემიხსენებია, ტკბილებო და მურაბებო, ივანიშვილს და საგანელიძეს შევახსენე და იმასაც შევახსენებ, რომ საზოგადოების განწყობა პარლამენტში ნაცების ყოფნას სრულად გამორიცხავს და არც „ოცნებაში“ შეხვეტილი ნაგვის მიმართ არის დადებითი.

მაგარი ნიუსი: „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობის” სარჩელს განიხილავს. „იდენტობა“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების იმ ნაწილის გაუქმებას ითხოვს, რომელითაც არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე პირებს სისხლის დონაცია ეკრძალებათ. როგორც ორგანიზაციის იურისტმა ლევან ასათიანმა ბათუმში, საკონსტიტუციო სასამართლოში ჟურნალისტებს განუმარტა, სისხლის უსაფრთხოების დაცვა უნდა იყოს ინდივიდუალიზირებული, უნდა შეეხებოდეს კონკრეტული სქესობრივი ქცევის მქონე პირებს და არა ზოგადად ორიენტაციას. „მოსარჩელეები დღეს ითხოვენ, რომ სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ორი ბრძანება.

*დასასრული მე-3 გვერდზე*

# ნაცმოძრაობამ საპრეზიდენტო არჩევნებს შეიძლება, ბოიკოტი გამოუცხადოს?!

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**რამდენიმე ღამისთევის შემდეგ, ნაციონალებმა საპრეზიდენტო არჩევნებში ჩაბმის გადაწყვეტილება მიიღეს და პრაიმერში მონაწილე 4 კანდიდატი დაასახელეს: ზურაბ ჯაფარიძის პრეზიდენტობა პავლე კუბლაშვილს, გიორგი მელაძეს, მარიამ საჯაიას, ლევან ბეჟაშვილსა და გოგა ხაჩიძეს სურთ. გიორგი ბარამიძეს რჩეულად გიგი წერეთელი, ხათუნა გოგორიშვილი, ზურაბ ჩილინგარაშვილი, გიორგი თევდორაძე და სერგო რატიანი მიიჩნევენ. დავით ბაქრაძე ქვეყნის მომავალ პრეზიდენტად გიორგი ვაშაძეს, გიორგი ღვინიაშვილს, პაატა ლეჟავას, დავით დარჩიაშვილს, ირმა ნადირაშვილსა და ტარიელ ლონდარიძეს წარმოუდგენიათ. შოთა მალაშხიას კი მხარს აკაკი ბობოხიძის, ზაზა კედელაშვილის, დავით საყვარელიძის, ომარ მეგრელიძისა და ვახტანგ ლემონჯავას ნაციონალური ხუთეული უჭერს.**




ნაციონალური პრაიმერი სერიული დაჭერების აკომპანიმენტით

ნაციონალები პრაიმერის ესტონური მოდელით ჩატარებას გეგმავენ. 30 ივნისს, პრაიმერის ფარგლებში, პირველი კონფერენცია ქუთაისში გაიმართა და მას იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის პარტიული დელეგატები დაესწრნენ. 7 ივლისს მსგავს კონფერენციას გორში ვიხილავთ, სადაც თავს შიდა ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის დელეგატები მოიყრიან. შემდეგი ღონისძიება 14 ივლისს, თელავშია დაგეგმილი, კახეთისა და ქვემო ქართლის პარტიული ორგანიზაციების მონაწილეობით. 20 ივლისს ნაციონალურ პრაიმერს ზუგდიდი უმასპინძლებს. 21 ივლისს — ბათუმი, 28 ივლისს კი — თბილისი. დედაქალაქში გამართულ მეექვსე, გადამწყვეტ ღონისძიებაზე პრაიმერის 4 კანდიდატიდან ერთ გამარჯვებული დასახელდება, რომელიც ყოფილი ხელისუფლების სახელით, საპრეზიდენტო არჩევნებში იბრძოლებს.

პრაიმერის საორგანიზაციო ჯგუფს გიორგი ვაშაძე უხელმძღვანელებს, დებატებს კი ირმა ნადირაშვილი გაუძღვება.

ნაციონალების პრაიმერს სერიოზული პოლიტიკური ძვრები უძღვოდა — ჯერ იყო და, მანანა კობახიძემ მიმართა პარლამენტის სხდომაზე, ჩაიდეთ ჯიბეში სადეპუტატო მანდატები და სახლებში წადითო, მერე, მერიისა და საკრებულოს 23 თანამშრომელი უცერემონიოდ დაკითხეს და აქედან ოთხი იმავე საღამოს დააკავეს. ამის პასუხად, ნაციონალებმა საპარლამენტო ცხოვრებას ბოიკოტი მეათეჯერ გამოუცხადეს და თბილისში გამოიქცნენ.

პირველი სპეციალური ბრიფინგი დაჭერების თემაზე „ძველი ხელისუფლების ახალ სისხლად“ მიჩნეულმა **გიორგი ვაშაძემ** ჩაატარა და „ვერსიის“ რამდენიმე კითხვასაც უპასუხა: **„სამტრედიაში, რუსთავსა და თბილისში მომხდარი ბოლოდროინდელი მოვლენები ცხადყოფს, რომ ნაციონალური მოძრაობის გასანადგურებლად ხელისუფლებამ მისი დევნა დაიწყო. ახლაც ამდენი ადამიანი დაიჭირეს და ახალი მთავრობა კვლავ ხალხისთვის ხელფასების მიცემას გვედავება. ჩვენი ინფორმაციით, არა 23, არამედ გაცილებით მეტი ადამიანის დაკავება იგეგმებოდა — ეჭვი გვაქვს, ეს მასობრივი დაჭერები იმას ემსახურება, გამოძიებამ რამე მტკიცებულება მაინც მოიპოვოს აღძრულ საქმეებზე, თორემ ბოლო პერიოდში, ყველა საქმე თავზე ენგრევათ. ისიც ვნახეთ, როგორც კი რასმუსენის თვითმფრინავი გაფრინდა, ხელისუფლებამ დაპატიმრებები მყისიერად განაახლა. დევნისა და დაკავებების სერიის მიუხედავად, მაინც გადავწყვიტეთ, არ შევცვალოთ პრაიმერის ჩატარების გადაწყვეტილება. რამდენიმე ღამის განმავლობაში, პარტიის შიგნით ურთულესი განხილვები გვქონდა — ვფიქრობდით, მიგვეღო თუ არა მონაწილეობა საპრეზიდენტო არჩევნებში. ვის ინტერესებს ემსახურება მოვლენების ასე რადიკალიზაცია, მომავალში გაირკვევა. ჩვენ კი, ჩვენი მხრივ, სამოქალაქო დაპირისპირების თავიდან აცილებას ყველანაირად შევეცდებით, მიუხედავად იმისა, რომ დღეს იმაზე გაცილებით საგანგაშო ვითარებაა, ვიდრე რომელიმე თქვენგანს წარმოუდგენია“.**

ვაშაძე ნაციონალების „მყისიერ“ საპარლამენტო ბოიკოტსაც ხსნის: **„რა აზრი აქვს კომიტეტის სხდომაზე ჯდომასა და აბსურდული საკითხების განხილვას?! რატომ უნდა ვისხდეთ პარლამენტში, როცა იგი კონტროლის ყოველგვარ ფუნქციასაა მოკლებული?!“**

მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალებმა მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე საკუთარი შესაძლებლობის ზღვარი კარგად იციან და არც წინასწარი გამოკითხვებისას ალებულ 11%-იან რეიტინგს აპროტესტებენ, პარტიის ლიდერებს შორის უცნაური ვერსია მაინც ტრიალებს: ბიძინა ივანიშვილმა მერიისა და საკრებულოს თანამშრომლები იმიტომ დაიჭირა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მეორე ტურის გამართვა თავიდან აეცილებინა.

**„დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, ცალსახად ჩანს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მეორე ტური გარდაუვალია. უკვე ნათელია, პირველ ტურში გამარჯვებული არ გამოვლინდება და სწორედ ამას ვუკავშირებ ხელისუფლების აგრესიას — გადამწყვეტ დარტყმაზე გადავიდა ოპოზიციის წინააღმდეგ. დიახ, სწორედ იმიტომ, რომ მეორე ტური გარდაუვალი იყო, „ოცნებამ“ ვითარების ესკალაცია დაიწყო. თუ გაგვანადგურებენ, შეიძლება, მეორე ტური მართლაც არ იყოს!“** — ამბობს გიორგი ვაშაძე.

**დავით დარჩიაშვილიც**, ვაშაძის მსგავსად, მერიისა და საკრებულოს მაღალჩინოსნების ფინანსურ დანაშაულზე დაპატიმრებას მეორე ტურის შიშით ხსნის: **„ოცნება“ ყველანაირი მეთოდით ცდილობს, დაგვშალოს, დაგვანგრიოს, რაც სურს, სისრულეში ფიზიკური დევნითაც მოიყვანოს. ამ დროს პარლამენტში კანონპროექტებზე მუშაობა აღარ ხერხდება, გარეთ გამოვდივართ და მედიასთან მიგვაქვს ის რეალობა, რაც ქვეყანაშია. მთელი ამ რეკეტის მიუხედავად, მაინც გადავწყვიტეთ, ვცადოთ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. თუ ყველაფერი ზუსტად ისე წავიდა, როგორც ახლა, ფაქტია, არჩევნები თანაბარ პირობებში ვერ ჩატარდება და შესაძლოა, ისევ დადგეს ბოიკოტის საჭიროება. მანანა კობახიძესა და სხვებს, მათი განცხადებებიდან გამომდინარე, უნდათ, ან სახლში წავიდეთ, ან ციხეში ან სადღაც ჯანდაბაში გადავიკარგოთ, თუმცა მათ სიამოვნებას არც ერთი კრიტერიუმით არ მივანიჭებთ! კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ეს დაკავებებიც პრემიერისგან მოდიოდა. ივანიშვილს აშკარად ვერ მოუნელებია, რომ დედაქალაქის ადმინისტრაცია ჯერ კიდევ არ არის მის დაქვემდებარებაში. ამიტომ ყველა მეთოდით ცდილობს, მერიას რამე მოუგონოს, რასაც მერია უძლებდა და გაუძლებს! ზოგადად, ეს მთავრობა უწყობს საბოტაჟს ქვეყნის ინტერესებს და არა — ამ მთავრობას უწყობს საბოტაჟს ვინმე შიგნიდან.**

**ის, რომ ბიძინა ივანიშვილმა თქვა, საპრეზიდენტო არჩევნებზე მეორე ტური არ გაიმართება და მარგველაშვილი პირველივე ტურში გაიმარჯვებსო, ივანიშვილის მხრიდან აღიარებითი ჩვენება იყო, რომ ნაციონალების დევნას პირადად უწევს კოორდინირებას, რათა მეორე ტურის ჩაშლას მიაღწიოს.**

> **ივანიშვილი გაფრთხილდეს: თუ საერთაშორისო საზოგადოება არ იტყვის, რომ 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები სამართლიანი იყო, ბიძინა ივანიშვილი ისეთ საერთაშორისო იზოლაციაში მოექცევა, როგორიც ყველაზე კოშმარულ სიზმარშიც არ უნახავს!“**

---

ის, რაც ხდებოდა წინა კვირაში

# კოჰაბიტაცია პენიტენციაში

*მე-2 გვერდიდან*

კონკრეტულად, ბრძანების კონკრეტული მუხლები, რომელიც სისხლის დონაციას უკრძალავს ჰომოსექსუალებს“.

იცით, რა უნდა ქნა? რაც კი საქართველოში ჰომოსექსუალია, ყველას 200-200 გრამი სისხლი უნდა ჩააბარებინო და მერე „იდენტობას“ და მის ადვოკატს, ლევან ასათიანს უნდა გადაუსხა, მაგრამ ჩააბარებენ ისინი სისხლს? არა მგონია, რადგან მაგათ „იდენტობაც“ კიდიათ და ლევან ასათიანიც. სამართლიანობისთვის, უნდა აღინიშნოს, რომ „იდენტობას“ და ლევან ასათიანსაც მაგრად კიდიათ ჰომოსექსუალები.

გასულ კვირაში მეცნიერებათა აკადემიამ ახალი პრეზიდენტი აირჩია — გიორგი კვესიტაძე. მასზე მხოლოდ ის ვიცი, რაც მახსოვს — მინისტრი იყო და პარლამენტის სხდომებზე კოლბებით და სინჯარებით აღჭურვილი დაიარებოდა. სხვას ვერაფერს მოგახსენებთ, თუმცა ვულოცავ არჩევას და წარმატებებს ვუსურვებ. ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს თემურ ნანეიშვილი. ამ ადამიანზე დაუსრულებლად შემიძლია ვისაუბრო და მისაუბრია კიდეც, ხშირად სასმისით ხელში, როცა კარგი ქართველებისა და ნიჭიერი და წესიერი ადამიანების სადღეგრძელო მითქვამს.

ამ ქვეყანაში კარგი რაღაცებიც ხდება, მაგრამ რა არის იგი ნათელი, რასაცა ახლავს ბნელია? რამდენადაც ვიცი, მომავალ კვირაში მეცნიერებათა აკადემიაში კიდევ ერთხელ შეიკრიბებიან, მეორე ვიცე-პრეზიდენტად როინ მეტრეველს დაასახელებენ და... ახლა გამოჩნდება, ვის როგორ კიდია მეცნიერებაც და აკადემიაც.

მაიცა და, როინ მეტრეველს კაბინეტი, პერსონალური ავტომობილი, პირადი მდივანი და შეღავათები რომ უნდა, ამაში ფული მე უნდა ვიხადო? რაღა დროს როინ მეტრეველია, ხალხო, მეცნიერნო, ძმებო, ჭკუისკოლოფნო... საკუთარ გულებში ჩაიხედეთ!

როინ მეტრეველი და კიდევ ის (რა ოხერი რამაა ქართული ნაცვალსახელი...) — შოთა მალაშხია საქართველოს პრეზიდენტად და რეზო არველაძე — ფეხბურთის ფედერაციის თავკაცად.

მალაშხიაზე რომ ვამბობდი, კვერცხია-მეთქი და რომ არ გჯეროდათ, ვინ ყოფილა მართალი — მე თუ თქვენ. თქვენ, თქვენ ყოფილხართ მართლები, მე კი ვცდებოდი — რას წარმოვიდგენდი, თუ კვერცხი კი არა კვერცხუჯრედი აღმოჩნდებოდა, თან — ერთუჯრედიანი კვერცხუჯრედი.

ჩვენ კიდევ ირანული კვერცხი გვინდოდა, როცა აქ ამდენი კვერცხია? ნახეთ: „ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანს და გენერალურ აუდიტორს ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლება შესაძლოა, სამსახურებრივი უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგაც შეუნარჩუნდეთ. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუკი პარლამენტი უმცირესობის წევრის, პაატა ლეჟავას საკანონმდებლო ინიციატივას გაიზიარებს. ამავე პროექტის ფარგლებში, პაატა ლეჟავა კანონმდებლებს სთავაზობს, რომ სამსახურეობრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლება ეროვნული ბანკის პრეზიდენტსაც მიენიჭოს“. რა უნდა თქვა? არა, მაინც რა კომენტარი უნდა გაუკეთო? ალბათ, მხოლოდ ეს „მიმინოდან“ – „ჰოოო... რეზინის ფერჩატკებით შეიძლება“.

დაბოლოს, ოღონდ ყოველგვარი კომენტარებისა და რეზინის ფერჩატკების გარეშე: „საზოგადოებრივი მონიტორინგის გაძლიერების მიზნით, პრევენციის ეროვნულ მექანიზმში მონაწილე ექსპერტთა სია გაფართოვდა, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ სახალხო დამცველის აპარატიდან აცნობეს. მათი ინფორმაციით, 2013 წლის 19 აპრილს, საქართველოს სახალხო დამცველმა გამოაცხადა კონკურსი ექსპერტების შერჩევის მიზნით. კონკურსში მონაწილეობა მიიღო 206 პირმა. ექსპერტების შესარჩევად შეიქმნა სპეციალური კომისია, რომლის წევრებიც არიან: საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები, პროფესორი მაკა კვაჭაძე, ჟურნალისტი ზვიად ქორიძე, არასამთავრობო ორგანიზაციის „წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრის“ აღმასრულებელი დირექტორი ლელა ცისკარიშვილი და არასამთავრობო ორგანიზაციის „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტის“ აღმასრულებელი დირექტორი ლია მუხაშავრია.

ომბუდსმენის აპარატის ინფორმაციით, კომისიამ შეარჩია 40 ექსპერტი, რომლებიც წარმოადგენენ 20-მდე არასამთავრობო ორგანიზაციას და მედიასაშუალებებს, ასევე, არიან დამოუკიდებელი ექსპერტები. ხოლო 27 ექსპერტი აყვანილია რეზერვში“.

კომენტარი არა, მაგრამ ემოცია-რეაქციის უფლება ხომ მაქვს? ჰოდა — ვახახახახა!

ამდენი ექსპერტი და ენჯეოშნიკი... სრული ბალანსისთვის ამ ჩამონათვალს ერთი, თამარა ჩერგოლეიშვილი აკლია, მაგრამ სად არის თამრო?

**მ.თ.კ. (მოიტაცეს თამარ კაცი) „რა დაგემართათ, ბავშვებო?“ — გაუკვირდა მასწავლებელს. „იცით, რას გეტყვით, ფრეკენ! — გადმოსძახა პეპიმ ხიდან, — რა დროს ტაბულებია ასეთ კარგ ამინდში?“**

***(ასტრიდ ლინდგრენი, „პეპი გრძელიწინდა“)***

# „ოცნებამ“ ჯაბა სამუშია „გადააგდო“?!

ნინო კომახიძე
599-95-33-16

## მამუკა კაციტაძე ხელისუფლებას აფრთხილებს!



**ნატო-ს დელეგაციის თბილისში ვიზიტისას, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ნამდვილი რბოლა მოაწყო და მერიისა და საკრებულოს 30-მდე თანამშრომელი, მათ შორის, მერის მოადგილეები — დავით ალავიძე და დავით ნინიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მამუკა ახვლედიანი და რამდენიმე გამგებელი დააკავა. საკრებულოს წევრ მამუკა კაციტაძესთან ინტერვიუ სწორედ ამ გაურკვეველი დაკავებით დავიწყეთ. „ახლების“ გენერალური მდივანი „ვერსიას“ საარჩევნო კოდექსზე მომუშავე საპარლამენტო ინტერფრაქციული ჯგუფის გეგმების შესახებაც ესაუბრა და განაცხადა, რომ პარტია საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას, ალბათ, არ მიიღებს:**

**— როცა სრულიად ნატო საქართველოში იმყოფება და რასმუსენი რუსთაველზე მოძრაობს, ზუსტად ამ დღეს, საკრებულოსა და მერიის მაღალჩინოსნებს რატომ უნდა გაეკიდო და, რაც ყველაზე მთავარია, ჯერ დაიჭირო, მერე — გამოუშვა და მერე, ისევ დაიჭირო?! ეს ან რაღაც ნოუ-ჰაუა და ამ სიღრმეებს ვერ ვწვდები, ან საქმე სიჩლუნგესთან გვაქვს!**

**— ისე, რასმუსენის ვიზიტს სამეგრელოში ადამიანის წამება-გაუპატიურების კადრების პოვნა უძღოდა. ეს კადრები, ბატონო მამუკა, საკრებულოს წევრებმაც ნახეთ...**

— საკრებულოდან დამირეკეს და მკითხეს, მქონდა თუ არა სურვილი, შსს-ში მივსულიყავი და ეს კადრები მენახა. გულწრფელად გითხრათ, მაზოხიზმი და საშინელებათა ფილმები არ მიყვარს, მაგრამ მარტივმა ცნობისმოყვარეობამ მძლია და კადრების სანახავად წავედი. ვნახე ფიზიკური ძალადობის საშინელი კადრები და 10 წუთის შემდეგ ყურება შევწყვიტე — ძალადობას ორჯერ ნახავ, თუ 22-ჯერ. გასაგებია, რაც არის. ამიტომ, სრულიად ბუნებრივი რეაქცია მქონდა, სჯობს, არ მენახა-მეთქი. მიმაჩნია, ამ კადრების ჩვენებით ნაციონალურ მოძრაობაზე ხალხის შთაბეჭდილება არ შეიცვლება. ასე რომ, „ოცნების“ მხრიდან ნაციონალებთან მიმართებაში ეს აბსოლუტურად უაზრო ანტიპიარია — ვისაც 9 წლის განმავლობაში, ციხის კადრებისა და ბოლო მოვლენების დროს, ნაციონალებზე ცუდი შთაბეჭდილება არ შეექმნა, აზრს ვერც ეს ფარული ჩანაწერები შეუცვლის. ვფიქრობ, ამ კადრების განადგურებაც არ შეიძლება — ისინი მტკიცებულებებად უნდა გამოიყენონ.

**— რაც შეეხება საკრებულოში მიმდინარე პროცესებს, ნაციონალები უმრავლესობას კარგავენ და იმასაც ამბობენ, რომ მალე ზაალ სამადაშვილს საკრებულოს თავმჯდომარეობიდან გადააყენებენ. შეგიძლიათ, ეს ხმები დამიდასტუროთ?**

— ამ წუთას საკრებულოში ბალანსი 24/23-ზეა, თუმცა ნაციონალური უმრავლესობა ძალიან მალე ფორმალურადაც დაიკლებს და უმცირესობაში გადავა. პროცედურული ნაწილი ასეთია: საკრებულოს წევრთა 1/3 საკითხს სხდომამდე 10 დღით ადრე აყენებს და სხდომაზე კონკრეტული პიროვნების მიმართ უნდობლობის გამოცხადების თემა დგება. ეს პიროვნება შეიძლება საკრებულოს თავმჯდომარე, მისი პირველი მოადგილე (მოადგილეები) ან კომისიების თავმჯდომარე იყოს... შემდეგ, საკითხს კენჭი ეყრება... ერთია, არსებული გადააყენო და მეორე — მის ადგილზე ახალი აირჩიო. კი ბატონო, საკრებულოს არანაციონალურ ნაწილს, დიდი ალბათობით, შეუძლია ვიღაცის გადასაყენებლად საკმარისი ხალხი მოაგროვოს, მაგრამ ეს ნაწილი ახალი თავმჯდომარის არჩევისას ერთსულოვანი იქნება თუ არა, რბილად რომ ვთქვათ, ამ საკითხთან დიდ კითხვის ნიშანს დავსვამ. სხვადასხვა დეპუტატით შეკოწიწებულ არანაციონალურ ნაწილში ერთსულოვნება ნამდვილად არაა! ამიტომ ყველას ღიად ვუთხარი და ამას საჯაროდაც ვიტყვი: ნურავის გადაყენებას ნუ დაიწყებენ, ვიდრე ახლის დანიშვნაზე არ შეთანხმდებიან, თორემ ეს სასაცილო იქნება!

**— ანუ „ოცნებამ“ ყოფილი ქრისტიან-დემოკრატი ჯაბა სამუშია, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარეობას დაჰპირდა, „გადააგდო“?**

— ვიცი, რომ იყო საუბარი სამუშიას კანდიდატურაზეც, ასევე განიხილებოდა ყოფილი ნაციონალი ირაკლი შიხიაშვილი და კიდევ რამდენიმე ადამიანი, თუმცა ვადასტურებ, შეთანხმება არც ერთ კანდიდატზე არ არსებობს. „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობას კი მივმართავ: ეს თამაში არ არის და მოუმზადებელ ნაბიჯებს ნუ გადადგამენ!

**— პარლამენტის ინტერფრაქციულ ჯგუფში რა ხდება? კანონი პარტიების დაფინანსების შესახებ, რომლითაც მთელი ოპოზიცია უკმაყოფილოა, უკვე ინიცირებულია, რა იქნება ამ ჯგუფის შემდეგი ნაბიჯი?**

— ასევე ინიცირებულია კიდევ ერთი კანონპროექტი, რომელიც ამომრჩეველთა სიებს ეხება. 2014 წლის ადგილობრივი

### „მემარჯვენეებს“ ამ საპრეზიდენტო არჩევნებში კანდიდატი არ გვეყოლება!“

არჩევნებისთვის სიების ფორმირების პროცესში გაჩნდება ბიომეტრული პარამეტრები, რაც დადებითი მოვლენაა, თუმცა თადარიგის დაჭერაა საჭირო, თორემ შეიძლება, კარგი შედეგი ცუდად შემოგვიტრიალდეს. მომდევნო სამი თემა, რითიც ეს ჯგუფი მუშაობას დაასრულებს, პარტიათა დაფინანსების კანონის ბოლო, შეთანხმებული დეტალები, ადმინისტრაციული რესურსის შეზღუდვის კანონი და წინასაარჩევნო კამპანიის დროს მედიის თემაა. 2-დან 5 ივლისამდე გვაქვს დათქმა, რომ ინტერფრაქციული ჯგუფის ხელმძღვანელი ზაქარია ქუცნაშვილი გადაწყვეტილებებს კოალიციის ლიდერებთან შეათანხმებს და ჩვენთან გამართავს შეხვედრებს. მხოლოდ ამის შემდეგ შევა ინიციატივები პარლამენტში.

**— ისე, მაშინდელი „რვიანის“, რომლის წევრი თქვენც იყავით და ახლანდელი „ოცნების“ გადაწყვეტილებები, სადაც ფაქტობრივად, მთელი „რვიანია“ წარმოდგენილი, ახლოსაა ერთმანეთთან?**

— ჩვენ სამუშაოდ თავიდანვე „რვიანის“ მიერ დადებული დოკუმენტი ავიღეთ, რადგან ჯერ ერთი, ის მართლა კარგი ნამუშევარია და მეორე — „რვიანის“ დიდი ნაწილი დღეს პარლამენტშია და წესით, ბარიერი არ უნდა შექმნან მათ მიერვე შემუშავებული წინადადებების გატანისას. მაგალითად, გავიდა საარჩევნო დავების, საარჩევნო დღის მნიშვნელოვანი პროცედურების საკითხი, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების საკითხი კი, პრაქტიკულად, მთლიანად გაზიარებულია.

**— როცა მინისტრმა თეა წულუკიანმა დევნილებს აიდი-ბარათები უფასოდ გადასცა, ამომრჩეველთა სიებზე საინტერესო განცხადება გააკეთა, საშვილიშვილო საქმე, რასაც სიების რეალური დაზუსტება ჰქვია, ამით დაიწყებაო, ანუ თქვენს მიერ დაზუსტებულ სიებს წყალი შეუდგა?**

— ეს ორი თემა ერთმანეთთან შუაში არაა. ბიომეტრული პარამეტრებით ამომრჩევლის სიის შექმნა და პირადობის მოწმობაში ბიომეტრული სურათის ჩაკვრა სხვადასხვა რამაა. ამ ორი თემის ერთმანეთში არევა არ შეიძლება. ვერ ვიტყვი, რომ წულუკიანს ეს არ ესმის, როგორც ჩანს, ამ თემებს ერთმანეთში ხელოვნურად ურევენ. რა კავშირშია სიები ლტოლვილებისთვის გადასაცემ უფასო ბარათებთან?! უხეშად რომ ვთქვათ, ორჯერადად გამოყოფილი ფული ერთი საქმისთვის იხარჯება. ახლა უნდა დაიწყოს საყოველთაო აღწერა, რომელიც შედეგს 2014 წლის ნოემბერში დადებს და ესეც მესამედ გამოყოფილი ფულია იმავე საქმისთვის. ყველაფერ ამასთან შედარებით, სიების დაზუსტების კომისიის მიერ დახარჯული 5 მილიონი ლარი მოსატანიც არაა. ვფიქრობ, იუსტიციის სამინისტრო სისტემურად ვერ ჩამოყალიბდა, ეს სამი მიმართულება პროდუქტიულად შეერწყა ერთმანეთისთვის. გათიშული მოქმედებები კი, ჩემი აზრით, შედეგს ვერ მოიტანს! 2013 წლის ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები იმ სიით ჩატარდება, რომელიც სიების დაზუსტების კომისიამ ჩემი ხელმძღვანელობით დადო. ეს კი „ოცნების“ მხრიდან იმის აღიარება და დემონსტრირებაა, რომ ჩემს მიერ დადებული სია სანდო და ნორმალურია. მათ მიერ გაკეთებული ყველა განცხადება მხოლოდ კრიტიკა იყო და სხვა არაფერი. ის კი, რაც დღეს ხდება, ალბათ, უფრო არაკვალიფიციურობის ბრალია, ვიდრე — ფულის „მარცხნივ გაშვების“ სურვილი!

**— რასმუსენი და ივანიშვილიც საპრეზიდენტო არჩევნებზე საუბრით დაკავდნენ... თქვენმა პარტიამ თუ მიიღო გადაწყვეტილება — ამ არჩევნებზე რას აპირებს?**

— სააკაშვილისა და მისი მთავრობის წინააღმდეგ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე დაწყებული რეფერენდუმი ახლა, 2013 წლის ოქტომბერში დასრულდება, ამიტომ ამ არჩევნების კონკურენტუნარიანობაზე საუბარიც ზედმეტია. შესაბამისად, „ახლები“ მომავალ პოლიტიკურ ცხოვრებას 2014 წლის ადგილობრივ არჩევნებს უფრო ვუკავშირებთ, თუმცა ეს, ალბათ, ბოლო საყოველთაო საპრეზიდენტო არჩევნები იქნება, რადგან ქვეყნის საპარლამენტო მოდელზე გადასვლის მერე, პრეზიდენტს პარლამენტი აირჩევს. შემიძლია პირდაპირ ვთქვა, რომ „მემარჯვენეებს“ ამ საპრეზიდენტო არჩევნებში ჩვენი კანდიდატი არ გვეყოლება. რაც შეეხება სხვა პარტიებთან ერთად საერთო კანდიდატის შესაძლო შერჩევას, ეს თემა, მაქსიმუმ, ერთ თვეში დაიხურება და შედეგი ის იქნება, რომ ან საერთო, კონკურენტუნარიანი კანდიდატით წარვსდგებით, ან ამ არჩევნებს გამოვტოვებთ!

## ვერსიანიუსი

### ვაჰაგნ ჩახალიანის ძმა დააკავეს



ვაჰაგნ ჩახალიანი მიიჩნევს, რომ მისი ძმის დაკავება „პოლიტიკური მოტივებით განხორციელებული პროვოკაციული მოქმედებაა“. მისივე თქმით, 28 ივნისს, ნინოწმინდის რაიონის სოფელ გონდურაში მომხდარი ინციდენტის დროს სპეცრაზმელებმა მისი ძმა, არმენ ჩახალიანი დააკავეს. **„კანონის წინაშე ყველა თანასწორია, თუმცა ჩემი ძმის დაკავებასთან დაკავშირებული გარემოებები საფუძველს მაძლევს ვამტკიცო, რომ მომხდარი თვალსაჩინო პოლიტიკური მოტივებით განხორციელებული პროვოკატორული ქმედებაა, რომლის ავტორები გახლავთ სააკაშვილ-მერაბიშვილის ნების ყოფილი შემსრულებლები, რომლებიც ჯერაც, გარკვეულწილად, ინარჩუნებენ გავლენას ადგილობრივ ძალოვან სტრუქტურებში“,** — აცხადებს ჩახალიანი.

ნინოწმინდაში ჯგუფური ხულიგნობის ბრალდებით, რემდენიმე პირი, მათ შორის ამნისტიით გათავისუფლებული ვაჰაგან ჩახალიანის ძმა, არმენ ჩახალიანი დააკავეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, ჩახალიანთან ერთად, იგივე ბრალდებით, 3 პირია დაკავებული.

საქმე აღძრულია სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლით. არსებული ინფორმაციით, ნინოწმინდაში ახალგაზრდებს შორის კონფლიქტი ქალის გამო დაიწყო. ვითარება სამართალდამცველებმა მალევე განმუხტეს.

*„ინტერპრესნიუსი“*

### 2012 წელს საქართველოს 4 389 256 ტურისტი ეწვია



2012 წელს საქართველოს 4 389 256 საერთაშორისო მოგზაური ეწვია და ზრდამ 56% შეადგინა. რაც შეეხება მიმდინარე წელს, იანვარი-მაისის პერიოდის მონაცემებით, საქართველოში 1 698 146 უცხოელი იმყოფებოდა (ზრდა — 31%). ჩვენი ვარაუდით, წლის ბოლომდე მათი რიცხვი 5 მილიონს მიაღწევს. საქართველოში საერთაშორისო მოგზაურების დიდი ნაწილი მეზობელი ქვეყნებიდან შემოდის. წელს ვიზიტორების სიმრავლით თურქეთი (616 864), აზერბაიჯანი (355 809), სომხეთი (353 732) და რუსეთი (184 287) გამოირჩეოდნენ. ეს ტენდენცია წლების განმავლობაში ნარჩუნდება და ამ მხრივ, მნიშვნელოვან ცვლილებებს მიმდინარე სეზონზე ველით. რაც შეეხება დანარჩენ ქვეყნებს, აქ მოწინავე პოზიციებს უკრაინა (38 049), ირანი (26 360), ამერიკა (9 044) და გერმანია (8 682) იკავებს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ჩამოსული საერთაშორისო მოგზაურების 57% წარმოადგენს ტურისტს (ვიზიტორი, რომელიც ღამეს ათევს საქართველოში). ვიზიტორების 38% საქართველოში შვებულების, დასვენების ან რეკრეაციის მიზნით ჩამოდის, 20% მეგობრების ან ნათესავების მოსანახულებლად, ხოლო 5% ბიზნესვიზიტორებს განეკუთვნება. ტურისტულ ადგილებს შორის ყველაზე პოლულარული თბილისია (44%) და მას, თითქმის იგივე მაჩვენებლით, მოსდევს ბათუმი (43%).

განსხვავებული ვითარებაა შიდა ვიზიტორების შემთხვევაში, სადაც ტურისტებს (44%) წილობრივად, ერთდღიანი ვიზიტორები (56%) ჭარბობენ. გამგზავრების მიზანს ყველაზე ხშირად მეგობრების ან ნათესავების მონახულება წარმოადგენს (54%), შვებულება, დასვენება და რეკრეაციის წილი 8% , ხოლო ბიზნესვიზიტების წილი მხოლოდ 2%-ია.

*„ჯი-ეიჩ-ენი“*

# შევარდნაძის რეჟიმმა 6 ქართველი ტყვე დახვრიტა?!

რუსუდან შელია
557-100-768

**1993 წლის ნოემბერში, ზუდგიდში, საშინელი ტრაგედია მოხდა — საქართველოს შს იმჟამინდელმა მინისტრმა, შოთა კვირაიამ 6 ქართველი ბიჭი ედუარდ შევარდნაძის თანდასწრებით დახვრიტა. მოგვიანებით, ამ ტრაგედიის ამსახველი ვიდეოკადრები თემურ ჟორჟოლიანმა, დახურულ შეხვედრაზე კოლეგებს აჩვენა და დამნაშავეთა დასჯა მოითხოვა, თუმცა კვირაია არავის დაუსჯია... შევარდნაძის რეჟიმის მიერ ექვსი ქართველი ბიჭის დახვრეტა დღემდე გამოუძიებელია... კონსერვატიულ-მონარქისტული პარტიის ლიდერი, თემურ ჟორჟოლიანი „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ დანაშაულებრივი სისტემის შექმნა 2003 წელს არ დაწყებულა და ამიტომაც, სამართლიანობის აღდგენისთვის, მხოლოდ სააკაშვილის კი არა, შევარდნაძის რეჟიმის გასამართლებაც აუცილებელია:**



**თემურ ჟორჟოლიანი: „ნათლად მახსოვს კადრები, როგორ ხოცავს კვირაია ხელფეხშეკრულ ახალგაზრდებს შევარდნაძის თანდასწრებით!“**

— ნაციონალური მოძრაობა ზედმეტს აკეთებდა, თუმცა ძალიან კარგად იცოდა, რომ გირგვლიანის, რობაქიძის, ვაზაგაშვილისა და სხვა არაერთი უდანაშაულო ახალგაზრდის დახოცვა არ შერჩებოდა — ვანო მერაბიშვილი ციხეშია და მას მალე სააკაშვილსაც მიუსვამენ.

**— ბატონო თემურ, 90-იანი წლების დასაწყისში, კადრები გამოაქვეყნეთ, სადაც კარგად ჩანდა, როგორ ესროდა შინაგან საქმეთა მაშინდელ მინისტრი შოთა კვირაია ახალგაზრდებს, კადრში ედუარდ შევარდნაძეც ჩანდა... ეს დანაშაული დღემდე რატომ არაა გამოძიებული და, საერთოდ, თქვენი აზრით, ექსპრეზიდენტი ხელშეუხებელი რატომ არის?**

— ეს ჩანაწერი სიცოცხლის რისკის ფასად მოვიპოვე და ნათლად მახსოვს კადრები, როგორ ხოცავს კვირაია ხელფეხშეკრულ ახალგაზრდებს შევარდნაძის თანდასწრებით. მაშინ საქმის გამოძიება პრინციპულად მოვითხოვე, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ყურიც არავინ შეიბერტყა და ციხეში გამიშვეს. ზოგადად, სისასტიკის გამოვლინება ყველა ხელისუფლებას ჰქონდა, მაგრამ სააკაშვილი შევარდნაძეზე დიდი მანიაკი აღმოჩნდა — შევარდნაძე საკუთარი ქვეყნის მტერი იყო, მაგრამ სააკაშვილმა მასზე ბევრად მეტი ცოდვა ჩაიდინა, რაც შეუძლებელია ეპატიოს, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს, დამნაშავე სათავიდან ვეძებოთ.

**— მეც ამას გეკითხებით, რატომ არავინ საუბრობს ედუარდ შევარდნაძის დანაშაულზე და რატომ ვიწყებთ ქვეყნის ისტორიას 2003 წლიდან? ისე, სააკაშვილიც ხომ მოქალაქეთა კავშირის პირმშოა?**

— ნაციონალურმა მოძრაობამ ამ საქმის გამოძიება იმ მიზეზით არ დაიწყო, რომ სააკაშვილი და შევარდნაძე გარიგებულები იყვნენ. დარწმუნებული ვარ, დღეს ამაში ეჭვი არავის ეპარება. დიახ, ვინც სააკაშვილის რეჟიმის გასამართლებას ითხოვს, შევარდნაძის გასამართლებაც უნდა მოითხოვოს, რადგან დანაშაულებრივი სისტემის შექმნა 2003 წელს არ დაწყებულა. კახა თარგამაძის დროსაც აწამებდნენ ადამიანებს, შსს-ს ფანჯრებიდან ახალგაზრდებს ყრიდნენ, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მაშინ მამაკაცების მასობრივ გაუპატიურებაზე საუბარი ზედმეტი იყო. ამ მხრივ, მანიაკმა სააკაშვილმა და მერაბიშვილმა სულ სხვა ფენომენი შემოგვთავაზა. სააკაშვილი შეეცადა, ძალაუფლება მოსახლეობაზე ფსიქოლოგიური ზეწოლით განემტკიცებინა, ახლა კი იმის თქმას ბედავს, არაფერი ვიცოდი, ყველაფერს ქვედა რგოლი აკეთებდაო. ვის ატყუებს ან ვინ დაიჯერებს მის ზღაპრებს?

სააკაშვილის ავადმყოფური რეჟიმი საკუთარ თავზე ვიწვნიე. 2006 წელს ერთადერთი ძალა ვიყავით, ვინც სააკაშვილს ებრძოდა და სოროსს ამხელდა. ვამბობდით, რომ სოროსი რელიგიასა და ეროვნულობასთან მებრძოლი მაფიოზია, რომელიც სააკაშვილთან ერთად აკვარახჭინებს ანტიქართულ საქმეებს. ჩვენს თეატრალიზებულ აქციებზე 10-15 ათასი ადამიანი გამოდიოდა და მრავალი ქვეყნის ტელევიზია აშუქებდა, რისიც მხოლოდ მიშას კი არა, ოპოზიციასაც შეეშინდა. 2006 წლის 6 სექტემბერს, პირადად პრეზიდენტის ბრძანებით დამაკავეს, ბრალად კი ხელისუფლების დამხობის მიზნით შეთქმულების მოწყობა და შეიარაღებული ამბოხების მომზადება წამიყენეს. კაცმა, რომელსაც 9 შვილი და 9 შვილიშვილი ჰყავს, სამშობლოს როგორ უნდა უღალატოს, მაგრამ იმის გამო, რომ მიშა არ მინდოდა, სამშობლოს მოღალატედ გამომაცხადეს. სხვათა შორის, სააკაშვილმა შემომითვალა, თუ გინდა გადარჩე, ჩემი ქება დაიწყეო. ეს რომ არ გავაკეთე, შვიდი წელი მომისაჯეს. მანამდე შევარდნაძემ მომისაჯა ოთხი წელი, მაგრამ ერთი წელი და 8 თვე მოვიხადე, შემდეგ კი, „უდო“ შემეხო. სააკაშვილის რეჟიმის გარდა, არც ერთი პატიმრობა ბოლომდე არ მომიხდია, სააკაშვილმა კი „უდოზეც“ უარი მითხრა. 8 თვე მაკლდა შვიდწლიანი სასჯელის მოხდას, მაგრამ ხელისუფლება შეიცვალა და გამოვედი, თუმცა ამ ხელისუფლებისგანაც გულდაწყვეტილი ვარ.

**— რატომ?**

— არა მგონია, ჩანაწერების გამოქვეყნებით კარგ საქმეს აკეთებდეს. ამორალური დანაშაულის პროპაგანდა დაუშვებელია.

**— ამ კადრების რეტროსპექტული ჩვენებით ხელისუფლება რის მიღწევას ცდილობს?**

— ეს ფაქტი ქვეყანაში არასტაბილურობის შექმნის მცდელობას ჰგავს. პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები აუცილებლად უნდა განადგურდეს, რადგან არავის აქვს სხვის პირად საქმეში ქექვის უფლება. ეს არის პირადი საიდუმლო, რომელიც ხელისუფლებას არ ეხება. ფაქტია, რომ ქვეყანაში ბევრი რამ დაულაგებელია და თუნდაც ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებისთვის მსგავსი მეთოდებით პროცესის მომწიფება არასწორად მიმაჩნია...

**— პოლიტპატიმართა სიაში იყავით, მაგრამ იქიდან „გაქრით“. რატომ ამოგიღეს პოლიტპატიმართა სიიდან ადამიანი, რომელიც სამი ხელისუფლების პირად პატიმრად ითვლებოდით?**

— არ ვიცი... საპატიმრო ორი თვით ადრე დავტოვე, ვიდრე პარლამენტი პოლიტპატიმრებს აღიარებდა. ამის გამო პოლიტპატიმართა სიიდან ამომიღეს და სტატუსის გარეშე დავრჩი. წარმოიდგინეთ, წლების განმავლობაში გვდევნიდნენ, რუსეთის აგენტებს გვეძახდნენ და საზოგადოებისგან გასარიყად ჩვენზე დოკუმენტურ ფილმებს იღებდნენ... თუ ორ ოქტომბრამდე პოლიტპატიმრად გვაღიარებდნენ, შემდეგ რა შეიცვალა? პოლიტპატიმრის სტატუსი არაფერს მმატებს, რადგან საერთაშორისო ორგანიზაციებმა სამჯერ მაღიარეს პოლიტპატიმრად, მაგრამ მეგონა, „ქართული ოცნების“ გამარჯვებისა და ჩვენი ციხიდან გათავისუფლების მერე, სხვა პრიორიტეტები იქნებოდა, მაგრამ სამგზის პოლიტპატიმარს ისევ სიმართლის ძებნა მიწევს. გულგატეხილი ვარ. მიმაჩნია, რომ სამართლიანობის აღდგენა სწორედ 90-იანი წლების დასაწყისიდან უნდა დაიწყოს.

სხვათა შორის, 1995 წელს, გამომცემლობა „ცოდნაში“ დანა-სისხლად გადამტერებული ზვიადისტებისა და შევარდნაძის მომხრეების შერიგება ვცადე.

**— არ გინდათ, დღესაც იგივე გაიმეოროთ და ნაციონალური მოძრაობის ჯანსაღი ნაწილი და მმართველი გუნდი შეარიგოთ?**

**— დამისახელეთ, ვინაა ნაციონალურ მოძრაობაში ჯანსაღი ძალა — ჩიორა თაქთაქიშვილი, გიორგი ვაშაძე, გიგი წერეთელი თუ ნუგზარ წიკლაური? ნაციონალურ მოძრაობაში ყოფნა თავიდანვე დანაშაული იყო და დღესაც, ვინც ამ პოლიტიკურ ორგანიზაციაში ერთიანდება, სასტიკ დამნაშავედ მიმაჩნია. ორი საუკუნეა, საქართველოში ვითარება რეალურად არ იცვლება, გუშინ შევარდნაძე გვმოძღვრავდა ტრიბუნებიდან, მერე მიშამ „გააცურა“ ხალხი, დღეს ბიძინა გვაჯერებს თავის სიმართლეში, ხვალ, ალბათ, ვიღაც ბონდოც გამოჩნდება და საზოგადოებაში რეიტინგის ამაღლებაზე იზრუნებს. ხელისუფლების ცვლილებების მიუხედავად, ქართველები მაინც ერთ წრეზე ვტრიალებთ. იცით, ესეც ჩაივლის, ქვეყანა ამ ჭირსაც მოიცილებს თავიდან, მაგრამ საქართველოს არაფერი ეშველება, სანამ მეფე არ გვეყოლება.**

**— და რატომ გგონიათ, რომ მონარქი ქვეყანაში ვითარებას დაალაგებს ან ქართველი ხალხი მეფეს მიიღებს?**

— მომავალი მეფე გრუზინსკის შთამომავალი უნდა იყოს. მიმაჩნია, რომ ბაგრატიონთა გენი აუცილებლად გაამართლებს, რადგან მათ საქართველოსთვის მებრძოლი წინაპრები ჰყავდათ!

**— სამწუხაროდ, საქართველოს ისტორიას ბაგრატიონთა წარმომადგენელი არაერთი წარუმატებელი მეფეც ახსოვს...**

— დიდი ხნის დინასტიაა და მისი უმრავლესობა ქვეყნისათვის სისხლს ღვრიდა. საპარლამენტო მონარქია ქვეყანაში აუცილებლად გაამართლებს, რადგან საქართველოს, პირველ რიგში, ქართველი ერის სახე სჭირდება.

**— ბიძინა ივანიშვილი ერის სახე არ არის?**

— სააკაშვილზე უკეთესი ნამდვილად არის! იქნებ ახლა მაინც ვეღირსოთ ქვეყანას, სადაც მოსამართლეები პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე მიიღებენ გადაწყვეტილებას და უდანაშაულო ადამიანებს ციხეში არ გაგზავნიან. უსამართლობა ჩემს თავზე გამოვცადე და კარგად ვიცი, რაზეც ვსაუბრობ. ჩემს უკან ოჯახი, მეგობრები, ნათესავები იდგნენ, რომლებსაც ხელისუფლების უსამართლობა შეეხოთ. ბოლოს და ბოლოს, ცხრა შვილის მამა ვარ და ციხეში ყოფნისას ისინი უჩემოდ იზრდებოდნენ. სხვათა შორის, მომხრე ვარ, რომ ქართულ პოლიტიკაში ქალები მომრავლდნენ — ქალს კომპრომისზე წასვლა ისე შეუძლია, რომ თავი არ დაიზარალოს. უფრო რბილი და ნაკლებად აგრესიულია. ბოლოს და ბოლოს, ქალები კაცებზე უკეთ გამოიყურებიან...

**— ბატონო თემურ, პოლიტიკაში დაბრუნებას აპირებთ?**

— ბრძოლას აუცილებლად გავაგრძელებ... დიდი ხანი დამჭირდა ადაპტაციისთვის, თუმცა ნელ-ნელა საზოგადოებრივ პროცესებში ჩართვისა და პარტიის აღდგენის სურვილი მიჩნდება. რაღაც ძვრები ამ მიმართულებით უკვე გვაქვს და იმედია, მომავალში ეფექტურად შევძლებ ქვეყნის საკეთილდღეო საქმის კეთებას.

ვერსიანიუსი

## სტამბულში ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის ყოველწლიური სესია გაიხსნა



სტამბულში, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის ყოველწლიურ პლენარულ სესიაზე ეუთო-ს 57 წევრი სახელმწიფოს დელეგაციები უსაფრთხოების, ეკონომიკურ და პოლიტიკურ საკითხებს განიხილავენ.

პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს ორმხრივი შეხვედრები, რომელშიც ქართული დელეგაციის წევრები მონაწილეობენ.

ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეას ვიცე-სპიკერი ზურაბ აბაშიძეც ესწრება. აბაშიძის განმარტებით, შეხვედრები გაიმართება სხვადასხვა რანგის წარმომადგენლებთან. უმრავლესობის წევრის თქმით, ერთ-ერთი მთავარი თემა კონფლიქტის ზონაში ეუთო-ს მისიის საქმიანობის აღდგენა იქნება.

*„ჯი-ეიჩ-ენი“*

# თბილისის ვიცე-მერის სკანდალური ჩვენება

## გამოძიების ექსკლუზიური მასალები — როგორ აკეთებდნენ გიგი უგულავას ქვისლი და სააკაშვილის მეგობარი მილიონებს „თბილისის განვითარების ფონდით" და რატომ „ჩაუშვა" დავით ალავიძემ ნაციონალები



მაია მიშელაძე
593-51-90-12

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ოფიციალური ინფორმაციით, დიდი ოდენობით საბიუჯეტო თანხების მითვისება-გაფლანგვის ფაქტზე, საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები, მათ შორის, თბილისის მერის მოადგილე დავით ალავიძე, თბილისის განვითარების ფონდის თავმჯდომარე დავით ავალიანი, თბილისის შესყიდვების სამსახურის უფროსი ალექსი თაბუაშვილი და მთაწმინდა-კრწანისის გამგებლის მოადგილე დიმიტრი ჩხეიძე დააკავეს. რაც შეეხება „თბილისის განვითარების ფონდის" ყოფილ თავმჯდომარე გიორგი საბანაძეს, მის მიმართ გამოტანილია დადგენილება სისხლის სამართლის პასუხისგებაში ბრალდებულად მიცემის შესახებ. ამჟამად საბანაძე მიმალვაშია...**

### ბრალდების ოფიციალური ნაწილი

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებული ოფიციალური ინფორმაციით, საქმე ეხება „თბილისის განვითარების ფონდს", რომელიც მერიის მიერ ისტორიული და სხვა მნიშვნელოვანი შენობების რეაბილიტაციის მიზნით, 2010 წლის 16 ივლისს დაფუძნდა და რომელიც, ცენტრალურთან ერთად, ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება. გამოძიება დედაქალაქის ბიუჯეტის კუთვნილი 48 930 822 ლარის მითვისება-გაფლანგვის სამ ეპიზოდს სწავლობს — ფონდიდან, სახელფასო პლასტიკური ბარათების საშუალებით, 13 852 497 ლარის გაფლანგვას, ფონდის საბანკო ანგარიშებიდან, ნაღდი ფულის სახით, 34 000 000 ლარის მითვისების ფაქტსა და არამიზნობრივად, ე. წ. ფურშეტებსა და ნაციონალური მოძრაობის პარტიული ღონისძიებების ორგანიზებისთვის დახარჯულ 719 862 ლარს.

რაც შეეხება პირველ ეპიზოდს, 2011 წლის ნოემბერში, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო უბნების კოორდინატორების დაფინანსების მიზნით, გიორგი საბანაძის ხელმძღვანელობით, 719 პიროვნებისთვის პლასტიკური სახელფასო ბარათები დამზადდა, რომლებიც თითქოს „თბილისის განვითარების ფონდში" შენობათა კვლევის სპეციალისტებად მუშაობდნენ, თუმცა მათ ამის შესახებ არაფერი იცოდნენ. ეს პლასტიკური ბარათები, თბილისის მერიის შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსმა, ალექსი თაბუაშვილმა, ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს — თბილისის ათი რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელს გადაულოცა.

2011 წლის ნოემბრიდან 2012 წლის ივნისის ჩათვლით, პლასტიკურ ბარათებზე, ხელფასის სახით თანხა ყოველთვიურად ირიცხებოდა. ამ პერიოდში, ეს თანხა პერიოდულად გამოჰქონდა ალექსი თაბუაშვილს, დავით ავალიანს, დიმიტრი ჩხეიძეს, ასევე, მერიისა და გამგეობის 30-მდე თანამშრომელს. საგამოძიებო სამსახურის ოფიციალური ინფორმაციით, ასეთი ქმედებით, აღნიშნული ორგანიზებულ-დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა უკანონოდ გაფლანგეს „თბილისის განვითარების ფონდის" კუთვნილი ფულადი თანხა — 13 852 497 ლარის ოდენობით.

მეორე ეპიზოდთან დაკავშირებით გამოძიებამ დაადგინა, რომ თბილისის მერის მოადგილე დავით ალავიძემ და „თბილისის განვითარების ფონდის" ყოფილმა თავმჯდომარე გიორგი საბანაძემ გადაწყვიტეს, სახელფასო პლასტიკური ბარათები გაეუქმებინათ და პარტიული მიზნებისთვის საჭირო თანხები უშუალოდ გამოეტანათ საბანკო ანგარიშიდან. წინასწარ შემუშავებული დანაშაულებრივი გეგმის მიხედვით, ფონდის ანგარიშიდან საბანკო ჩეკების საშუალებით, ნაღდი ფულის სახით, მათ 2012 წლის ივნისიდან ოქტომბრის ჩათვლით, შვიდჯერ გაიტანეს და მართლსაწინააღმდეგოდ მიითვისეს 34 328 463 ლარი.

რაც შეეხება მესამე ეპიზოდს, გიორგი საბანაძემ და დავით ალავიძემ წინასაარჩევნო პერიოდში ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერების გამასპინძლების მიზნით, შპს „სითი ივენთსა" და შპს „ფართი ჰაუსს", ფონდის სახელით გაუფორმეს ხელშეკრულებები შესაბამისი მომსახურების გაწევაზე. 2012 წლის თებერვლიდან ივნისის ჩათვლით, ხსენებულმა საწარმოებმა ორგანიზება გაუკეთეს ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერების გამასპინძლების მიზნით მოწყობილ „ფურშეტებს", რომელთა ანაზღაურების სანაცვლოდ, „თბილისის განვითარების ფონდის" ანგარიშიდან 719 862 ლარი გაიფლანგა.

### „თბილისის განვითარების ფონდიდან" გაფლანგული მილიონები

თბილისის მერიამ, ძველი თბილისის რეაბილიტაციის გადაწყვეტილება 2005 წელს მიიღო და ამ მიზნით, ჯერ „ძველი თბილისის რეაბილიტაციისა და განვითარების", მოგვიანებით კი „თბილისის განვითარების" ფონდები შექმნა. „თბილისის განვითარების ფონდს", სხვადასხვა დროს, მერიის მაღალჩინოსნები, მათ შორის, მამუკა ახვლედიანი, დავით ავალიანი, დავით ნინიძე და გიორგი საბანაძე ხელმძღვანელობდნენ. ორივე ფონდში თანხა თბილისის ბიუჯეტიდან ირიცხებოდა, მაგალითად, 2005 წლიდან 2011 წლის ჩათვლით, დედაქალაქის ბიუჯეტიდან თბილისის ფონდში 288 434 000 ლარია გადარიცხული, მაგრამ ეს მხოლოდ საკრებულოს წინაშე დეკლარირებული მონაცემებია. არაოფიციალური ინფორმაციით, ფონდებში გაცილებით მეტ თანხას რიცხავდნენ.

ძველი თბილისის უბნების რეაბილიტაციის მიზნით, ფონდების მიერ აღდგენილია მეიდანი, მეტეხი, რიყე, აღმაშენებლის გამზირი. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც „თბილისის განვითარების ფონდმა" განახორციელა, აღმაშენებლის მოედნის რეაბილიტაცია იყო, მაგრამ თბილისის მერიას არასდროს გაუსაჯაროვებია ინფორმაცია, თუ რა დაუჯდა აღმაშენებლის მოედნის, რიყის ან თუნდაც მეტეხის რეაბილიტაცია. არადა, ფონდი თბილისის ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა და ამ ტიპის ინფორმაცია, როგორც წესი, საჯარო უნდა ყოფილიყო.

საინტერესოა, როგორ არჩევდნენ კომპანიებს, რომლებიც სხვადასხვა დროს, ძველი თბილისის უბნების რეაბილიტაციას ახორციელებდნენ? კანონის მიხედვით, ფონდს ეს კომპანიები ტენდერით უნდა შეერჩია, მაგრამ ტენდერი არ ჩატარებულა. მეტიც, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა" არაერთხელ მიმართა თბილისის მერიას, გაეცა პასუხი შეკითხვაზე, თუ როგორ შეარჩიეს კომპანიები რეაბილიტაციისთვის ან რა დაჯდა ამა თუ იმ ქუჩის რეაბილიტაცია, მაგრამ უშედეგოდ.

*დასასრული მე-7 გვერდზე*



### ილია II: „საქართველო აუცილებლად გავა სამშვიდობო გზაზე!"

**„საქართველო აუცილებლად გავა სამშვიდობო გზაზე და იქნება ბედნიერი",** — ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სამების საკათედრო ტაძარში საკვირაო ქადაგებისას ბრძანა. ამასთან, უწმინდესმა მრევლს ყოველთა წმინდათა ხსენების დღე მიულოცა, შემდეგ კი, სამღვდელოება დააჯილდოვა.

**„ყველას გილოცავთ ყოველთა წმინდათა ხსენების დღეს. დღეს არის ყოველი ჩვენგანის ანგელოზის დღე. ჩვენი მფარველი წმინდანები შეგვეწიოს. ღმერთის წყალობით, საქართველო აუცილებლად გავა სამშვიდობო გზაზე და იქნება ბედნიერი",** — აღნიშნა ილია II-მ.

პატრიარქმა დეკანოზი გაბრიელი და დეკანოზი ნოე გამშვენებული ჯვრის ტარების უფლებით დააჯილდოვა. გარდა ამისა, დალოცა ცხრა გვარი და საქართველოს 19-წლამდელთა საფეხბურთო ნაკრების წევრები.

*„ინტერპრესნიუსი"*




### დავით უსუფაშვილის თქმით, უცხოელებზე მიწა აღარ გაიყიდება

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილის განცხადებით, პარლამენტი დიდი ხანია, მუშაობს სასოფლო-სამეურნეო მიწების უცხოეთის მოქალაქეებისთვის საკუთრებაში გადაცემის აკრძალვის საკითხზე. როგორც უსუფაშვილი აცხადებს, აღნიშნული საკითხი ბევრ ქვეყანაში, მათ შორის, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში განსაკუთრებულად რეგულირდება და ბევრგან საკუთრებაში მიწის გადაცემა საერთოდ იკრძალება.

მისივე თქმით, პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება მორატორიუმის გამოცხადების თაობაზე, თუმცა, როგორც პარლამენტის თავმჯდომარე აღნიშნავს, ეს არ შეეხება იმ მესაკუთრეებს, ვისაც თავის დროზე, მიწა კანონით დადგენილი წესით ჰქონდათ შეძენილი.

**„ეს იმას ნიშნავს, რომ ხვალ და ზეგ ვერც საქართველოს მოქალაქე და ვერც უცხოელი სხვა უცხოელზე მიწას ვერ გაყიდის. მიწა შეიძლება გადაეცეს ხანგრძლივი იჯარით, ან სხვა პირობებით. ეს არის მნიშვნელოვანი ღონისძიება არა ინვესტიციების საწინააღმდეგოდ, არამედ ინვესტიციების მოსაზიდად. სასოფლო-სამეურნეო მიწა არ უნდა იყოს სპეკულაციის საგანი, როგორადაც ის საქართველოში იქცა",** — ამბობს უსუფაშვილი.

ამასთან, როგორც პარლამენტის თავმჯდომარე აღნიშნავს, მნიშვნელოვანია, გათვალისწინებული იყოს საქართველოს მოსახლეობის მდგომარეობა.

**„ის, რომ სოფლად მცხოვრები მოსახლეობის უმრავლესობა სიღატაკის ზღვარს ქვემოთაა და იძულებულია გაყიდოს მიწა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ხვალ და ზეგაც ასე იქნება. ამიტომ, ამ მძიმე პერიოდში, ჩვენ სხვაგვარად უნდა დავეხმაროთ მათ და მივცეთ საშუალება, იშრომონ. როდესაც ქვეყნის მოსახლეობის 50%-მდე სწორედ სოფლის მეურნეობით ირჩენს თავს, მათი უმიწოდ დატოვება არ არის სწორი სახელმწიფოებრივი პოლიტიკა",** — აღნიშნავს უსუფაშვილი.

*„ნიუს.გე"*

# დავით ზურაბიშვილი: „მალე ნაციონალური მოძრაობის გზას დავადგებით!“



რუსუდან შელია
557-100-768

**„წესი ასეთია: ჯერ უნდა დაკითხო და შემდეგ დააკავო. შესაბამისად, დაკავების პროცედურები კანონმდებლობის სრული დაცვით განხორციელდა“, — ასე გამოეხმაურა მერიის თანამშრომლების დაკავებას ნოდარ ხადური, თუმცა ფინანსთა მინისტრისაგან განსხვავებით, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე დავით ზურაბიშვილი „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ დაკავების სპეცოპერაციის ხელმძღვანელები ფორმალური დარღვევებისთვის კანონის წინაშე უნდა დაისაჯონ:**

— მერიის თანამშრომლები საკმაოდ კონკრეტული ბრალდებების საფუძველზე დააკავეს და უცნაურია ნაციონალური მოძრაობის განცხადება, ხელისუფლება საპარლამენტო ოპოზიციის განადგურებას ცდილობსო. ამ განცხადებით, ნაციონალები პრაქტიკულად აღიარებენ, რომ მერიაში ადამიანებს მხოლოდ პოლიტიკური ნიშნით ასაქმებდნენ და შემდეგ არჩევნებში იყენებდნენ. მიუხედავად ამისა, ვაღიარებ: დაკავების ფორმა აბსოლუტურად უაზრო იყო: ჯერ დასაკითხად აიყვანეს, შემდეგ გაათავისუფლეს და რამდენიმე საათში ისევ დაიჭირეს.

**— ეს დაკავება რასმუსენის ვიზიტს დაემთხვა. იზიარებთ ალექსი პეტრიაშვილის მოსაზრებას, რომ საქმე შიდა საბოტაჟთან გვაქვს და აბსოლუტურად შეგნებულად განხორციელებული სპეოპერაცია იყო?**

— მეც არ მესმის, ეს დაკავება მაინცდამაინც რასმუსენის ვიზიტს რომ არ დამთხვეოდა, მეორე ან მესამე დღეს ვინმე გაგვექცეოდა? ყველაზე მეტად მაინც ის ფაქტი არ მომეწონა, რომ დანაშაულის მტკიცებულებად ბანკომატიდან ფულის მოხსნის პროცესი ვიხილეთ. ეს იდიოტიზმზე მეტია! ბანკომატიდან მეც ვიღებ ხოლმე ხელფასს, მაგრამ ამის გამო დამნაშავედ უნდა გამომაცხადო? საერთოდ, რას გვიჩვენებ ამ კადრებს, ნაციონალური მოძრაობა ხარ?

**— ბატონო დავით, გირჩევთ, ეს კითხვები საკუთარი გუნდის წევრებს, კონკრეტულად, ნოდარ ხადურს დაუსვათ.**

— ჩემი კითხვები და პრეტენზიები ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურისკენაა მიმართული. დაუშვებელია ხელისუფლებისა და საგამოძიებო სამსახურის პოლიტიკა სხვადასხვა მიმართულებით ხორციელდებოდეს. იმ ტიპის ქვეყანა არ ვართ, რომ თავს უფლება მივცეთ, ნატო-ს დელეგაციის ვიზიტის პარალელურად, მსგავსი სკანდალი ავაგოროთ, მით უმეტეს, სწორედ იმ დროს, როცა რასმუსენი პოლიტიკური კოჰაბიტაციის აუცილებლობასა და პოლიტიკური დაკავების პრევენციაზე საუბრობდა.

**— ესე იგი, აღიარებთ, რომ ხელისუფლება პოლიტიკურ რეპრესიებს ახორციელებს?**

— არაფერს ვაღიარებ, უბრალოდ ვამბობ, რომ დაკავება აბსოლუტურად უაზრო ფორმით განხორციელდა, რამაც მთავარი საქმე გააფუჭა და მერიის თანამშრომლების მიერ ჩადენილი დანაშაული გადაფარა. ამ ეტაპზე ჩვენთვის დაჭერაზე მნიშვნელოვანი დაკავების ფორმაა და თუ ვიფიქრებთ, რომ მთავარი ვიღაცის დაკავებაა და კანონის ნორმების დაცვა მეორეხარისხოვანია. მერწუმენთ, მალე ნაციონალური მოძრაობის გზას დავადგებით, ამიტომ აუცილებელია დაისაჯოს ის, ვინც ეს გააკეთა.

**9 წელიწადი სააკაშვილმა ფილმების ყურებას მიმაჩვია, ამიტომ არ მინდა, მმართველმა გუნდმა კრიმინალური სერიალების ჩვენება გააგრძელოს. კარგი, რა! ნაციონალური მოძრაობისთვის სათქმელი არ უნდა მიგვეცა!**



## ვიქტორ დოლიძე ეუთო-ს გენერალურ მდივანს, ლამბერტო ზანიერს შეხვდა

საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ვიქტორ დოლიძე ეუთო-ს გენერალურ მდივანს, ლამბერტო ზანიერს შეხვდა. ოფიციალური ინფორმაციით, შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს საქართველოში არსებული მდგომარეობა და მართლმსაჯულების აღდგენის აუცილებლობაზე ისაუბრეს.

ვიქტორ დოლიძემ აღნიშნა, რომ წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, ახალი ხელისუფლება მზად არის, ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებს ეუთო-ს მონიტორინგის მისია აკვირდებოდეს და აქვე, აღნიშნა თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიების გამოგზავნის აუცილებლობა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. ბატონი ზანიერი მიესალმა, რომ შეხვედრას ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენელი ერთად ესწრებოდნენ. საპარალამენტო უმცირესობიდან შეხვედრას გიგი წერეთელი ესწრებოდა.

ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის ოცდამეერთე სესიის ფარგლებში უკვე გაიმართა პოლიტიკურ საქმეთა და უსაფრთხოების კომიტეტის სხდომა. სხდომაზე განიხილავენ ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის ვიქტორ დოლიძის ცვლილებებს საბოლოო რეზოლუციის ტექსტში. ეუთო-ს წევრმა ქვეყნებმა აღნიშნული ცვლილებების სხდომაზე წარდგენას მხარი დაუჭირეს. ცვლილებები ეხება ქვეყნის ტერიტორიების დეოკუპაციისა და დემილიტარიზაციიის საკითხის რეზოლუციის ტექსტში დაფიქსირებას.

ასევე გაიმართა ეკონომიკურ საქმეთა, მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და გარემოს კომიტეტის სხდომა, სადაც ეუთო-ს წევრმა ქვეყნებმა ასევე მხარი დაუჭირეს ვიქტორ დოლიძის ცვლილების სხდომაზე წარდგენას.

*„ვერსიანიუსი“*

ექსკლუზივი

# თბილისის ვიცე-მერის სკანდალური ჩვენება

*მე-6 გვერდიდან*

ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ მერიამ, „თბილისის განვითარების ფონდს“ უძრავი ქონებაც გადასცა, მაგალითად, პუშკინის ქუჩასა და აღმაშენებლის მოედანზე მდებარე შენობები, ასევე, კოტეჯი დაბა წყნეთში. მერიისგან ნაჩუქარი უძრავი ქონება კი ფონდმა სხვადასხვა პირზე გაყიდა. აღმაშენებლის 150-ში მდებარე ისტორიული შენობა (200 კვადრატული მეტრი), „თბილისის განვითარების ფონდმა“, 2011 წლის 19 სექტემბერს კომპანია „რეალ ინვესტს“ 200 000 აშშ დოლარად, სამთვიანი უპროცენტო განვადებით მიჰყიდა. „რეალ ინვესტის“ დამფუძნებელი ოფშორში დარეგისტრირებული კომპანია „ოლდინგტონ ინვესტ კორპია“, რომლის წარმომადგენელი საქართველოში გიორგი ღონიაშვილია. სხვათა შორის, გიორგი ღონიაშვილი თბილისის მერის, გიგი უგულავას ცოლის დის ქმარია ანუ ქვისლია და ამ გარიგებამდე ოთხი თვით ადრე „რეალ ინვესტის“ ხელმძღვანელად დანიშნეს.

მარჯანიშვილის მოედანზე უგულავას ნათესავი კიდევ ერთ შენობას ფლობს, ესაა აღმაშენებლის 103-ში მდებარე, ასევე ისტორიული შენობა, რომელიც გერმანელმა არქიტექტორმა გოთიკურ სტილში ააშენა. სხვადასხვა დროს ამ შენობაში განთავსებული იყო, როგორც სასტუმრო, ასევე, საგარეო საქმეთა სამინისტრო და კონტროლის პალატა. ახლა კი, „თბილისის განვითარების“ ფონდმა“ ეს ისტორიული შენობა, 510 კვადრატული მეტრი, „ვეტსელ პლაზას“ გადასცა. ამ კომპანიის დამფუძნებელიც უგულავას ქვისლი გიორგი ღონიაშვილია.

არანაკლებ საინტერესოა, რიყის ტერიტორიის რეაბილიტაციის პროექტი, რასაც 2005 წელს, ამ ტერიტორიაზე განთავსებული რესტორნები „შეეწირა“. 2006 წელს, თბილისის მერიამ რიყის ტერიტორია 7 000 000 000 აშშ დოლარად, შპს „ახალ რიყეს“ განვადებით მიჰყიდა. „ახალი რიყის“ 100%-იანი წილის მფლობელი, ოფშორში დარეგისტრირებული კომპანია „ჯი ემ სი ჰოლდინგია“. ამ ჰოლდინგის დირექტორი კი ლევან ყარამანაშვილია, რომელიც მიხეილ სააკაშვილთან დაახლოებული ბიზნესმენის, რეზო შარანგიას დის ქმარია. ყარამანაშვილი ერთ დროს „რუსთავი 2“-ის აქციების 90%-იანი წილის მფლობელი იყო. თავის მხრივ, რეზო შარანგია „ჯი ემ სი ჰოლდინგის“ ერთ-ერთი დამფუძნებელია.

მას შემდეგ, რაც რიყე შპს „ახალმა რიყემ“ შეიძინა, მასვე დაევალა, როგორც ტერიტორიის 20%-ის გამწვანება, ასევე, საფეხმავლო ხიდის აშენება და ინვესტიციების მოზიდვაც. კომპანიას ხელშეკრულებით ნაკისრი არც ერთი ვალდებულება არ შეუსრულებია. სამაგიეროდ, მერიისგან ნაყიდი ტერიტორიის 80%, რამდენიმე თვეში მიყიდა რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენს, დავით იაკობაშვილს, რომელსაც ინვესტიციები უნდა მოეზიდა და ხიდი აეშენებინა. საფეხმავლო ხიდი რიყეზე, მართლაც აშენდა, ოღონდ — 2010 წელს, რომელიც თბილისის ბიუჯეტიდან დაფინანსდა!

შპს „ახალმა რიყემ“ 2006 წელს თბილისის მერიისგან 7 000 000 აშშ დოლარად ნაყიდი რიყის ტერიტორია, 2008 წელს ისევ თბილისის მერიას დაუბრუნა, ოღონდ 17 000 000 აშშ დოლარად. ამ გარიგებით, ყარამანაშვილმა და შარანგიამ, 10 000 000 აშშ დოლარით იხეირეს.

### დავით ალავიძემ ფონდის თანხა პარტიული მიზნისთვის გამოიყენა

თბილისის მერიის მაღალჩინოსნების დაკავების შემდეგ, დედაქალაქის მერმა გიგი უგულავამ საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა, ეს არის ხელისუფლების შეტევა ნაციონალურ მოძრაობაზეო. ამით უგულავამ, პრაქტიკულად დაადასტურა, რომ მერია და გამგეობები პარტიული ნიშნითაა დაკომპლექტებული. ამასვე ადასტურებს ოფიციალური გამოძიების ერთი ეპიზოდი, რომელიც მერიის დაკავებულ მაღალჩინოსნებს უკავშირდება.

„ვერსიამ“ გამოძიების მასალა მოიპოვა, სადაც სისხლის სამართლის ერთ-ერთ საქმეზე, თბილისის მერის მოადგილე დავით ალავიძე ფიგურირებს. 2012 წლის სექტემბერში, თბილისის ვიცე-მერმა, ნაციონალური მოძრაობის პარტიულ ყრილობაზე, 150 000 ლარით დააფინანსა აქტივისტების ყვითელი მიკროავტობუსებით მგზავრობა ზუგდიდში. ალავიძემ გამოძიებას ვერ წარუდგინა ამ თანხის წარმომავლობის ლეგალური დოკუმენტაცია, რაც სავსებით ლეგიტიმური ეჭვის საფუძველს იძლევა, რომ პარტიული ღონისძიებების ლოჯისტიკაც კი „თბილისის განვითარების ფონდიდან“ მითვისებული თანხებით განახორციელეს.

გამოძიების მასალებით დასტურდება, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ, 2012 წლის სექტემბერში, ამომრჩევლებთან შეხვედრების ორგანიზებისთვის 126 900 ლარის საწვავი გამოიყენა, რომლის დეკლარირებაც, კანონით დადგენილი წესით არ განუხორციელებია. ეს კი პარტიის მიერ მიღებულ უკანონო შემოწირულობად ითვლება, რადგან კანონით, პირს უფლება აქვს, პარტიას მხოლოდ 60 000 ლარის შემოწირულობა გადაურიცხოს.

„ვერსიას“ ხელთ ჩაუვარდა თბილისის მერის მოადგილის, დავით ალავიძის ჩვენებაც, რომელიც მოწმის სახით, გამოძიებას 2012 წლის 28 დეკემბერს მისცა. ამ ჩვენებაში ალავიძე ადასტურებს, რომ 2012 წლის 23 სექტემბერს, ზუგდიდში გამართულ აქციაზე პირადად იმყოფებოდა, რისთვისაც ორდღიანი სესხი მისცა ყვითელი მიკროავტობუსების კომპანიას. მეორე დღეს, კომპანიამ ალავიძეს თანხა დაუბრუნა. ამ ეპიზოდში, ძიების ინტერესს ის ფაქტი წარმოადგენს, რომ ალავიძის მიერ, ყვითელი მიკროავტობუსების კომპანიისთვის გადახდილი 120 000 ლარი ნაციონალურმა მოძრაობამ, ორგანული კანონის შესაბამისად, არ დაადეკლარირა.

გამომძიებლის კითხვაზე, როგორ გაიგო, რომ ნაციონალურ მოძრაობას ზუგდიდში აქცია უნდა ჩაეტარებინა, **დავით ალავიძემ** უპასუხა: **„ნაციონალურ მოძრაობას ჰყავდა კონტრაქტორი, ვინმე ვაჟა, რომელიც აქციის წინა დღეს დაუკავშირდა მერიის ტრანსპორტის სამსახურის უფროსს, აკაკი ჯოხაძეს და როგორც აკაკისგან ვიცი, ვაჟამ სთხოვა, ყვითელი მიკროავტობუსების კომპანიასთან დაეკავშირებინა“.**

გამომძიებლის კითხვაზე, თუ როგორ გადასცა 120 000 ლარი ყვითელი მიკროავტობუსების კომპანიას, დავით ალავიძემ უპასუხა, რომ 2012 წლის 22 სექტემბერს, მიკროავტობუსების კომპანიის დირექტორს, გიგლა ჯაბიშვილს ესაუბრა და გაარკვია, რომ კომპანიის სალაროში საჭირო რაოდენობის თანხა არ აღმოჩნდა: **„იმის გამო, რომ ზუგდიდში დაგეგმილი აქცია არ ჩაშლილიყო, გადავწყვიტე, ჩემი კუთვნილი თანხა — 120 000 ლარი, ყვითელი მიკროავტობუსების კომპანიისთვის მესესხებინა, რაც განვახორციელე. ორ დღეში, კომპანიამ ჩემი კუთვნილი თანხა დამიბრუნა“.**

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ოფიციალური ინფორმაციით, „თბილისის განვითარების ფონდიდან“, საერთო ჯამში, უკანონოდ მიითვისეს და გაფლანგეს 48 930 822 ლარი. გამოძიება გრძელდება საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რაც სასჯელის სახით, თავისუფლების აღკვეთას შვიდიდან თერთმეტ წლამდე ითვალისწინებს. საქმის მასალების მიხედვით, გამორიცხული არ არის, თბილისის მერის, გიგი უგულავასა და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, მამუკა ახვლედიანის პასუხისმგებლობის საკითხიც დადგეს.

**P.S. კვირას, 30 ივნისს, დედაქალაქის მერიის მაღალჩინოსნებს რუსთავის საქალაქო სასამართლომ დღის პირველ ნახევარში, აღკვეთის ღონისძიება არ შეუფარდა და ისინი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა. ბრალდებულ დავით ალავიძის ადვოკატმა, გიორგი კონდახიშვილმა სასამართლოზე თავდებობის სამი წერილი წარადგინა. 23 პარლამენტარი, როგორც უმცირესობა, ისე — უმრავლესობა, ასევე, რუსთავისა და თბილისის საკრებულოს წევრები, თბილისის მერიის მაღალჩინოსნებს თავდებში ჩაუდგნენ. შესვენების შემდეგ, 17:00 საათზე, სხდომა განახლდა და სასამართლომ ოთხივე მაღალჩინოსანს წინასწარი, ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა. მომდევნო სხდომა კი 23 აგვისტოს ჩაინიშნა.**

# „მერაბიშვილმა შემოგვითვალა, საქმე „აპასნი“ ხალხთან გაქვთო...“

ნიკა ჯანხოთელი

**ეს ისტორია რამდენიმე წლის წინ დაიწყო — იურისტმა პაატა ბუაძემ, ნაცნობ ლევან საყვარელიძესთან ერთად, რამდენიმე ამხანაგობა, მათ შორის, „ფიქრის გორა 2007“, „ბაქრაძე 9“; „გაზაფხული“ და „ყაზბეგი 3/5“ დააარსა, თუმცა დამფუძნებელთა შორის, საყვარელიძე კი არა, მისი წარმომადგენლები ფიგურირებენ... მოგვიანებით, ლევან საყვარელიძემ შვეიცარიაში სამშენებლო კომპანია capital vostok დაარეგისტრირა, რომელიც საქართველოში „ევორდის“ სახელით ოპერირებს. სხვათა შორის „ევორდის“ ოფისთან, თავის დროზე, სალომე ზურაბიშვილმა პრესკონფერენცია გამართა და განაცხადა, ეს ბენდუქიძის მიერ რუსეთიდან მოტანილი ფულიაო... თავდაპირველად ყველაფერი თითქოს კარგად მიდიოდა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, პაატა ბუაძე იგებს, რომ ამხანაგობა „ყაზბეგი 3/5“, ანუ შენობა, რომელიც ფილარმონიასთან შენდებოდა, „საქართველოს ბანკზე“ გაიყიდა... პრობლემებიც სწორედ იმ დღიდან დაიწყო და, ბოლოს, საქმეში მხოლოდ კუდ-ი და სოდ-ი კი არა, თავად ვანო მერაბიშვილიც ჩაერთო.**




როგორ წაართვა შსს-მ რამდენიმე სამშენებლო ამხანაგობას ქონება „ევორდის“ მეშვეობით, რატომ ფიგურირებს საქმეში ზურაბ ხარატიშვილი და რა კავშირი ჰქონდა „ევორდს“ „ქართუ ბანკის“ გაკოტრებასთან

**პაატა ბუაძე:** — მართალია, იმ შენობის რეალური ფართი, რომელიც „ყაზბეგი 3/5“-მა ააშენა, 5 ათას კვ/მ-ზე მეტი იყო, მაგრამ მხოლოდ 2850 კვ/მ იყო დარეგისტრირებული. „საქართველოს ბანკთან“ გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, ამ 2850 კვ/მ-ს ბანკი ვალის სანაცვლოდ წაიღებდა, დანარჩენ ფართს კი, დაკანონების შემდეგ, კვ/მ-ს 2000 დილარად შეიძენდა... მოკლედ, პროექტის კორექტირება მოხდა და მთელი ფართი დაკანონდა, მაგრამ „საქართველოს ბანკმა“ თანხა არ გადაიხადა. საქმე სასამართლოში წავიდა, სადაც „საქართველოს ბანკი“ და კომპანია „აბს — ევორდ ბიზნესი ცენტრი“ დაობდნენ. ეს კომპანია მხარედ იმიტომ იყო, რომ ამხანაგობამ, თურმე მოთხოვნის უფლება დაუთმო. სხვათა შორის, ამხანაგობის მხოლოდ ერთ-ერთი დამფუძნებელი კი არა, გამგეობის თავმჯდომარეც ვიყავი და მოთხოვნის დათმობაზე ხელი მე უნდა მომეწერა, მაგრამ ყველაფერ ამის შესახებ მხოლოდ მაშინ გავიგე, როცა „აბს — ევორდ ბიზნესი ცენტრმა“ პირველ ინსტანციაში „საქართველოს ბანკს“ 5 მილიონ 700 ათასი მოუგო, ბანკმა ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა და აპელაციაში მორიგება მიდიოდა. „საქართველოს ბანკის“ გენერალურ დირექტორ გილაურსა და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე იოსელიანს, რომელიც თავის დროზე, „საქართველოს ბანკის“ იურისტი იყო, მივწერე, უჩემოდ რა მოლაპარაკებას აწარმოებთ-მეთქი. ამ წერილის შემდეგ, სასამართლო გაჩერდა — ბანკმა ამ კომპანიას, ალბათ, უთხრა, აი, პიროვნება გამოჩნდა და საქმე ჯერ მასთან მოაგვარეო. მოგვარება, როგორც ჩანს, მარტივად გადაწყვიტეს — იმხანად „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ იურიდიული სამსახურის უფროსად ვმუშაობდი და ერთ დღეს ვინმე გიორგი ნეფარიძე მესტუმრა, რომელიც ოფიციალურად არსად მუშაობდა და რომელმაც მითხრა, უშიშროებამ და სოდ-მა გამომაგზავნა და შემოგითვალა, უნდა წახვიდე და რაღაც დოკუმენტებს ხელი უნდა მოაწერო, თორემ დაგიჭერენო.

— **რა უპასუხეთ?**

— ხელს კი მოვაწერ, მაგრამ ჯერ უნდა გავარკვიო, რა ხდება და ჩემი წილი წავიღო-მეთქი.

— **ამხანაგობებში საყვარელიძის წილობრივი მონაწილეობა როგორი იყო?**

— როგორც გითხარით, საყვარელიძე თვითონ არ ფიგურირებდა, მაგრამ მაგალითად, „ფიქრის გორა 2007“-ში მის დეიდაშვილ გიორგი მაჭუტაძეს, „კაპიტალ ვოსტოკის“ დამფუძნებელს ნახევარი ჰქონდა, „შარტავაში“ კი, მგონი, — 70 პროცენტი.

— **თუკი ყველაფერს თქვენ აკეთებდით, საყვარელიძეს ამდენი პროცენტი რატომ მიეცით, „კრიშად“ გჭირდებოდათ?**

— არა, რა „კრიშად“... თავდაპირველად გამიჯნული იყო, ვის რა უნდა გაგვეკეთებინა, მაგრამ მერე გამოჩნდა, რომ ყველაფერი ჩვენი გასაკეთებელი იყო...

— **ამხანაგობებში ინვესტიცია საყვარელიძეს მოჰქონდა?**

— არა, კრედიტებს ვიღებდით. საერთოდ, ვიდრე სამშენებლო ბიზნესის სადავეებს უგულავა აიღებდა და ჯიხურის დადგმასაც კი გააკონტროლებდა, მშენებლობის ნებართვა თუ გქონდა, ბანკები აქეთ გეხვეწებოდნენ, კრედიტი აიღეო. თავდაპირველად საკრედიტო ხაზი „თიბისი ბანკში“ გვქონდა, მაგრამ „თიბისი“-მ შენობების პირველი და მეორე სართულები მოითხოვა, რის გამოც საყვარელიძემ „თიბისი“ „დასაჯა“ და თანამშრომლობა „საქართველოს ბანკთან“ დაიწყო, რომელმაც 20-მილიონიანი საკრედიტო ხაზი გაუხსნა. სხვათა შორის, საქმე რომ „დაიქოქა“, კერძო პირები მოდიოდნენ და გვთავაზობდნენ, იქნებ, ჩვენი ფული ჩადოთო... ხელისუფლებამაც დაინახა, რომ ამ საქმეში ფული კეთდებოდა და პირველი დარტყმა სოდ-მა 2006 წელს მოგვაყენა.

— **რას გულისხმობთ?**

— მუქარა დაიწყო...

— **ანუ გთხოვდნენ, რომ ამხანაგობები დაგეთმოთ?**

— გამოჩნდა კომპანია, რომელიც ამხანაგობებში შემოსვლას დაცვის კომპანიის სტატუსით ითხოვდა ანუ ოფისში სათვალთვალო და დაცვის სისტემას დაამონტაჟებდა. საყვარელიძე ამაზე თანახმა იყო, მაგრამ ჩვენ არ დავთანხმდით და კონფლიქტიც დაიწყო.

— **უშუალოდ ვინმე გემუქრებოდათ?**

— როგორც თვითონ ამბობდნენ, სოდის ხალხი იყო... ჩემს ერთ-ერთ მეგობარსა და პარტნიორს სახლის კართან „აკს“-ის ტყვიები დაულაგეს.

— **სახლის კართან ტყვიების დალაგება რას ნიშნავდა?**

— მინიშნება იყო, თუ თქვენი თავი ფეხებზე გკიდიათ, ოჯახს და ცოლ-შვილს მიხედეთო... ესეც არ იკმარეს და, შემდგომ წლებში ეს ადამიანი ორჯერ მოწამლეს და სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა.

— **იქნებ, სახლის კართან ტყვიები ვინმეს დაუცვივდა?**

— კორპუსის ბოლო სართულზე, 11 ტყვია, რომელიც ერთმანეთის მიყოლებით იდო, ვინმეს დაუვარდა?

— **ეს ტყვიები რომ ნახეთ, პატრული არ გამოიძახეთ?**

— სხვათა შორის, მერაბიშვილმაც ეს გვირჩია...

— **ვანო მერაბიშვილს შეხვდით?**

— არა... ამ დროს „ევორდის“ დირექტორი ზურაბ ხარატიშვილი იყო, რომელსაც ვუთხარით, რა ხდება, რა ტყვიების დალაგება დაიწყოო. ხარატიშვილმა ტელეფონი აიღო და ვანოს დაურეკა, საქმე ასე და ასეაო. ვანომ უპასუხა, პატრული გამოიძახონო... მივხვდი, რომ სხვა სიბრტყეში ვიყავით... სხვათა შორის, ვანოს სულ ორი ძმაკაცი ჰყავდა — ლაშა ცაგარეიშვილი და ზურაბ ხარატიშვილი. ცაგარეიშვილი გარდაიცვალა... ხარატიშვილი ისეთი ძმაკაცია, რომ ვანო ოჯახსაც ანდობს... იმავე ღამეს, როგორც ხარატიშვილმა მერე გვითხრა, ვანოსთან წავიდა და უკან დაბრუნებულმა მისი სიტყვები გადმოგვცა, საქმე ცოტა „აპასნი“ ხალხთან გაქვთ და თქვენს ადგილას ერთი-ორ დაცვას ავიყვანდიო... ეს ძალიან ცუდი მესიჯი იყო... ბოლოს, შუაღამისას, შინ მომადგნენ.

— **ვინ?**

— სოდ-ისა და კუდ-ის წარმომადგენლები — ლევან ჩქარეული და კუდ-ის ერთ-ერთი სამმართველოს შეფი გიორგი თევზაძე, რომელიც ახალაიას უახლოესი მეგობარი და ხაზინადარი იყო.

— **„დაუპატიჟებელმა სტუმრებმა“ რა გითხრეს?**

— უნდა გამოგვყვე და ხელი საბუთებს მოაწეროო.

— **მხოლოდ ზემოხსენებული ორი პიროვნება გესტუმრათ?**

— არა, ბევრნი იყვნენ, თუმცა ზოგი ეზოში იდგა, ზოგიც — კიბეზე... სხვათა შორის, მოგვიანებით, თევზაძემ გამომძიებელს თვითონ უთხრა, პაატასთან მე მივედიო... მოკლედ, თუკი ვინმეს პოლიციაში ვიცნობდი, ჩამოთვლა დავიწყე და ანდრო კარბელაშვილიც ვახსენე. მკითხეს, ანდროს საიდან იცნობო. მივუგე, ახალგაზრდობიდან ვიცნობ-მეთქი... მაშინვე წავიდნენ...

— **ანდრო კარბელაშვილი ვინაა?**

— სოდ-ის გამომძიებელი და, როგორც თვითონ ამბობდა, კოდუას ნდობით აღჭურვილი პირი იყო... დაახლოებით, ერთი საათის შემდეგ, ანდრომ დამირეკა და შეხვედრა მთხოვა. შევხვდი და მითხრა, ერთ-ერთს მაგ კორპუსში ბინა აქვს ნაყიდი და ნერვიულობენო... მერე, მე რა შუაში ვარ, ბინა, ალბათ, საყვარელიძისგან იყიდა-მეთქი... მეორე დღეს, „ევორდის“ იურისტმა და ყველაფერ ამის სულისჩამდგმელმა ირაკლი გულბათაშვილმა დამირეკა, ბანკში ამდენი ხალხი გელოდებით და ხელმოსაწერად არ მოდიხარო... გამიკვირდა, ხელის მოწერას არავის დავპირებივარ-მეთქი...

**ბევრი რომ არ გავაგრძელო, შუაღამისას, „საქართველოს ბანკში“ წამიყვანეს, სადაც უამრავი პოლიციელი იყო... ავუხსენი, მთელი ქონება შპს-ზე მაქვს გადაცემული და ხელი რომც მოგიწეროთ, ვერ წაიღებთ-მეთქი. ძმაო, ეგ შენი პრობლემა არააო... მე და გულბათაშვილი ბანკში შევედით, სადაც ნოტარიუსი პაატა შენგელაია და ბანკის ორი თანამშრომელი დაგვხვდა. გულბათაშვილს კიდევ ვუთხარი, ირაკლი, იურისტი ხარ და შენ მაინც ხომ იცი, რომ სისულელეს მაკეთებინებთ-მეთქი. გულბათაშვილმა მომიგო, ან ხელს მოაწერ, ან არადა, დაბლა ჩავალთ და პასუხი იმათ გაეცი, რომ გელოდებიანო. სხვათა შორის, მითხრეს, ნარკოტიკის ჩადებით თავს არც შევიწუხებთ, ნარკოტიკი სეიფშია, რომელიც „შენიაო“...**

მიკვირდა, ამ შენობის გამო ამხელა აჟიოტაჟი რატომ ატეხეს ან შპს-ს დირექტორს რატომ არ აწვებოდნენ... მოკლედ, ნოტარიუსმა ხელშეკრულება მომაწოდა, რომელშიც ეწერა, რომ უარი იმ 5 მილიონ 700 ათას დოლარზე უნდა მეთქვა, რომლის გადახდაც სასამართლომ „საქართველოს ბანკს“ დააკისრა, რის შემდეგაც ბანკი ამხანაგობების — „გაზაფხული“, „ფიქრის გორა 2007“, „ბაქრაძე 9“ — კრედიტებს დაფარულად ჩათვლიდა ანუ სხვის შეჭმულ ფულს ჩვენ გაგვასტუმრებინებდა და პლუს, „ფიქრის გორას 2007“-ს, მშენებლობის დასამთავრებლად, დამატებით კრედიტს მისცემდა.

— **ხელშეკრულებას ხელი მოაწერეთ?**

— მომაწერინეს... სხვა გზა არ მქონდა... ამის შემდეგ გულბათაშვილმა ჯიბიდან მინდობილობა ამოიღო, რომლის მიხედვითაც, მთელი ჩემი ქონების განკარგვის უფლებას მას ვაძლევდი, ამასთან, მინდობილობის გაუქმების უფლება სამი წელი არ მქონდა ანუ ნების გამოხატვის უფლება ამიკრძალეს. ნოტარიუსმა მინდობილობას ბეჭედი ისე დაარტყა, არც წაუკითხავს. გულბათაშვილმა მითხრა, რამდენიმე დღეში შევხვდეთ, დავილაპარაკოთ და თუ რამე გეკუთვნის, წაიღეო... რამდენიმე დღის შემდეგ, გულბათაშვილმა დამირეკა და შეხვედრა მთხოვა... რამდენიმე ადგილი მითხრა, მაგრამ უარი ვუთხარი, მანდ არ მოვალ-მეთქი და „ქორთიად-მარიოტზე“ შევთანხდით, სადაც გულბათაშვილ-საყვარელიძესთან ერთად, პოლიციელებიც დამხვდნენ და მითხრეს, შენი არაფერია და კარგად იყავიო. საყვარელიძემ კი მითხრა, ყველაფერი მეგობრულად გავაფორმეო... რამდენიმე დღის შემდეგ, საყვარელიძემ საბურთალოს პოლიციაში განცხადება შეიტანა, რომ თითქოს ამხანაგობა ჩუმად შევქმენი, რომელშიც მისი თანამშრომლები ჩუმად შევიყვანე და ამხანაგობაზე მიწის ნაკვეთები ჩუმად გავაფორმე ანუ უნდა დავეჭირე, თუმცა ყველაფერი იმდენად სასაცილო და აბსურდული იყო, რომ საქმე არ აღძრეს...

ყველაფერ ამაზე განცხადებით პროკურატურას მივმართე, დაკითხვაზე დამიბარეს, თვენახევრის შემდეგ კი, საქმე სხვა გამომძიებელს გადასცეს, რომელმაც სოდ-ისა და კუდ-ის თანამშრომლები დაკითხვაზე დაიბარა, ყველამ აღიარა, პაატა ბუაძესთან სახლშიც ვიყავით და დოკუმენტებზე ხელიც მოვაწერინეთ, მაგრამ ეს იძულებით კი არ მოხდა, უბრალოდ, ვთხოვეთ, ამ კორპუსში ბინები გვაქვს ნაყიდი, საქმე გვიფუჭდება და იქნებ, ხელი მოაწეროთო... სხვათა შორის, ეს საქმე დღესაც ძიებაშია...

— **ბატონო პაატა, რეზიუმე რომ გავაკეთოთ, ქონება ვანო მერაბიშვილისა და „საქართველოს ბანკის“ მეშვეობით წაგართვეს, არა?**

— დიახ... სხვათა შორის, ირაკლი გულბათაშვილი ამბობს, პერანგის შიგნით „პაგონები“ მაქვს დაკერებულიო. პირად საუბრებში კი ხაზს უსვამდა, ამირან მესხელის მიერ ვარ გამოგზავნილიო... ვიდრე სოდ-ი და კუდ-ი შინ მომაკითხავდა, შემთხვევით ზურა ხარატიშვილს შევხვდი და ვთხოვე, დაჭერით მემუქრებიან, ხომ იცი, რომ მართალი ვარ და მომეხმარე-მეთქი. ხარატიშვილმა დამცინა, თუ კუდ-ი და სოდ-ი მოგადგება, იმ წუთას პატრული გამოიძახეო... სხვათა შორის, ვიდრე ზემოხსენებულ დოკუმენტებს ხელს მოვაწერდი, დამცინავად მითხრეს, ყველაფრის წართმევის შემდეგ, თუ ჭკვიანად მოიქცევი, 80 კვ/მ-იან ბინას შსს გაჩუქებსო...

— **ბატონო პაატა, მერაბიშვილს თქვენი დაჭერა რომ სდომებოდა, ცხადია, დაგიჭერდათ...**

— არასერიოზულად გვთვლიდნენ და ერთობოდნენ... სხვათა შორის, პროკურატურაში ჩანაწერები დევს, მათ შორის, ანდრო კარბელაშვილის, რომელიც ჰყვება, რეალურად რაც მოხდა.

— **ჩანაწერი თქვენ გააკეთეთ?**

— დიახ... ისე, საყვარელიძემ და გულბათაშვილმა მონაწილეობა „ქართუ ბანკის“ გაკოტრებაშიც მიიღეს. დღეს კი ცდილობენ, ახალი ხელისუფლება შეცდომაში შეიყვანონ და ისედაც გაწამებულ და „გადაყრილ“ ხალხს ეუბნებიან, რომ „გაიასნებული“ აქვთ კონკრეტულ პერსონებთან და მათი ვინაობის დასახელებასაც არ ერიდებიან.

# ღია წერილი „ალია ჰოლდინგის“ მედიაჯგუფს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისაგან

*„ჩემი მსაჯული ჩემი ტვინია და ის პატარა ღმერთი, რომელსაც სინდისს ეძახიან“.*
*ილია ჭავჭავაძე*

**„ალია-ჰოლდინგმა“ უარი განგვიცხადა აღნიშნული წერილის გამოქვეყნებასა და ჩვენი პოზიციების სრულად დაფიქსირებაზე.**

უკანასკნელი რამდენიმე თვის განმავლობაში ქართულ მედიასაშუალებებში რამდენჯერმე გაიჟღერა საკითხმა, რომელიც უკავშირდება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ყოფილი რექტორის (2006–2009წწ.) ბატონი გიორგი მენაბდის თანამდებობიდან წასვლას. ამ საკითხის გაშუქების დროს რესპოდენტების მიერ ფაქტები იქნა დამახინჯებული, რომელთა შესწორების მიზნით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის 2009 წელს მოქმედი აკადემიური საბჭოს წევრებმა გააკეთეს განცხადება, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ „ლიბერალის“ და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვებგვერდებზე. ამ განცხადებას ხელს აწერს მაშინდელი აკადემიური საბჭოს წევრი თექვსმეტი პროფესორი. ვფიქრობდით, რომ ამის შემდეგ შეწყდებოდა ცილისმწამებლური განცხადებები და ცრუ ბრალდებები თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიმართ. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა და გარკვეულმა პიროვნებებმა შეცდომაში შეიყვანეს „ალია ჰოლდინგის“ ჟურნალისტი და გაზეთ „კვირის ქრონიკის“ 2013 წლის 24-ე და 25-ე ნომრებში დაიბეჭდა წერილები, სადაც ჩვენი მხარის პოზიციები საერთოდ არ იყო წარმოდგენილი. ამ სტატიებში თსსუ-ს ყოფილი რექტორი, ბატონი გიორგი მენაბდე, სტომატოლოგიის ფაკულტეტის ყოფილი დეკანი, ქალბატონი ქეთევან გოგილაშვილი-კიღურაძე და სხვები კვლავ აწვდიან დამახინჯებულ ფაქტებს ჟურნალისტს და, შესაბამისად, საზოგადოებას. ზემოაღნიშნულ წერილში გადმოცემული თითქმის ყველა ფაქტი აღძრავს მრავალ კითხვას. ეს ეხება: კლინიკური ბაზების საკითხს, სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მასობრივად გათავისუფლებას დაკავებული პოზიციებიდან, გ. ჟვანიას სახელობის კლინიკის დირექტორის დანიშვნას, ბატონი გიორგი მენაბდის დანიშვნას ჯერ სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის რექტორად, ხოლო შემდეგ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლად და დანიშვნის პერიოდის თანხვედრას მისი ქვისლის, ბატონი ირაკლი ოქრუაშვილის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდთან, გიორგი მენაბდის მიმართ უფლებამოსილების შეწყვეტასთან დაკავშირებით იძულებითი ღონისძიებების გატარებას; ასევე, ზეწოლას 2009 წელს მოქმედი აკადემიური საბჭოს წევრებზე და არჩევნებში მონაწილეობის მსურველ ან მონაწილე რექტორობის კანდიდატებზე და ა.შ. აქვე, ბატონ გიორგი მენაბდეს შევახსენებთ, რომ იგი სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის პროფესორი და კათედრის გამგე იყო, როდესაც დაინიშნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორად 2004 წლის 30 ივნისს, შესაბამისი თანამდებობის დაკავების ყველა პროცედურის დარღვევით; იგი 2004 წლის 3 აგვისტოს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორობის პარალელურად, დაინიშნა სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის რექტორად და მხოლოდ 2004 წლის 22 ოქტომბერს გათავისუფლდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში დაკავებული თანამდებობიდან. ჩვენს გაკვირვებას იწვევს ის ფაქტიც, რომ ყოფილი რექტორი არ იცნობს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს და არ იცის, რომ რექტორი ადმინისტრაციული თანამდებობაა, მიუხედავად არჩევითობისა.

**ამ წერილში გადმოცემული ინფორმაცია არ არის მხოლოდ ერთი პიროვნების პატივისა და ღირსების შელახვა. იგი შეურაცხყოფს და ცილს სწამებს ქვეყნის სამედიცინო განათლების წამყვან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, მის აკადემიურ პერსონალს და საზოგადოებისათვის ცნობილ პიროვნებებს. ამ წერილის გმირებს ავიწყდებათ ერთი საყოველთაოდ ცნობილი დებულება – თითოეული პირის თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც იწყება სხვისი უფლებები. ამიტომ, ვფიქრობთ, სასურველი იქნებოდა, ჟურნალისტს გადაემოწმებინა სიმართლის გამრუდებით დაინტერესებული პირების მიერ მისთვის მიწოდებული ინფორმაცია.** ახლა მოდურ ტენდენციად იქცა ნაციონალური მოძრაობის მიერ წამებულის მანტიაში გახვევა და ეს პათოსი ამ წერილებშიც იგრძნობა. რატომღაც, არავინ დაინტერესდა ბატონი გიორგი მენაბდისა და ქალბატონ ქეთევან გოგილაშვილი-კიღურაძის ბედით სამედიცინო უნივერსიტეტიდან წასვლის შემდეგ. ეს მაშინ, როდესაც აღნიშნული პირები საკმაოდ წარმატებულად დასაქმდნენ ერთ-ერთ სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და არა მარტო იქ, და ნამდვილად არ იმყოფებიან დაჩაგრულის მდგომარეობაში. აქვე უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ 2009 წლის 30 ივნისს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის რიგგარეშე არჩევნების პროცესს თვალ-ყურს ადევნებდა მრავალი დამკვირვებელი, მათ შორის ერთ-ერთი, ქალბატონ ქეთევან გოგილაშვილი-კიღურაძის მხრიდან, იყო საზოგადოებისათვის ცნობადი სახე, ექსპერტი, ბატონი ლევან ჩოლოყაშვილი, რომელმაც თავად განაცხადა, რომ სამართლებრივად ყველაფერი სწორად წარიმართა და ქეთევან გოგილაშვილი-კიღურაძე არჩევნებში დამარცხდა.

რაც შეეხება წერილში მოხსენიებულ ყოფილ მე-8 საავადმყოფოს, დავძენთ, რომ აღნიშნული კლინიკა მას შემდეგ, რაც გადაეცა საკუთრებაში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს, გარემონტდა უნივერსიტეტის ხარჯებით; სარემონტო სამუშაოები ახლახან დამთავრდა და ამჟამად მიმდინარეობს მისი აღჭურვა. აპარატურის ნაწილი, რომელიც ამ კლინიკაში იყო, განთავსდა სამედიცინო უნივერსიტეტის დეპარტამენტების ბაზებზე და აქტიურად გამოიყენება, ხოლო დანარჩენი, რომელიც ექსპლოატაციისათვის ვარგისია, გამოყენებულ იქნება რებილიტირებულ კლინიკაში, ახალ აპარატურასთან ერთად. გარდა ამისა, მაქსიმალურად იქნება დაცული იმ თანამშრომელთა ინტერესები, რომლებიც აქ იყვნენ დასაქმებულნი.

დაბოლოს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი შეეცდება თავი შეიკავოს გამოხმაურებისაგან მსგავს ცილისმწამებლურ ფაქტებზე და იმ ადამიანთა ცრუ ბრალდებებზე, რომელთაც „ის პატარა ღმერთი, რომელსაც სინდისი“ ჰქვია, არ აწუხებთ. რაც შეეხება წერილში მოყვანილ ფაქტებს და არა მარტო მათ, მზად ვართ, ჩვენი ურთიერთობა გადავიტანოთ სამართლებრივი დავის სივრცეში და ასე გაირკვეს, თუ ვისი ხელმძღვანელობისდროინდელ „ცოდვებს მალავს“ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კედლები. (პერიფრაზი გაზეთ „კვირის ქრონიკის“ წერილის ერთ-ერთი წინადადებისა).

***პატივისცემით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური***



## თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის 2009 წელს მოქმედი აკადემიური საბჭოს წევრთა განცხადება საქართველოს ბეჭდვურ და ელექტრონულ მედიას

საქართველოს სხვადასხვა მედიასაშუალებებში ბოლო დროს რამდენჯერმე გაშუქდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის, გიორგი მენაბდისთვის 2009 წელს უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი. საზოგადოებისთვის მიწოდებული ინფორმაცია მოითხოვს შესწორებას.

გ. მენაბდემ 2009 წლის 6 მარტს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, ნ. გვარამიას მიმართა განცხადებით დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. 2009 წლის 9 მარტს სამინისტრომ უნივერსიტეტს დაავალა შესაბამისი რეაგირება. 2009 წლის 11 მარტს შედგა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომა, სადაც გ. მენაბდემ თავისი გადაწყვეტილება საუნივერსიტეტო კლინიკების საკითხის მოუგვარებლობით ახსნა და მოითხოვა მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა. აკადემიური საბჭო შეეცადა დაერწმუნებინა რექტორი, რომ მას გაეგრძელებინა მუშაობა და არ დაეთანხმა მის გადაწყვეტილებას. რექტორმა არ გაიზიარა საბჭოს მხარდაჭერა, წასვლის სხვა მიზეზი არ დაუსახელებია და განმეორებით, დაჟინებით მოითხოვა მისი განცხადების დაკმაყოფილება. საბჭომ მიიღო რექტორის აპარატის მაშინდელი უფროსის, ნ. კოპალიანის განმარტება წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილებით განსაზღვრულ რეგულაციაზე რექტორის მიერ უფლებამოსილების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, ვიცე-რექტორის მიერ ამ მოვალეობის განხორციელების წესის შესახებ. საბჭოს დადგენილება, რომელზეც ჩვენ, საბჭოს წევრები პასუხისმგებელნი ვართ, შემდეგნაირადაა ფორმულირებული: 1. შეუწყდეს უფლებამოსილება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორს, გიორგი მენაბდეს; 2. წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 25 ივლისის N.23/5 დადგენილების შესაბამისად, რექტორის მოვალეობის შესრულება დაევალოს ვიცე-რექტორს დავით ჭავჭანიძეს; 3. ეთხოვოს დ. ჭავჭანიძეს, მოიწვიოს აკადემიური საბჭოს რიგგარეშე სხდომა.

სატელევიზიო სიუჟეტში და ჟურნალის სტატიაში აღნიშნული იყო, რომ საბჭომ რექტორს ერთი თვით შეუჩერა უფლებამოსილება. ასეთი რეგულაცია კი უნივერსიტეტის წესდებით არ არის გათვალისწინებული. ეს წინადადება იყო წამოყენებული, მაგრამ ის ვერ იქნებოდა მიღებული. სტატიაშიც მენაბდე მოხსენიებულია, „როგორც უკვე გადამდგარი რექტორი“. ვფიქრობთ, გადაცემაში და სტატიაში იყო უნივერსიტეტის მართვის უმაღლესი ორგანოს – აკადემიური საბჭოს დისკრედიტაციის მცდელობა. მაყურებელს და მკითხველს გაუჩნდებოდა აზრი, რომ საბჭოს წევრები – პროფესორები იმდენად არაკომპეტენტურნი არიან, რომ ვერ გაიგეს, შეუწყდა თუ არა უფლებამოსილება რექტორს და ელოდნენ ერთი თვის შემდეგ საკითხის კვლავ განხილვას. თუმცა, 19 დღის შემდეგ, 30 მარტს ჩატარებულ აკადემიური საბჭოს მორიგ სხდომაზე, დღის წესრიგში (რომელიც, როგორც წესი, რამდენიმე დღით ადრეა ცნობილი საბჭოს წევრებისა და ადმინისტრაციისათვის) შეტანილ იქნა უნივერსიტეტის რექტორის რიგგარეშე არჩევნების დანიშვნის საკითხი, რომლის განხილვის დროსაც საბჭოს არც ერთ წევრს, მათ შორის – გადაცემაში გამოსულებსაც, არ დაუყენებია ყოფილი რექტორის უფლებამოსილების ხელახლა განხილვის საკითხი, ხოლო ოქმის „გაყალბების აღმომჩენი“, რექტორის აპარატის ყოფილი უფროსი ნ. კოპალიანი იმის ნაცვლად, რომ „გაყალბებული“ ოქმის გამო განგაში აეტეხა, აქტიურად იყო ჩართული რექტორის რიგგარეშე არჩევნების ჩატარების ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში. საერთოდაც, სატელევიზიო გადაცემაში საკმაოდ დიდი დრო დაეთმო ნ. კოპალიანის არაარგუმენტირებულ, სუბიექტურ მოსაზრებებს ზემოაღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით. გვინდა, აგრეთვე, შევეხოთ 30 ივნისს ჩატარებულ რექტორის რიგგარეშე არჩევნებს. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ის ჩატარდა კანონის სრული დაცვით, მშვიდ ვითარებაში, რექტორობის კანდიდატთა ნდობითაღჭურვილ პირთა ზედამხედველობით და საბჭოს წევრებზე ყოველგვარი ზეწოლის გარეშე. რექტორობის კონკურსში მონაწილეთა ასეთი რაოდენობა უპრეცედენტო იყო სამედიცინო უნივერსიტეტისთვის, ხოლო კანდიდატთა მიერ მიღებული ხმების რაოდენობა (22-დან 15 ხმა მიიღო ზურაბ ვადაჭკორიამ, 6 – ქეთევან გოგილაშვილმა-კიღურაძემ, 1 – რამაზ შენგელიამ, 0 – რევაზ თაბუკაშვილმა) არჩევნების კონკურენტულობაზე მიუთითებს.

ვიმედოვნებთ, რომ აღარ გამეორდება უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა პატივისა და ღირსების შემლახველი, მცდარი ინფორმაციის გავრცელება და უნივერსიტეტი მშვიდად გააგრძელებს სტუდენტთა სწავლებას, კვლევას და პრაქტიკულ საქმიანობას.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის
2009 წელს მოქმედი აკადემიური საბჭოს 16 წევრი

**პროფესორები:**

| | |
|---|---|
| რამაზ ჩიხლაძე | სამსონ მღებრიშვილი |
| ნიკოლოზ გონგაძე | ირინე კვაჭაძე |
| ალიოშა ბაკურიძე | რომან მახარაძე |
| პაატა თუშურაშვილი | გიორგი ქავთარაძე |
| მანანა ქუთელია | ირაკლი მჭედლიშვილი |
| იპოლიტე მონიავა | ნოდარ ლომიძე |
| მერაბ დვალი | ნინო ვეფხვაძე |
| თორნიკე ნოზაძე | თინათინ ბუკია |



## ქუთაისის საქალაქო სასამართლოში იმიტირებული სასამართლო პროცესი გაიმართა

ქუთაისის რაიონული პროკურატურის ორგანიზებით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში იმიტირებული სასამართლო პროცესი გაიმართა, რომელშიც ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებმა მიიღეს მონაწილეობა. ახალგაზრდები პრაქტიკულ უნარ-ჩვევებსა და თეორიულ საკითხებში მოქმედმა პროკურორებმა მოამზადეს.

ღონისძიების მიზანია, იმიტირებული სასამართლო პროცესების მეშვეობით მომავალი იურისტების პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება.

სპეციალურმა ჟიურიმ სტუდენტები შეაფასა შემდეგ ნომინაციებში: საუკეთესო შესავალი სიტყვა, საუკეთესო დასკვნითი სიტყვა, პირდაპირი დაკითხვა, ჯვარედინი დაკითხვა და ჟიურის სიმპათია.

გამარჯვებულ სტუდენტებს პროკურატურის სახელით სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ. მათ ასევე მიეცემათ შესაძლებლობა, 1 კვირის განმავლობაში ქუთაისის რაიონულ პროკურატურაში გაიარონ პრაქტიკა.

*„ინტერპრესნიუსი“*



## ოფიციალური თბილისი ეგვიპტეში მყოფ საქართველოს მოქალაქეებს სიფრთხილისკენ მოუწოდებს

საქართველოს საგარეო უწყება ეგვიპტეში მყოფ საქართველოს მოქალაქეებს სიფრთხილისკენ მოუწოდებს, — ამის შესახებ საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი. **„ბოლო დღეებში ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში მკვეთრად გამწვავებული ვითარებიდან გამომდინარე, რომლის შედეგადაც ქვეყანაში გაუარესდა უსაფრთხოება, ხოლო შეტაკებების შედეგად არიან დაღუპულები და დაშავებულები, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში საქართველოს საელჩო მიმართავს ეგვიპტის ტერიტორიაზე მყოფ საქართველოს მოქალაქეებს, განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინონ.**

**კერძოდ, ეგვიპტის კურორტებზე მყოფ საქართველოს მოქალაქეებს მუდმივი კონტაქტი უნდა ჰქონდეთ ტურ-ოპერატორებთან და არ უნდა დატოვონ დასასვენებელი ზონების ტერიტორია. საქართველოს მოქალაქეების გადაადგილება ეგვიპტის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის კაიროში, რეკომენდებულია მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში. საქართველოს მოქალაქეები განსაკუთრებით უნდა მოერიდონ დემონსტრაციებისა და მასობრივი თავშეყრის ადგილებს“,** — ნათქვამია განცხადებაში.

როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროში აღნიშნავენ, ეგვიპტეში მყოფ საქართველოს მოქალაქეებს, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლიათ დაუკავშირდნენ კაიროში საქართველოს საელჩოს, ცხელ ხაზზე: +2010 110 888 44.

*„ინტერპრესნიუსი“*

# „ივანიშვილი შევარდნაძის მიმდევარია და აბა, გამოცდებზე ფულის მიცემა არ იქნება?!“



## რეპორტაჟი საგამოცდო ცენტრიდან

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

**ერთიანი ეროვნული გამოცდები დაიწყო — აბიტურიენტებმა პირველი გამოცდა ქართულ წერაში ჩააბარეს... საგამოცდო ცენტრებთან გამოსაცდელთა გულშემატკივრების დიდი არმია დგას. იქვეა სასწრაფო დახმარებისა და სახანძროს ბრიგადები... თვალი ანაფორაში გამოწყობილ წვეროსან მამაკაცს მოვკარი — ტაბურეტზე, ბროშურებთან ერთად, „შესაწირი თასი“ უდევს, რომელიც 5 და 10-ლარიანებითაა სავსე.**
**— მამაო, რომელი ეკლესიის მოძღვარი ბრძანდებით? — ვეკითხები, თუმცა წვეროსანი ბრაზდება და უკმეხად მპასუხობს, ეკლესიაში იარე და ასეთი შეკითხვები აღარ გაგიჩნდებაო. აბიტურიენტებზე მეტად მშობლები ღელავენ — თაკარა მზის ქვეშ, ერთმანეთს შვილების სიბეჯითეზე ესაუბრებიან. თითქმის ყველას ერთი საწუხარი აქვს: წელს შვილი სტუდენტი რომ ვერ გახდეს, რეპეტიტორებისთვის ფულის გადახდას ველარ შესძლებს.**

— ჩემი შვილი თავს წიგნებს აკლავდა, თან საუკეთესო პედაგოგებთან დამყავდა და აუცილებლად მაღალი ქულები უნდა მიიღოს, — **ამტკიცებს ახალგაზრდა ქალბატონი.**

— უფასოზე რომ არ მოხვდეს, მამამისი ორივეს მოგვკლავს, იმხელა ფულს იხდიდა მომზადებაში, — **წუხს მარაოთი „შეიარაღებული“ ქერათმიანი,** — გაისად მეორე შვილია აბიტურიენტი და ეს ახლა რომ ჩაიჭრას, ორი აბიტურიენტის მომზადებას, ეხუმრები? თვეში 500 ლარს ვიხდიდი, თან — ნაცნობობით.

— ორი წლის სწავლის ფული გადაგიხდიათ მომზადებაში. აზრი არ აქვს, რეპეტიტორებთან ბავშვის ტარებას, სჯობს, ფული სასწავლებელში გადავიხადო — მეცოდინება მაინც, რომ სტუდენტია და ფულიც არ დამეკარგება, — **საუბარში შუახნის ქალბატონი ერთვება.**

— მეც ასე ვფიქრობდი, ქალბატონო, მაგრამ ჩემს ცოლშვილს ვერ შევაგნებინე. დაიჟინეს, რეპეტიტორი გვინდაო. ჩემს თაობას რეპეტიტორი არ ჰყოლია, მაგრამ უმაღლესში მაინც ვაბარებდით, — **შუახნის ქალბატონს კვერს უკრავს წითელლოყება მამაკაცი.**

— აბა, ერთი ისიც თქვი, რამდენი მიიტანა მამაშენმა „გეპეიში“, რომ სტუდენტი გამხდარიყავი, — **ლოყებწითელა მამაკაცს ცოლი ქოქოლას აყრის.**

— რა გინდა, ქალო, რას შემჭამეთ დედა-შვილმა?! მაშინ ასეთი დრო იყო — ტვინი რომ გადმოგსვლოდა, თუ პატრონი და პროტეჟე არ გყავდა, უმაღლესში არავინ მიგიღებდა.

— ჰოდა, ახლა ასეთი დროა — თუ ცოდნა არ გაქვს, ვერ გახდები სტუდენტი, — **შეეპასუხა ცოლი.**

— ისე, არ სჯობდა ის დრო? — 300-500 მანეთად სტუდენტი ხდებოდი. ახლა ფულიც რომ გქონდეს, თუ არ გაწამეს და თვალები არ დაგიბნელეს წიგნის კითხვით, სტუდენტი ვერ გახდები, — **ამბობს ზომაზე მეტად „დამაკიაჟებული“ ქალბატონი.**

— ესე იგი, ვისაც ფული არ ჰქონდა, ის ვერ სწავლობდა!

— ჰო, ასე იყო, ყოველ შემთხვევაში, პრესტიჟულ ფაკულტეტებზე ვერ მოხვდებოდა. მამაჩემმა, ქიმიის წერაზე ხუთიანი რომ მიმეღო, სამედიცინოზე 7 ათასი მანეთი მიიტანა, — **ისეთი სიამაყით ამბობს ზომაზე მეტად „დამაკიაჟებული“ ქალი, რომ მამამისმა თითქოს საკაცობრიო მნიშვნელობის გმირობა ჩაიდინა...**

**მშობლების მეორე ჯგუფს მივუახლოვდი — ესენიც „ჩაწყობაზე“ საუბრობენ. ყოველ შემთხვევაში, ერთი მანდილოსანი თავგამოდებით ამტკიცებს, რომ „ჩაწყობა“ ახლაც არის.**

— რა ჩაწყობა, ქალბატონო, ეგ არსად თქვათ, თორემ მაგაზე ციხეა!

— როგორ არ არის ჩაწყობა, აბა, დავიჯერო, ყველა სწავლობს?!

— სწავლობს კი არა, თავს აკლავენ წიგნებს... ისე, ჩემს შვილს შევპირდი, თუ მოხვდება, მანქანას ვუყიდი.

— დავიჯერო, ფული არ გაქვს გადახდილი?

— ქალბატონო, შევარდნაძის დრო წავიდა, რა დროს ფულის მიცემაა?!

— სააკაშვილის დროს რომ არ იყო, ვიცი, მაგრამ ივანიშვილი ხომ შევარდნაძის მიმდევარია და აბა, არ იქნება ფულის მიცემა?! — არ ცხრება „ჩაწყობების ლობისტი“ მანდილოსანი.

**სამსაათიანი ლოდინის შემდეგ, საგამოცდო ცენტრიდან რამდენიმე აბიტურიენტი გამოვიდა. მშობლებს შვილების ადრე გამოსვლა არ ესიამოვნათ.**

— ადრე რატომ გამოხვედი, ერთი საათი დრო ხომ კიდევ გაქვს? — **დატუქსა დედამ ქერათმიანი გოგონა.**

— დავწერე და იქ რაღა მეკეთებინა?!

— რა დაწერე, მიჩხაპნიდი რაღაცას და გამოიქეცი, მოგივლი მე შენ სახლში.

— პასუხები რომ გამოცხადდება, ხომ ნახავ, რომ ტყუილად მიწყრები? — **თავს იმართლებს გოგონა.**

— ერთი, მაღალი ქულა არ მიგიღია, იცოდე, თმას გაგაცლი, — **ემუქრება დედა გათანგულ ქალიშვილს...**
**„ვერსია“ რამდენიმე აბიტურიენტს გაესაუბრა.**

**მარიამ ნებიერიძე:** „ეკონომიკის ფაკულტეტზე ვაბარებ. გამოცდა რთული არ იყო...“

**ლიზა ქოიავა:** „საერთაშორისო ურთიერთობებზე ვაბარებ. რთული არა, მაგრამ ვერც იმას ვიტყვი, რომ ადვილი საკითხები იყო... მომზადებული ვიყავი და იმედი მაქვს, მაღალ ქულას დავიმსახურებ. წაკითხულის გააზრებაში ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი და გურამ დოჩანაშვილის „სამოსელი პირველი“ „მოვიდა“. არგუმენტირებულ ესეში ასეთი თემა იყო: „როგორ ეხმარება ტელევიზია ადამიანს მსოფლმხედველობის განვითარებაში“.

**ზაზა ტოროჯიშვილი:** „გამოცდა რთული არ იყო, თუმცა ტექსტის გააზრება რთული მომეჩვენა“.

**ქეთი ოხელაძე:**„ჯავახიშვილის უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ვაბარებ. წაკითხულის გააზრება ადვილად დავწერე, „სამოსელი პირველი“ იყო. არგუმენტირებული ესეს დაწერა კი ცოტა გამიჭირდა — არგუმენტების მოყვანა იყო საჭირო, რაც რთულია“.

**„ვერსია“ ყველა აბიტურიენტს წარმატებას უსურვებს!**

# სახელმწიფო ძვალი სვავი რექტორისთვის

## წერილი მეორე

გიგლა გოგეჩია




ჩემი ჟურნალისტური პრაქტიკის განმავლობაში ქრთამის აღების უამრავ ფორმასა თუ ფაქტზე წამიკითხავს ინფორმაცია. გამიგია, რომ მექრთამე ხელმძღვანელის მხრიდან თავისი თანამშრომლებისა და მათი ოჯახის წევრების მიმართ მაინც რაღაც დაუწერელი კანონი ყოველთვის მოქმედებდა, ამ კატეგორიის ადამიანებისთვის ყველგან გარკვეული შეღავათი არსებობდა, მაგრამ არა მერაბ ბერიძის კანტორაში. ჩემთვის მართლაც თავზარდამცემი ინფორმაცია შევიტყვე ახალციხეში: იმ უნივერსიტეტში, რომლის რექტორად მთელი 15 წელი იმუშავა მერაბ ბერიძემ და რომლის თავკაცობასაც ხელმეორედ აპირებს, მითხრეს, რომ 2000-იანი წლების დასაწყისში რექტორმა თავისი თანამშრომლის, პროფესორ შ.ზ-ს დის ოჯახს შვილიშვილის მოწყობაში ფული მოსთხოვა. შეღავათი – იკითხავს, ალბათ, მავანი. შეღავათი იყო, ოღონდ მხოლოდ „პოსლეზე". როცა მან თავისი გასაკეთებელი საქმე გააკეთა, რექტორმა იმ დროს მოითხოვა ფული, როცა თანამშრომელი პროფესორის ოჯახში გლოვა ჰქონდათ – მიცვალებული ესვენათ. „დაკრძალვა მაინც გედროვებინა, შე ულმერთოო, — ესლა შეუთვალეს გამწარებული ოჯახიდან რექტორს.

როგორი საქმეა?..

ფაქტი თავად შეაფასეთ, მაგრამ მას უცნაური გაგრძელება ჰქონდა. იმ პროფესორმა და მერაბ ბერიძემ რამდენიმე წლის შემდეგ როლები გაცვალეს – შ.ზ. რექტორი გახდა. ახალმა რექტორმა ძველი კოლეგა სამსახურში დატოვა, თუმცა, როგორც მითხრეს, ხანდახან მის მიმართ ნერვები ღალატობდა ხოლმე.

როგორც გითხარით, მე ეს ფაქტი ახალციხეში შევიტყვე. მერე თბილისში მოვიძიე ეს პროფესორი. ბატონმა შ.ზ-მ ყველაფერი დამიდასტურა და სასამართლოს ტრიბუნიდანაც იგივეს განმეორებას შემპირდა. მერე საუბარში არანაკლებ საინტერესო ფაქტი მოაყოლა: თურმე მისი სხვა ახლობლის გოგონამ ყველა საგამოცდო საგანში ხუთიანი მიიღო, მაგრამ მისი გვარი მერაბ ბერიძის არც ერთ „სპისოკში" არ აღმოჩნდა. რექტორის რეაქცია ასეთი იყო: დაიბარა გოგონას მშობლები და მათთან გასაუბრება ისურვა. რამდენჯერმე შეხვდა მათ და სანამ რამდენიმე ცალი 100-დოლარიანი არ „აახია", მანამდე ჩარიცხულთა სიაში არ შეიყვანა.

ჩემი გამოძიების პირველ წერილში იმ ორ მეთოდზე ვისაუბრე, რასაც მერაბ ბერიძე რექტორობის ჟამს იყენებდა – ფულის სახლში აღებას და ე.წ. აბიტურიენტთა „სპისოკებს". ზემოთ ორი ახალი მეთოდი შემოგთავაზეთ. სანამ მეხუთეზე გადავიდოდე, მინდა ისევ გავიმეორო ეს შეკითხვა – რა ვქნათ ახლა, ბატონო მერაბ, კიდევ გინდათ რექტორობა, თუ ჩაგაშენო „სურამის ციხეში" სხვა ფაქტებით?

იმედია ხვდები, რომ ჯერ კიდევ გაქვს დრო, საკუთარი ნებით თქვა უარი გარექტორების ოცნებაზე.

***

მერაბ ბერიძემ რექტორად მუშაობისას ფულის აღების კონვეივერული სისტემაც შეიმუშავა – აბიტურიენტების მომზადება. თანაც არა მთელი წლის მანძილზე, როგორც ეს 1980-90-იან წლებში ხდებოდა, არამედ მხოლოდ ბოლო ორი-სამი თვე. როგორც გავიგე, ცოლ-ქმარი ბერიძეები ყოველ წელს 40-დან – 60-მდე აბიტურიენტს ამზადებდნენ. მაშინ თბილისში საუკეთესო ლექტორებთან მომზადების საფასური 500-600 დოლარს არ აღემატებოდა. ბერიძეთა წყვილი თავიანთ გამორჩეულობას იმითაც უსვამდნენ ხაზს – რომ ორ-სამთვიან მომზადებაში იქაურ აბიტურიენტებთან 1200 დოლარს ფეხს არ უცვლიდნენ. ძალიან იშვიათი ყოფილა შემთხვევა, რომ ვინმეს ხათრით, 1000 დოლარზე დათანხმებულიყვნენ.

ახალციხეში ყველა აბიტურიენტის მშობელმა იცოდა, რომ მომზადება „უფალ რექტორთან" და მის თანამეცხედრესთან ერთგვარი გარანტია იყო. ისინი ბავშვებს ქართული ენის კაბინეტში ამზადებდნენ. გარდა ამისა, ცოლ-ქმარი წყვეტდა ერთ დელიკატურ საკითხსაც — თუ ვისთან გაეშვათ აბიტურიენტი დანარჩენ საგნებში მოსამზადებლად. როგორც მითხრეს, იქიდანაც წილს იღებდნენ, მაგრამ გულახდილად ვთქვა, ამის გადამოწმება საჭიროდ არ ჩამითვლია. ასევე, მოარული ხმებით ვიცი, რომ ყოფილა შემთხვევები, რექტორი ბერიძე წინდაწინ ეუბნებოდა თავის აბიტურიენტებს საგამოცდო საკითხებს და ამ საიდუმლოს გაუთქმელობის პირობას ბიბლიაზე დაფიცებით ართმევდა.

თუ ეს ასე იყო, მაშინ ჩემი ასოციაციაც დათა თუთაშხიას ფილმის ერთ-ერთ ეპიზოდთან, უპრიანი იქნება. გახსოვთ, ყადურის სცენაში თუთიყუშის გამყინავი ხმა — „კუპრში, კუპრში, კუპრში..."

### რექტორის დევიზი — კომისია თავად მე ვარ!!!

15 წლის მანძილზე მერაბ ბერიძე ყველაფერს თავის თარგზე ჭრიდა, თბილისში კი საეჭვოდ დუმდნენ. იცოდნენ, მაგრამ დუმდნენ...... მხოლოდ ერთი-ორჯერ მოინდომა ვილაცამ, რომ ახალციხეში რომელიმე საგანში მისაღები გამოცდა კომპეტენტურ კომისიას ჩაებარებინა. გადაწყდა, რომ იურიდიული ფაკულტეტით დაეწყოთ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან შერჩეული ორი ახალგაზრდა ლექტორი ახალციხეში დათქმულ დროს ჩავიდა. მათ მერაბ ბერიძის ნდობით აღჭურვილი პიროვნება კ.წ. შეხვდა. მან თბილისელ კოლეგებს პირდაპირ არა, მაგრამ გასაგებად მიანიშნა, რომ გამოცდები ფორმალური იქნებოდა — თქვენ მარტო შედეგებს დაადასტურებთო, რაზეც სტუმრებმა სასტიკი უარი განაცხადეს. კ.წ. უკან გაბრუნდა და თავის მამა-მარჩენალს ყველაფერი მოახსენა ჯიუტ სტუმრებზე. რაც შეეხება იმ ორ ლექტორს, ისინი ახალციხის უნივერსიტეტის პედაგოგთა საცხოვრებელ კორპუსში მივიდნენ ღამის გასათევად, მაგრამ იქ ისეთი მძიმე სიტუაცია დახვდათ, რომ ტაქსი იქირავეს და ბორჯომში ახლობელთან გაემგზავრნენ. თუმცა უმჯობესია, მოვუსმინოთ ამ ისტორიის ერთ-ერთ მონაწილეს – მის გვარსახელსაც ჯერჯერობით ინიციალებით ვწერ:

**გ.მ-ი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი:** „მეც და ჩემს მეგობარსაც დაგვრჩა შთაბეჭდილება, რომ გამოცდების შედეგები წინდაწინ იყო ცნობილი და ჩვენ მხოლოდ ხელმოწერით უნდა დაგვედასტურებინა იგი. ჩვენი უარის შემდეგ მერაბ ბერიძის მიერ გამოგზავნილი პირი უკან გაბრუნდა, ჩვენ კი უნივერსიტეტის ლექტორთა საცხოვრებელ კორპუსს მივაშურეთ, მაგრამ იქ საშინელი პირობები დაგვხვდა — არ იყო წყალი, შუქი, ირგვლივ კი შმორი და სიმყრალე სუფევდა. დღემდე მიკვირს იმათი, ვინც იქ წლები ცხოვრობდა და ამას რექტორს უთმენდა. მერე ჩვენ ვიქირავეთ ტაქსი და წავედით ბორჯომში. დილით იქიდან პირდაპირ ახალციხის უნივერსიტეტში მივედით, მაგრამ დაცვამ შიგნით არ შეგვიშვა. ვიფიქრეთ, რაღაც გაუგებრობა იყო და წყნარად ავუხსენით, ვინც ვიყავით და ვისთანაც მივდიოდით. სწორედ რექტორის ბრძანებაა, რომ თქვენ არ შემოგიშვათო.

მოვითხოვეთ კ.წ-ს ჩამოყვანა. ისიც მოვიდა და ასე განგვიცხადა — რექტორმა გადაწყვიტა, რომ გამოცდებს სხვა კომისია ჩაიბარებსო. ჩვენ გავაპროტესტეთ ეს ამბავი, მაგრამ არაფერი გამოვიდა. თბილისში საშინლად შეურაცხყოფილები გამოვბრუნდით და ყველაფერი წვრილად ვუამბეთ ბატონ გივი ინწკირველს. სასტიკად აღშფოთდა ბატონი გივი, სულ მუშტები აბრახუნა მაგიდაზე – ეგ თავხედი, სასტიკად უნდა დაისაჯოსო, მაგას სულ გაუვიდა თავსო, მაგრამ რა მოხდა მერე, ჩემთვის უცნობია".

***

ესეც მორიგი მეთოდი, ოღონდ მის სახელს მე ნუ მომთხოვთ. თუ ქვესათაურში გამოტანილი სლოგანი მოგწონთ, ასეც იყოს – „კომისია მე ვარ!" — ეს დევიზი ბერიძესთან ახლაც მოქმედებს. დაახლოებით ასე მოიქცა რექტორობის მოვალეობის შემსრულებელი იმ ახალი აკადემიური საბჭოს წევრების წინაშე, ვინც მის გარექტორებას უნდა მისცეს ხმა 3 ივლისს. ამიტომ აკადემიური საბჭოს წევრებს კიდევ ერთხელ მივმართავ პირდაპირ და გადაჭრით – გააცნობიერონ ეს ფაქტები. ფაქტები, რომელთაც ჩვენ პროკურატურას მალე წარვუდგენთ. მერაბ ბერიძისთვის ფარულად თუ ღიად მიცემული ხმა იქნება თანამონაწილეობა იმ სიბინძურეებისა და დანაშაულებრივი საქმიანობისა, რასაც იგი მთელი 15 წლის მანძილზე ეწეოდა რექტორის ამპლუაში. ალბათ დროა, ყველამ პერსონალურად გააცნობიეროს საკუთარ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობის აღების აუცილებლობა.

### „ცეხავიკი" რექტორის „რეისავიკი" ავტობუსი

ახალციხის უნივერსიტეტის პროფესურა ძირითადად თბილისიდან მიმოდის. ახლა მათ „მერსედესის" მარკის კომფორტული მიკროავტობუსი ემსახურება, მაგრამ მერაბ ბერიძის 15-წლიანი რექტორობისას პროფესორთა ჯგუფი თბილისიდან ახალციხეში დანჯღრეული პაზის ტიპის ავტობუსით დაჯაყჯაყებდა. პროფესორთა მორიდებულ მოთხოვნაზე ტრანსპორტის შეცვლასთან დაკავშირებით, ბერიძეს მუდმივად ერთი პასუხი ჰქონდა – სახსრები არაა, თორემ... თუმცა სახსრები იყო, მაგრამ მისი მართვა მთლიანად ბერიძის ხელში იყო მოქცეული. აკადემიური საბჭო და სხვა სამსახურები მტკნარი ფიქცია გახლდათ მისი რექტორობის ჟამს. იგი ერთპიროვნულად იღებდა გადაწყვეტილებას. ასე მოხდა მაშინ, როცა უნივერსიტეტის ანსამბლის გასტროლებზე გაშვება გადაწყვიტა. ამაშიც გვარიანად იხეირა. სამაგიეროდ, არავის უფიქრია, რომ არააუცილებელი საგასტროლო თანხები სხვაგვარად გამოეყენებინათ – თუნდაც პროფესურის საცხოვრებელი კორპუსის გასარემონტებლად. იმ გასტროლების პერიპეტიებს — ბერიძეთა წყვილის ქცევას, ახლაც სიცილხარხარში იხსენებენ ახალციხეში. ისიც ახსოვთ, როგორ აქცია საუნივერსიტეტო „იკარუსის" ავტობუსი „რეისავიკად". აბა, „ცეხავიკი" ბერიძე უფუნქციოდ როგორ დატოვებდა „იკარუსს", რომელსაც თურმე შორ რეისებშიც აგზავნიდა. შემოსული ფული, თავადაც ხვდებით, რომ უნივერსიტეტის ბიუჯეტში არ მიდიოდა. ისე, ახალციხეში ისიც იციან, ამ ვითომ საუნივერსიტეტო, სინამდვილეში კი საწილო „იკარუსთან" დაკავშირებით, როგორ მოუყვანა პროფესორმა ბერიძემ იქაური „შავები" ავტობუსის მეწილეებს, მაგრამ ეს უკვე სხვა კურიოზების თემაა მერაბ ბერიძის სრული პორტრეტისათვის. ასევე ცალკე თემაა მერაბ ბერიძის მიერ უნივერსიტეტისათვის საექსპერიმენტოდ გადაცემული მიწების მითვისების საკითხი სოფელ ღრელსა და ჭაჭარაკში. თავის სვავურ ბუნებას იგი ყველგან ავლენდა, მაგრამ სვავისგან განსხვავებით, ყველა „ძვალს" მოურიდებლად უშვებდა ყელში.

მაშინ მას საიმედო ხელი იფარავდა. როცა ეს „ხელი" ჩააჩოჩეს, ახალი გამოძებნა რესპუბლიკური პარტიის ლიდერების – თინათინ ხიდაშელისა და დავით ზურაბიშვილის სახით.

დღეს მას რეჟიმის მსხვერპლად მოაქვს თავი. არადა, არავინ ეუბნება, რომ თუ რეჟიმის მსხვერპლი იყო, იმავე სააკაშვილის რეჟიმმა როგორ დატოვა პატიმრობის შემდეგ სრულ პროფესორად? როგორ მოხდა, რომ ბოლო პერიოდის ერთ-ერთ რექტორს ნაცმაცუნების განათლების სამინისტროდან პირდაპირ მოთხოვეს მერაბ ბერიძის წარდგენა „ღირსების ორდენით" დაჯილდოებაზე.

ბერიძე ტიპური მედროვეა, ყვარყვარეს ასლია – შევარდნაძეს დროს ედიკას მზეს ფიცულობდა, სააკაშვილის ზეობისას მიშას და ვანოს მიიჩნევდა მამა-მარჩენლად და მადლობდა შვილების წარმატებით დასაქმებისათვის, მოვიდა ბიძინა ივანიშვილი და...

აქ კი უნდა გავჩერდე.

მერაბ ბერიძე ისეთივე მეოცნებეა, როგორც მე მაპუტუს მეფის თანამოაზრე. აქაც ერთ ფაქტს მოვიშველიებ: მას შემდეგ, რაც მერაბ ბერიძე დიდი ოდენობით ფულის გადახდის შემდეგ საპროცესო გარიგებით გათავისუფლდა, მან ჩვეულებრივ გააგრძელა სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა ახალციხის უნივერსიტეტში. ერთხელ ნაცებზე ვითომ გამწყრალმა ბერიძემ ნუგზარ პაპუაშვილის წიგნის პრეზენტაციაზე კბილებით დაიცვა ნაციონალური ხელისუფლება.

### ვინ დგას პროფესორ ბერიძის უკან

პირდაპირ მოვჭრი – ვინ და მისნაირი ურეიტინგო რესპუბლიკური პარტია, რომელსაც გონიერი საზოგადოება ნაცბანდის გაგრძელებად მიიჩნევს. „ქართული ოცნების" ხელისუფლებაში მოსვლიდან დღემდე, ერთადერთი რექტორი შეიცვალა საქართველოს საუნივერსიტეტო სივრცეში და ისიც ახალციხეში.

ასევე პირდაპირ ვიტყვი — რექტორობიდან გაუშვეს ქალბატონი თინა გელაშვილი, ძალიან კარგი ორგანიზატორი, შორსმხედველი რექტორი და მოიყვანეს კორუმპირებულობის მოსიარულე ფორმულა — მერაბ ბერიძე. როცა ქალბატონმა თინამ განცხადება არ დაწერა, ის სრულიად უმოტივოდ გაათავისუფლეს, მიუხედავად იმისა, რომ მის რექტორის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნაზე ხელს პრემიერ-მინისტრი აწერდა. მიზეზის გასარკვევად განათლების მინისტრთან — გიორგი მარგველაშვილთან მისული თინა გელაშვილი მინისტრის მოადგილე დავით ზურაბიშვილთან გადაამისამართეს.

*დასასრული მე-12 გვერდზე*

# დიდი ცემა-ტყეპა თბილისის საკრებულოში

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

**მერიისა და საკრებულოს თანამშრომელთა ხმაურიანი დაკავების შემდეგ, თბილისის საკრებულოს სხდომა ხმაურითა და მტყუან-მართლის გარჩევით დაიწყო...**




**ოპოზიციონერმა დეპუტატმა კახა კუკავამ ფინანსთა სამინისტროს მხრიდან დაკავების ფორმას არალეგიტიმური უწოდა:** „თბილისის განვითარების ფონდის საქმიანობა ბუნდოვანი იყო, თბილისის მერიაში კორუფცია ჰყვაოდა და ეს თანხები სააკაშვილისა და ნაციონალური მოძრაობის ფინანსურ კლანს ხმარდებოდა, თუმცა დაკავების ფორმა ლეგიტიმური არ იყო და სამართალდამცავებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ მნიშვნელობა ფორმასაც აქვს — დაკავება საპროცესო კოდექსის მკაცრი დაცვით უნდა მოხდეს“.

**კახა კუკავას განცხადებას საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ სამადაშვილი გამოეხმაურა და ოპოზიციონერ კოლეგას კვერი დაუკრა... მერე კუკავამ საკრებულოელ ნაციონალებს 26 მაისის სისხლიანი მოვლენები შეახსენა:** „რუსთაველზე სისხლის გუბეები იდგა, თქვენ კი ტაშ-ფანდური გამართეთ და წმინდა გიორგის მედლებს არიგებდით... 800 კაცი ვეყარეთ კინო „რუსთაველის“ სცენაზე. ხელბორკილები რომ აღარ ჰქონდათ, ელიავაზე ნაყიდი „ხამუთები“ გაგვიკეთეს და მაშინ რატომ არ გააკეთეთ კომენტარი, რომ ეს არასწორი იყო?! 7 საათი მეძებდა ოჯახი, არ იცოდა, ცოცხალი ვიყავ თუ მკვდარი. ის, რაც მერიის წარმომადგენელთა დაკავებისას მოხდა, პროცესუალური დარღვევა იყო, ის კი, რაც 26 მაისს მოხდა, უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში ყველაზე ავტორიტარულ ქვეყნებშიც არ მომხდარა. დიდი ამბავი, თუ მამუკა ახვლედიანი წაასეირნეს ნახევარი საათით. ამ ქვეყანაში ფაშიზმი იყო და ამ რეჟიმის აპოლოგეტები იყავით. დაკავებაზე მეც მაქვს პროტესტი და სხვა ოპოზიციონერ დეპუტატებსაც, მაგრამ ისიც გავიხსენოთ, თქვენი გუნდი რას აკეთებდა“.

**მტყუან-მართლის გარჩევის, ხმაურიანი კამათისა და ჟურნალისტების დარბაზიდან გასტუმრების შემდეგ, საკრებულოს დეპუტატები დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვას შეუდგნენ. ოპოზიციონერი დეპუტატები პირველი სამი საკითხის გადადებას ითხოვდნენ და აცხადებდნენ, რომ თბილისის საკრებულოს აპარატის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობის წესი და კონკურსის გამოცხადების წესი, ასევე, კანდიდატთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები სათანადოდ არ იყო მომზადებული, თუმცა უმრავლესობამ თავისი მაინც გაიტანა და წარმოდგენილი დღის წესრიგი დაამტკიცა, რასაც საკრებულოს წევრებს შორის წაკამათება მოჰყვა... დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი — „თბილისის საკრებულოს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ — 24 ხმით გავიდა. სხვათა შორის, ამ კენჭისყრის დროს, საკრებულოს ნაციონალი დეპუტატი და ფრაქციის თავმჯდომარე კოკი იონათამიშვილი დარბაზში არ იმყოფებოდა — საკრებულოს „რუხი კარდინალი“ ტელეკამერების წინ „პოზირებდა“. ამიტომ ტაბლოზე დაფიქსირებულმა 24-მა ხმამ ოპოზიცია აღაშფოთა და განაცხადა, საკითხი ჩავარდა, რადგან იონათამიშვილის მაგივრად, ხმა სხვამ მისცაო. უმრავლესობამ კი, ხელი ჩვეულ დემაგოგობას მიჰყო, ხმა სხვამ კი არა, კოკიმ მისცაო. უმცირესობის წევრმა ირაკლი შიხიაშვილმა ამონაწერი მოითხოვა, თუმცა უთხრეს, სხდომის დამთავრების შემდეგ მოგცემთო.**

**ხმაური ხელჩართულ ჩხუბში მესამე საკითხის განხილვისას გადაიზარდა — ახლადგაოპოზიციონერებული გელა ომანაძე ნაციონალი დეპუტატის პულტზე თითს აჭერდა. ამ დროს ხმის მიცემის აპარატურა გამორთული იყო და სიტყვით აპარატის უფროსი მარიკა დათუკიშვილი გამოდიოდა. ომანაძეს გაფრთხილება საკრებულოს მეორე „რუხმა კარდინალმა“, ნაციონალმა ნანა ბაბუნიძემ მისცა, რომელიც მთელი სხდომის განმავლობაში ოპოზიციონერი კოლეგების მიმართ რეპლიკებს არ იშურებდა და ამით თანაგუნდელების წინაშე კეკლუცობდა. ომანაძემ გამორთული აპარატურით თამაში გააგრძელა, რასაც გვერდით მჯდომი ნაციონალი ვახტანგ ნაცვლიშვილის მწვავე რეაქცია მოჰყვა... ბაბუნიძისა და ომანაძის კამათი, საბოლოოდ, ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა. მართალია, დაცვა უმალ იქ გაჩნდა, მაგრამ კოლეგების გაშველებისას აპარატის უფროს მარიკა დათუკიშვილს ყბაში ისეთი მოხვდა, რომ ნატკენ ადგილს, მთელი სხდომის განმავლობაში, ცივი ბოთლით იგრილებდა.**

**ვითარება რომ ჩაწყნარდა, საკრებულოს დეპუტატებმა კენჭი სადარბაზოებში აუდიო-ვიდეო სისტემების დამონტაჟების წესსა და ქუჩებისთვის სახელების გადარქმევა-დარქმევას უყარეს.**

**სხდომის დამთავრების შემდეგ, ირაკლი შიხიაშვილმა ზემოხსენებული დაპირებული ამონაწერი მოითხოვა და მართალი აღმოჩნდა — ამონაწერის მიხედვით, კოკი იონათამიშვილს პირველი საკითხისთვის ხმა იმ დროს აქვს მიცემული, როცა დარბაზში არ იმყოფებოდა. ამიტომ ირაკლი შიხიაშვილმა თამამად განაცხადა:** „დღეს ნაცმოძრაობამ თავისი ტყუილი ვერ გაიტანა. ჩვენი მოთხოვნა იყო, რომ ეს საკითხი ერთი კვირით გადაგვედო. ნაცმოძრაობას კი უნდოდა, დაჩქარებული წესითა და მკლავის გადაგრეხვით გაეტანა. ნაცმოძრაობას ქალაქ თბილისის საკრებულოში უზურპაციის საშუალება აღარ აქვს. ამიტომაც საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წესის საკითხი ჩავარდა“.

**საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ნაციონალმა თამაზ შოშიაშვილმა ეს დარღვევა ტექნიკურ ხარვეზს მიაწერა. უმრავლესობის წევრმა, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მამუკა ახვლედიანმაც აღიარა, რომ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის პრინციპების დამტკიცების წესის საკითხი ჩავარდა. მოგვიანებით, კოკი იონათამიშვილმაც განაცხადა, რომ საკითხისთვის მხარი არ დაუჭერია...**



# სახელმწიფო ქვალი სვავი რექტორისთვის



*მე-11 გვერდიდან*

რესპელმა დავით ზურაბიშვილმა გელაშვილს უცერემონიოდ განუცხადა – არა ვარ ვალდებული, აგიხსნათ, რატომ გაგათავისუფლეთო?

ასე ჩაიგდო მერაბ ბერიძემ საოცნებო დანიშვნის ფურცელი ხელში 2012 წლის 21 დეკემბერს. მეორე დღეს ეს ფურცელი აუფრიალა თინა გელაშვილს თვალწინ და სასწრაფოდ მოსთხოვა კაბინეტის დაცლა.

მე ვიცი, რომ მათ შორის შედგა კაცური საუბარი. არაფერი მეშლება – კაცური საუბარი. „შენ მაინც განწირული იყავი და სხვა რომ არ მოსულიყო, მე ვიბრძოლეო“, — გამოტყდა ბერიძე და „კაცურად“ მოიქცა — იმავე დღესვე დააცლევინა კაბინეტი. მე ვიცი, რომ ქალბატონი თინა გაჩერებას არ აპირებს და იგი თავის სიმართლეს დაიცავს. სულ რაღაც 10 დღეში, მერაბ ბერიძემ თავისი სვავური ბუნება ისევ გამოამჟღავნა – 355 დღე რექტორად ნამუშევარ ქალბატონს არ გამოუწერა კუთვნილი რექტორის პრემია. დანარჩენი თქვენ გამოიცანით – რექტორის მოვალეობის შემსრულებლის პოსტზე სულ რაღაც 10 დღის ნამუშევარ-ნაჯაფარმა ბერიძემ ეს ულუფა – პრემია საკუთარ თავს მიართვა.

როგორც წინა წერილში ვთქვი, ცალკეა გამოსაძიებელი ამ კორუფციაში ყელამდე ჩაფლული კაცის ყველა ბრძანებულება, რაც მან გამოსცა მოვალეობის შესრულების პერიოდში. ვნახოთ, რას იზამს განათლების სამინისტრო და, ცხადია, საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტი? დაუშვებენ კია, ისინი კვლავ ყველაზე კორუმპირებული რექტორის ხელახალ გარექტორებას?

**P.S. ჩემთვის მერაბ ბერიძის დანაშაულებრივი საქმიანობის გამოძიებამ, ადრე ჩაფიქრებული, მართლაც ერთი კაი საქმის თავმობმა მაიძულა.**

**საუბარია არასამთავრობო მედიაორგანიზაციაზე, რომელიც იტვირთებს მეტად უჩვეულო ფუნქციას – პროკურატურა-სასამართლოს კარამდე მიჰყვება ყველა მნიშვნელოვან ნეგატივს, რაც ქართულ მედიაში აისახება. გარკვეულწილად, ეს იქნება მედიის ერთგვარი მხარდაჭერაც და მონიტორინგიც...**

**მე, როგორც პრაქტიკოსს და თეორეტიკოს-პუბლიცისტს, მიმაჩნია, რომ მედიის ორგანიზატორული ფუნქციის წინ წამოწევით და მისი რეალური შესრულებით საზოგადოების გამოფხიზლებასაც შევუწყობთ ხელს და ქვეყნის განვითარებასაც. ჩემი იდეის შესახებ უკვე დავიწყე მოლაპარაკებები ბეჭდვური და სხვა მედიის ხელმძღვანელებთან. პრინციპული თანხმობა და მხარდაჭერა მიღებულია. ეს გამოძიებაც ამის დასტურია. ქალბატონი მაია ფურცელაძე და მისი გაზეთ „ვერსია“ უერთდება ჩემს იდეას. სხვებიც მზად არიან... ასე რომ, მალე შეხვედრამდე კორუმპირებულო გვამებო...**

**რაც შეეხება მექრთამე რექტორის პროტეჟე განათლების მინისტრის მოადგილეს – დავით ზურაბიშვილს, მე მას პირდაპირ ეთერში ვიწვევ მისთვის და ბერიძისათვის მისაღებ ნებისმიერ ტელევიზიაში. მზად ვარ, მათ იქ სხვა ფაქტებიც წარმოვუდგინო, ოღონდ ერთი პირობით: თუ მე გავმტყუნდი, ჩემი ფეხით წავალ პროკურატურაში, თუ არადა, მერაბ ბერიძე მოშორდეს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეს.**



# რატომ აღარ კითხულობენ ადამიანები წიგნებს

მანანა აბაშიძე

**პატრიარქმა მრევლს წიგნის კითხვისკენ მოუწოდა. მოწოდების კვალდაკვალ, წიგნის პოპულარიზაციისთვის ღონისძიებებიც გაიმართა... რატომ აღარ კითხულობს მოზარდი თაობა წიგნს ან თუ კითხულობს, ძალიან ცოტას? რამ გააჩინა ეს პრობლემა — იმან, რომ ბოლო 20 წელია, ქვეყანაში ეკონომიკური სიდუხჭირეა და მშობლებს, ლუკმა-პურისთვის ბრძოლაში, ამაზე ფიქრისთვის აღარ სცალიათ თუ იმან, რომ სკოლებში სწავლების დონემ ძალიან დაიწია? იქნებ, არ ვიცით და წიგნიერება-უწიგნურობის პრობლემა ჩვენს ქვეყანაში ყოველთვის იდგა?.. ამ და სხვა შეკითხვებზე „ვერსიას" ფსიქოლოგი თეა გოგოტიშვილი პასუხობს.**

— წიგნის სიყვარულით მაინცდამაინც არასოდეს გამოვირჩეოდით. შედარებისთვის, შეგვიძლია გავიხსენოთ მოსკოვის მეტროს მატარებელი, სადაც ფაბრიკა-ქარხნებისკენ მიმავალი რიგითი მოსკოველი მუშა თავაუღებლად კითხულობდა... საერთოდ, არც ერთი პრობლემა არ ჩნდება მხოლოდ ერთი მიზეზით... გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან, ერთი სოციალური ფორმაციიდან მეორეზე გადავდივართ და 23 წელია, ეს გადასვლა ვერაფრით დამთავრდა. ამ პროცესების ყველაზე მკვეთრი და ხილული ზღვარი 1989 წელი იყო. მას შემდეგ თაობები უმძიმეს დეპრესიულ ფონზე იზრდება და ეს მხოლოდ მატერიალური პრობლემები არაა. მოგეხსენებათ, ადამიანს ამ სამყაროში ფიზიკური არსებობის ფორმა აქვს, ანუ მატერიალური მხარეც მნიშვნელოვანია, ამიტომ ეს ფაქტორი უდავოდ გასათვალისწინებელია. სხვა საკითხია, რა მდგომარეობაშია ერი ამ მძიმე კრიზისის, სოციალური ფორმაციების ცვლილების ფონზე.

სოციალური განწყობის ანუ ანტროპო-თეორიაში პიროვნების განვითარების სამი დონეა. ინდივიდი, პიროვნების განვითარების ყველაზე დაბალი საფეხურია, რომლის ქცევის საფუძველი განწყობაა. ეს განწყობა პირველადი სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე — კვებასა და გამრავლებაზეა ორიენტირებული. განვითარების შედარებით მაღალი დონე შემეცნებით ინტერესს გულისხმობს და აქედან გამომდინარე, ინტელექტუალური განწყობებით მოქმედებას.

**— სინამდვილეში, წიგნის სიყვარულს საფუძვლად ხომ შემეცნებითი ინტერესი უდევს...**

— სწორედ ამას გიხსნით. პირველი, ანუ კვებასა და გამრავლებაზე ორიენტირებული განწყობაც თავის როლს თამაშობს, მაგრამ პიროვნული განვითარების უფრო მაღალ დონეზე მყოფი ადამიანი, ანუ ის, ვის ქცევაშიც პრევალირებს შემეცნების განწყობა, ცდილობს, პირველადი მოთხოვნილებებით განპირობებულ ქცევებს გასცდეს და უფრო ინტელექტუალურ აქტივობაზე იყოს მომართული.

**— უფრო გასაგებად თუ ვიტყვით, მშობელმა ბავშვს წიგნის სიყვარული უნდა ასწავლოს?**

— დიახ, სიყვარული და ასეთი ქცევისაკენ მიმართული შესაბამისი განწყობა უნდა შეუქმნას. მაგალითად, იმ ასაკში, როდესაც ბავშვი ჯერ კიდევ ვერ კითხულობს დამოუკიდებლად, მშობელმა შვილთან ერთად უნდა იკითხოს მისი ასაკის შესაბამისი წიგნი და ბავშვი მიეჩვევა, რომ წიგნის კითხვას დადებითი ემოცია მოაქვს. შემდგომში, როდესაც ანბანს ისწავლის და კითხვას დამოუკიდებლად დაიწყებს, მისთვის ეს პროცესი სიამოვნება იქნება და არა — ტანჯვა-წამება. ამის წყალობით, ბავშვი მხოლოდ ჭამა-სმასა და გართობაზე არ იქნება ორიენტირებული და მის ცხოვრებაში იქნება წიგნის კითხვის დისპოზიციური, ანუ ჩვევაში განმტკიცებული „შენახული" განწყობა, რომ წიგნის საშუალებით შეუძლია, დაიკმაყოფილოს შემეცნებითი ინტერესი.

**— არსებობს „ოქროს წესი", „ფორმულა", რომლის გამოყენებითაც მშობელს შეუძლია, შვილს კითხვის ინტერესი გაუჩინოს?**

— როდესაც ბავშვებს უჩნდებათ ინტერესი, რომ რაღაც შეიმეცნონ, ძალიან მნიშვნელოვანია, რა საშუალებით იკმაყოფილებენ ამ ინტერესს. დღეს ეს, უმთავრესად, კომპიუტერის საშუალებით ხდება. ყველამ კარგად ვიცით, რომ მოზარდი თაობა შესანიშნავად ფლობს კომპიუტერს და ხშირად მშობლებზე უკეთაც. ამას ისიც ემატება, რომ კომპიუტერი სასწავლო პროცესის ნაწილია. ამდენად, პირველივე კლასში ინფორმაციის მიღების საშუალება კომპიუტერია და არა — წიგნი. თუ ეს ტენდენცია გაგრძელდა და ბავშვები, კალმის ხელში აღების ნაცვლად, წერას პირდაპირ კლავიატურით დაიწყებენ, კალმის მოხმარების უნარი ნაკლებად განუვითარდებათ.

**კალმის გამოყენება პირდაპირაა დაკავშირებული თავის ტვინის მთელ რიგ ფუნქციებთან, რომლებიც სწორედ ამ მოძრაობის დროს ვითარდება. წიგნის კითხვას და ამ პროცესში მიმდინარე სააზროვნო პროცესსაც განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. ამიტომაცაა რეკომენდებული, რომ ბავშვებმა დაწყებით კლასებში კარგად ილუსტრირებული წიგნებით ისწავლონ და არა — კომპიუტერული თამაშებით.**

რა შეიძლება გააკეთონ მშობლებმა, რომ შვილს წიგნის კითხვის სიყვარული შთაუნერგონ? — პირველ რიგში, ეს უნდა იყოს მშობლისა და შვილის ერთობლივი აქტივობა, ანუ ერთად იკითხონ წიგნები. გარდა ამისა, აუცილებელია, რომ შედარებით მცირე მოცულობის ტექსტებს შესაბამისი ილუსტრაციები ერთვოდეს. ბავშვი ვერ აღიქვამს ტექსტს სმენით დიდი ხნის განმავლობაში და ინტერესი ეკარგება, ანუ ვერ ისწავლის წიგნის სიყვარულს, თუ შინაარსის შემეცნებაში ვიზუალური მასალა არ იქნა წამყვანი. ამ შემთხვევაში, საუბარი, ცხადია, სკოლამდელ ბავშვზეა.

**— ბავშვი, რომელიც კომპიუტერით მშვენივრად ოპერირებს, ვირტუალურ სივრცეში ინტერესს იკმაყოფილებს და წიგნის კითხვის სურვილი საერთოდ არ აქვს, როგორ მოვწყვიტოთ კომპიუტერს?**

— ბავშვი კომპიუტერში ინფორმაციას კი არა, თამაშებს, გართობის წყაროს ეძებს. კომპიუტერული თამაშების გარდა, მშობელმა შემეცნებითი შინაარსის გასართობი უნდა შესთავაზოს.

აღსანიშნავია, რომ წიგნთან ურთიერთობის უნარ-ჩვევების გამომუშავება ხდება 2-3 წლის ასაკიდან. სწორედ ამ პერიოდშია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, რომ მშობელს შვილთან ინტერაქტიული კომუნიკაცია ჰქონდეს. როდესაც ბავშვი ცოტა წამოიზრდება, მშობელმა უნდა იზრუნოს, რომ ასაკისთვის შესაფერისი ლიტერატურა მიაწოდოს...

არის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი — მშობლის პირადი მაგალითის მნიშვნელობა. თუ მშობელი თავად არ კითხულობს, ბავშვი წიგნისა და კითხვის სიყვარულს ვერ ისწავლის — მცირეწლოვანი ბავშვი მშობლის ქცევის მოდელირებას არაცნობიერად ახდენს და მას ბაძავს. ასე რომ, პირადი მაგალითის მნიშვნელობის გადაფასება, უბრალოდ, შეუძლებელია.

**— ბავშვები გასაგებია, მაგრამ როგორ უნდა გაუჩნდეს წიგნის კითხვის სურვილი ზრდასრულ ადამიანს?**

— ეს ძალიან რთულია და, პრინციპში, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ზრდასრული ადამიანი ისეთ მიკროსოციუმში მოხვდება, სადაც წიგნის კითხვა ძალიან დაფასებულია და მიხვდება, რომ წიგნის გარეშე, ამ სოციუმში წარმატებული ვერ გახდება...



# მოშიმშილე კინორეჟისორი ლევან ანჯაფარიძე ეროვნულ კინოცენტრს პროკურატურაში უჩივის?!

## „ეროვნული კინოცენტრი კრაზანების ბუდეა, კულტურის სამინისტროს თანამშრომელთა 99-% კი — მამალი ნაციონალი!"



ნათია ვასაძე
555-98-61-65

კინორეჟისორი ლევან ანჯაფარიძე, მეორე კვირაა, კულტურის სამინისტროს წინ შიმშილობს. პროტესტის უკიდურეს ფორმას რეჟისორმა მას შემდეგ მიმართა, რაც მისმა პროექტმა ეროვნული კინოცენტრის მიერ ჩატარებულ სრულმეტრაჟიანი ფილმების კონკურსში წელს უკვე მეოთხედ ვერ გაიმარჯვა.

რეჟისორს კულტურის სამინისტროს მიმართ რვაპუნქტიანი მოთხოვნა აქვს: 1) შეისწავლონ კინოცენტრის ჟიურის წევრების კომპეტენტურობა; 2) გათავისუფლდეს კინოცენტრი არაპროფესიონალი კადრებისგან; 3) გადაიხედოს კინოცენტრის კონკურსის შეფასების კრიტერიუმები; 4) საჯარო გახდეს მეორე ტურში გადასული ყველა ლიტერატურული სცენარი; 5) შესაბამისმა ორგანოებმა შეისწავლონ ეროვნული კინოცენტრის საქმიანობა; 6) გაბათილდეს სრულმეტრაჟიანი ფილმების კონკურსის შედეგი; 7) სახელმწიფო პრიორიტეტად მიჩნეული ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი პრიორიტეტული გახდეს ქართულ კინოში; 8) განისაზღვროს კინემატოგრაფის როლი სახალხო დიპლომატიის განვითარებაში.

ლევან ანჯაფარიძის საქმესთან დაკავშირებით, კულტურის სამინისტროში შიმშილობის დაწყებიდან მეორე დღესვე სხდომა გაიმართა, რომელსაც რეჟისორისა და კულტურის მინისტრის მოადგილის, მანანა ბერიკაშვილის გარდა, ეროვნული კინოცენტრის წარმომადგენლები და ჟიურის წევრებიც ესწრებოდნენ, თუმცა შეთანხმება ვერ შედგა და რეჟისორმა შიმშილობის შეწყვეტაზე უარი განაცხადა. ლევან ანჯაფარიძე ეჭვქვეშ აყენებს კონკურსის ჟიურის კომპეტენტურობას და ეროვნულ კინოცენტრში ინტერესთა კონფლიქტის არსებობაზე საუბრობს.

**„ჟიურის მხოლოდ სამი წევრი — ლანა ღოღობერიძე, არჩილ შუბაშვილი და კოტე ჯანდიერი აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რაც კინოექსპერტს უნდა ჰქონდეს. დანარჩენები კი მიკერძოებული არაპროფესიონალები არიან"**, — ამბობს ლევან ანჯაფარიძე.

შიმშილობის მერვე დღეს, რეჟისორმა კულტურის სამინისტროს წინ ბრიფინგი გამართა და საზოგადოებას ეროვნულ კინოცენტრში არსებული დარღვევები დაწვრილებით გააცნო. ანჯაფარიძემ ეს ბრალდებები, წერილობითი ფორმით მანანა ბერიკაშვილსაც წარუდგინა. მინისტრის მოადგილე რეჟისორს საქმის შესწავლას და პროცესებში იურისტების ჩართვას დაპირდა, საქმის მომდევნო განხილვამდე, 28 ივნისამდე კი შიმშილობის შეწყვეტა სთხოვა, რაზეც ანჯაფარიძემ კატეგორიული უარი განაცხადა და, ეროვნული კინოცენტრის ბოლო ოთხწლიანი საქმიანობის შესწავლის მოთხოვნით, სარჩელი თბილისის პროკურატურაში, ფინანსთა სამინისტროსა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურში შეიტანა. პარალელურად, ლევან ანჯაფარიძე ღია წერილით პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს მიმართავს და შექმნილ ვითარებაში გარკვევას სთხოვს.

**„მიმაჩნია, რომ მხოლოდ კულტურის სამინისტროზე დაყრდნობა არ შეიძლება, რადგან სამინისტრო და ეროვნული კინოცენტრი ერთმანეთს ამაგრებენ, ამიტომ მაქვს პირდაპირი მოთხოვნა პრემიერ-მინისტრის მისამართით: შეისწავლოს კინოცენტრში არსებული ვითარება და მიხედოს ქართული კინემატოგრაფს. საჭიროა, საფუძვლიანად იქნას გამოძიებული კინოცენტრის მუშაობის დანაშაულებრივი სქემა. ეროვნული კინოცენტრი კრაზანების ბუდეა, სადაც ადგილი აქვს ნიჭიერი ადამიანების დაბლოკვას, შერჩევით სამართალს, თანამდებობებისა და ჯილდოების ნაცნობ-მეგობრობით გადაცემას. ჩემი ამოცანაა, მოვანგრიო ეს საზიზღარი ბუდე, რათა რეალიზების საშუალება მიეცეთ ახალგაზრდა, ნიჭიერ რეჟისორებს"**, — აცხადებს ანჯაფარიძე.

28 ივნისს ლევან ანჯაფარიძეს კულტურის მინისტრი გურამ ოდიშარია შეხვდა, რომელიც ამ ხნის განმავლობაში სამუშაო ვიზიტით საქართველოს რეგიონებში იმყოფებოდა. მინისტრი რეჟისორის საქმის დეტალურად შესწავლას დაპირდა.

**„ლევან ანჯაფარიძემ ვრცელი წერილობითი საჩივარი წარმოადგინა, სადაც ეროვნულ კინოცენტრში არსებულ სერიოზულ დარღვევებზეა საუბარი. ამ დარღვევების შესასწავლად, კულტურის სამინისტრო დაუყოვნებლივ გამოყოფს შესაბამის კომისიას, რომელიც ათი დღის განმავლობაში, დეტალურად შეისწავლის კინოცენტრში არსებულ ვითარებას და მხოლოდ ამის შემდეგ დადებს საბოლოო დასკვნას. ამ დასკვნისა და კანონმდებლობის შესაბამისად, ჩვენი რეაგირებაც არ დააყოვნებს. მე, როგორც მინისტრი და როგორც ერთ-ერთი რიგითი მოქალაქე, ძალიან ვღელავ ბატონი ლევანის ჯანმრთელობაზე და ვთხოვ, ამ ათი დღის განმავლობაში შეწყვიტოს შიმშილობა და დაელოდოს კომისიის გადაწყვეტილებას"**, — განაცხადა ოდიშარიამ.

მინისტრის ამ დაპირების მიუხედავად, ანჯაფარიძე შიმშილობის შეწყვეტას არ აპირებს და აცხადებს, რომ ვერ ექნება სამართლიანი გადაწყვეტილების იმედი, რადგან კულტურის სამინისტროსა და ეროვნულ კინოცენტრში თანამდებობებზე კვლავ ნაციონალური ხელისუფლების წარმომადგენლები რჩებიან.

**„პირადად კულტურის მინისტრთან ან მის რომელიმე მოადგილესთან პრეტენზია არ მაქვს, მაგრამ ვერ ვენდობი იმ სამინისტროს, სადაც თანამშრომელთა 99% „მამალი ნაციონალია". როგორ ფიქრობთ, ისენი ლევან ანჯაფარიძეს ფილმის გადაღების საშუალებას მისცემენ?! ამიტომ გავაგრძელებ შიმშილობას, ვიდრე არ დავეცემი. ბოლო დროს, ჩემს პროტესტს არასწორი ფორმულირება მიეცა — თითქოს მხოლოდ ჩემი ფილმის დაფინანსებისთვის ვშიმშილობდე. არავითარ შემთხვევაში! საქმე ერთი რომელიმე ფილმის გადაღებას კი არა, ქართული კინოს გადარჩენას ეხება და მანამ არ გავჩერდები, სანამ ეროვნული კინოცენტრი ნაციონალური ხელისუფლების ნარჩენებისგან საბოლოოდ არ გათავისუფლდება"**, — აცხადებს ანჯაფარიძე.

1. ზამთრის XXI ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი
2. ფრედერიკ შოპენის მშობლიური ქვეყანა
3. რასელ კროუს კინოგმირი „გლადიატორში“
4. სახელმწიფო აზიაში
5. სიკვდილის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში
6. პოეტ ტერენტი კვირკველიას ფსევდონიმი
7. გერმანიის სამრეწველო რეგიონი
8. გიორგო-ბისთვე
9. პირველი ძაღლი, რომელიც გაშვებულ იქნა კოსმოსში
10. გარგან-ტუას ვაჟი ფრანსუა რაბლეს რომანში
11. სოფელი თუშეთში
12. იგივეა, რაც ზამბახი
13. შამპანური „... დიურსო“
14. რელიგიური მოძღვრება, სარწმუნოება
15. ესპანელი მწერალი და ფილოსოფოსი
16. ათოსის მსახური
17. ინდოელთა წმინდა ყვავილი
18. ტბა ჩრდილო ამერიკაში
19. ცხენის სხვადასხვაგვარი სვლა
20. ვაჭრების მეთაური „ვეფხისტყაოსანში“
21. მექსიკის საფეხბურთო კლუბი „კრუს ...“
22. კანადის დედაქალაქი
23. ქაღალდის გამოგონებამდე ხმარებული საწერი მასალა
24. ისრაელის წარმოების ავტომატი
25. ლეონარდო და ვინჩის მასწავლებელი
26. პირველი თურქი ნობელიანტი მწერალი
27. ხის ან ბუჩქის გამონაზარდი
28. ჯაყო ჯივაშვილის ეროვნება
29. ათენის საფეხბურთო კლუბი
30. სოფლის მეურნეობის სპეციალისტი
31. ქვეყანა ჩინეთსა და ინდოეთს შორის
32. ქალაქი ყაზახეთში
33. ქალაქი იტალიაში
34. გასეირნება ბავშვის ენაზე
35. სალაროს მუშაკი
36. მუსიკალური გამის VII ნოტი
37. მიუზიკლი მადონას მონაწილეობით
38. ენძელას „დაქალი“
39. თამაში სალტეებით და ჯოხებით
40. გემის ტვირთი
41. ბრიტანელი პოეტი
42. ციური სხეულების შემსწავლელი მეცნიერება
43. ბიბლიური პატრიარქი
44. უბედურების საერთაშორ. სიგნალი
45. მაღალხარისხოვანი წმინდა ქეჩა
46. კიმონოს შესაკრავი ქამარი
47. „კუკარაჩას“ პერსონაჟი ქალი
48. ფიდელ კასტროს ძმა
49. ე. წ. ტროპიკული ვაშლი
50. შვარცენეგერი ანუ „რკინის ...“
51. იგივეა, რაც მხედართმთავარი
52. სარწყავად გაყვანილი პატარა არხი
53. ძვ. ფრანგული ხურდა ფული
54. მტაც. ფრინველი
55. ჩასაბ. საკრავი
56. ოთახის დეკორატიული მცენარე
57. ლატვიის დედაქალაქი
58. ფაშისტთა საიდუმლო სახელმწიფო პოლიცია
59. ასტრონომიული კუთხე
60. დამარილებული და გამხმარი ხორცი
61. ფართობ. ერთეული, ჰექტრის მეასედი
62. მდინარე კანადაში
63. მდინარე საქართვ.
64. ხეობა კასპის რაიონში
65. ქვეყანა დასავლეთ ევროპაში
66. უგონო მდგომარეობა
67. სოფი ლორენის ნამდვილი გვარი
68. სოფელი ონის რაიონში
69. მიმართვა ინგლისელი მამაკაცისადმი
70. მოდების კატალოგი
71. უუფლებო ადამიანი
72. ძვ. ქართული წონის ერთეული
73. „მწუხარება სხვისა კეთილსა ზედა“ (საბა)
74. ფრანგი ფეხბურთელი ... კანტონა
75. მამაკაცის ვარცხნილობის ტიპი
76. ათასი მილიონი
77. სომალის დედაქალაქი





# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

**ადვილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 6 | 5 | 4 | 3 | 2 | 1 | 9 | 7 |
| 3 | 7 | 4 | 8 | 1 | 9 | 6 | 5 | 2 |
| 2 | 1 | 9 | 7 | 6 | 5 | 4 | 8 | 3 |
| 1 | 5 | 8 | 3 | 2 | 7 | 9 | 4 | 6 |
| 9 | 4 | 3 | 1 | 8 | 6 | 2 | 7 | 5 |
| 7 | 2 | 6 | 5 | 9 | 4 | 3 | 1 | 8 |
| 4 | 8 | 2 | 9 | 7 | 3 | 5 | 6 | 1 |
| 6 | 9 | 7 | 2 | 5 | 1 | 8 | 3 | 4 |
| 5 | 3 | 1 | 6 | 4 | 8 | 7 | 2 | 9 |

**სტანდარტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 5 | 1 | 9 | 8 | 7 | 6 | 4 | 3 |
| 9 | 4 | 3 | 6 | 2 | 5 | 8 | 7 | 1 |
| 8 | 7 | 6 | 4 | 3 | 1 | 9 | 5 | 2 |
| 1 | 3 | 5 | 8 | 7 | 9 | 4 | 2 | 6 |
| 7 | 2 | 4 | 1 | 6 | 3 | 5 | 9 | 8 |
| 6 | 9 | 8 | 2 | 5 | 4 | 3 | 1 | 7 |
| 5 | 1 | 2 | 3 | 9 | 8 | 7 | 6 | 4 |
| 4 | 8 | 9 | 7 | 1 | 6 | 2 | 3 | 5 |
| 3 | 6 | 7 | 5 | 4 | 2 | 1 | 8 | 9 |

**რთული**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 5 | 4 | 1 | 8 | 9 | 7 | 6 | 3 |
| 3 | 7 | 8 | 6 | 5 | 2 | 4 | 1 | 9 |
| 1 | 9 | 6 | 7 | 4 | 3 | 5 | 2 | 8 |
| 5 | 8 | 1 | 4 | 3 | 7 | 2 | 9 | 6 |
| 4 | 6 | 3 | 9 | 2 | 8 | 1 | 5 | 7 |
| 9 | 2 | 7 | 5 | 6 | 1 | 3 | 8 | 4 |
| 8 | 1 | 5 | 3 | 9 | 4 | 6 | 7 | 2 |
| 7 | 4 | 2 | 8 | 1 | 6 | 9 | 3 | 5 |
| 6 | 3 | 9 | 2 | 7 | 5 | 8 | 4 | 1 |

**ექსპერტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 7 | 8 | 3 | 6 | 5 | 1 | 4 | 2 |
| 6 | 3 | 2 | 9 | 4 | 1 | 5 | 8 | 7 |
| 5 | 1 | 4 | 8 | 2 | 7 | 9 | 6 | 3 |
| 2 | 6 | 3 | 7 | 8 | 9 | 4 | 5 | 1 |
| 1 | 9 | 7 | 6 | 5 | 4 | 2 | 3 | 8 |
| 4 | 8 | 5 | 2 | 1 | 3 | 7 | 9 | 6 |
| 3 | 5 | 6 | 1 | 9 | 2 | 8 | 7 | 4 |
| 8 | 4 | 1 | 5 | 7 | 6 | 3 | 2 | 9 |
| 7 | 2 | 9 | 4 | 3 | 8 | 6 | 1 | 5 |

**ადვილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 1 | 3 | 6 | 4 | 2 | 9 | 7 | 8 |
| 2 | 9 | 6 | 8 | 1 | 7 | 4 | 5 | 3 |
| 8 | 7 | 4 | 5 | 3 | 9 | 2 | 6 | 1 |
| 9 | 2 | 8 | 3 | 7 | 6 | 1 | 4 | 5 |
| 4 | 3 | 1 | 9 | 5 | 8 | 7 | 2 | 6 |
| 6 | 5 | 7 | 1 | 2 | 4 | 8 | 3 | 9 |
| 7 | 8 | 5 | 4 | 9 | 3 | 6 | 1 | 2 |
| 3 | 6 | 2 | 7 | 8 | 1 | 5 | 9 | 4 |
| 1 | 4 | 9 | 2 | 6 | 5 | 3 | 8 | 7 |

**სტანდარტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 7 | 5 | 9 | 4 | 8 | 3 | 2 | 1 |
| 4 | 9 | 8 | 2 | 1 | 3 | 6 | 5 | 7 |
| 2 | 3 | 1 | 7 | 6 | 5 | 4 | 9 | 8 |
| 5 | 8 | 3 | 6 | 2 | 4 | 1 | 7 | 9 |
| 7 | 4 | 9 | 3 | 8 | 1 | 5 | 6 | 2 |
| 1 | 2 | 6 | 5 | 9 | 7 | 8 | 4 | 3 |
| 3 | 6 | 4 | 1 | 7 | 2 | 9 | 8 | 5 |
| 9 | 1 | 2 | 8 | 5 | 6 | 7 | 3 | 4 |
| 8 | 5 | 7 | 4 | 3 | 9 | 2 | 1 | 6 |

**რთული**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 7 | 6 | 2 | 5 | 8 | 9 | 4 | 3 |
| 4 | 5 | 3 | 1 | 9 | 7 | 2 | 6 | 8 |
| 9 | 2 | 8 | 4 | 6 | 3 | 1 | 7 | 5 |
| 8 | 4 | 2 | 3 | 7 | 5 | 6 | 1 | 9 |
| 7 | 9 | 1 | 6 | 8 | 4 | 5 | 3 | 2 |
| 6 | 3 | 5 | 9 | 2 | 1 | 7 | 8 | 4 |
| 3 | 1 | 7 | 5 | 4 | 2 | 8 | 9 | 6 |
| 2 | 8 | 9 | 7 | 3 | 6 | 4 | 5 | 1 |
| 5 | 6 | 4 | 8 | 1 | 9 | 3 | 2 | 7 |

**ექსპერტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 9 | 6 | 5 | 2 | 1 | 4 | 8 | 7 |
| 5 | 1 | 4 | 9 | 8 | 7 | 3 | 6 | 2 |
| 2 | 8 | 7 | 3 | 4 | 6 | 1 | 9 | 5 |
| 1 | 6 | 3 | 2 | 9 | 5 | 8 | 7 | 4 |
| 4 | 5 | 2 | 1 | 7 | 8 | 9 | 3 | 6 |
| 9 | 7 | 8 | 6 | 3 | 4 | 5 | 2 | 1 |
| 8 | 4 | 1 | 7 | 6 | 3 | 2 | 5 | 9 |
| 7 | 3 | 9 | 4 | 5 | 2 | 6 | 1 | 8 |
| 6 | 2 | 5 | 8 | 1 | 9 | 7 | 4 | 3 |

მე-13 გვერდი: 1. ბოგდიხანი; 2. დრამერი; 3. ბანზაი; 4. გრენლანდია; 5. ირისი; 6. რეციდივისტი; 7. მენდელსონი; 8. „რამაიანა“; 9. ინა; 10. ანკერი; 11. „ირმისა“; 12. ალე; 13. ცუნამი; 14. ნიორი; 15. „ლაილაი“; 16. ლარი; 17. დუენია; 18. იმპროვიზაცია; 19. მნე; 20. ურო; 21. ლია; 22. დიახ; 23. „სონი“; 24. სიდრი; 25. ბია; 26. სინი; 27. ნო; 28. მარო; 29. აარე; 30. ატლანტიდა; 31. აისბერგი; 32. ოდა; 33. მერხი; 34. მდელო; 35. უელსი; 36. რადა; 37. კოლონტაი; 38. ბიორკი; 39. ქრიზანთემა; 40. ნატრიუმი; 41. გინეკოლოგი; 42. ათი; 43. სუი; 44. დეკალოგი; 45. ტროა; 46. ლიტერი; 47. აბაი; 48. ელ; 49. კიი; 50. დანია; 51. იარა; 52. ბეილი; 53. სლაი; 54. ანა; 55. სტეკა; 56. და; 57. სიო; 58. ანოა; 59. რონია; 60. ევა; 61. ითაკა; 62. საფრა; 63. არინა; 64. ნეკი; 65. ლილვი; 66. თათარიახნი; 67. ამინ; 68. იობი; 69. ხასა; 70. კორო; 71. ოინა; 72. კიკო; 73. ისლი; 74. ალი; 75. ამაო; 76. ასა; 77. ბუა; 78. ლიბო; 79. ბონსაი; 80. ბის; 81. უნია; 82. ნეოგეა; 83. ჯილა; 84. მაკი; 85. იენა; 86. აბი; 87. სე; 88. მის. სურათზე: ბოინგი.

მე-16 გვერდი: 1. კონტრაბასი; 2. სემირამიდა; 3. კაკაბი; 4. „ნესტლე“; 5. რაიონი; 6. ბრასი; 7. მამამთილი; 8. რენეგატი; 9. მაია; 10. ბრასი; 11. აკუსტიკა; 12. არტერია; 13. ალო; 14. სკლერა; 15. მუნდიალი; 16. ინარი; 17. ისიდორე; 18. ქსენოფობია; 19. ბალანსი; 20. აკადემია; 21. სუსანა; 22. ობამა; 23. კილერი; 24. მაგი; 25. ბრემ; 26. მეკვლე; 27. „მერანი“; 28. ქსენონი; 29. ნოდარი; 30. მექა; 31. კოტ; 32. ტარო; 33. იატაკი; 34. რევერსი; 35. კასიუს კლეი; 36. აპია; 37. ატიმია; 38. ფორე; 39. ია; 40. სარი; 41. პიკოლო; 42. იდო; 43. მაიკ; 44. „რაეო“; 45. ბინოკლი; 46. ახო; 47. ბუ; 48. ელო; 49. ავია; 50. ძუა; 51. ანა; 52. კოლო; 53. ემა; 54. ლანდო; 55. მახი; 56. აღუ; 57. ალოე; 58. პო; 59. ქიმი; 60. სტინგი; 61. კი; 62. ჰანოი; 63. ტაო.



# ჰოროსკოპი
## 1 ივლისი

**ვერძი** — ცვლილებები ძალიან კარგია, თუ ის ჩვენთვის სასიკეთოა. სხვათა შორის, დღეს სწორედ ასეთი სასიამოვნო ცვლილებები გელით. თანაც, დღეს ისეთი შეუპოვარი იქნებით, რომ თქვენს მოთხოვნებს დაუყოვნებლივ შეასრულებენ. უფრო მეტიც, ყველა თქვენს „დაკრულზე იცეკვებს".

**კურო** — შეეცადეთ, დღეს თავი აარიდოთ ახლობლებთან კამათს. დადგენილი წესებით იხელმძღვანელეთ, თუ არ გინდათ, უსიამოვნებაში გაეხვიოთ. საღამო ოჯახურ გარემოში გაატარეთ. მოუსმინეთ მშობლებს და მათი რჩევები სამომავლოდ გამოიყენეთ.

**ტყუპები** — დღეს მთელი თქვენი დიპლომატიური ნიჭის გამოვლენა მოგიწევთ, რადგან უამრავ ადამიანს შეხვდებით, მათ შორის ისეთებსაც, ვისაც დიდად გულზე არ ეხატებით. მშვიდი დღე საშუალებას მოგცემთ, ახლო მომავლის გეგმები დასახოთ. შესაძლოა, საინტერესო მივლინებაში გამგზავრების შანსიც გამოგიჩნდეთ.

**კირჩხიბი** — თავი შეიკავეთ ერთპიროვნული გადაწყვეტილებების მიღებისგან. საკუთარ იდეებზე აზრი ჰკითხეთ პარტნიორებსა და კოლეგებს, ეს სასურველი მიზნის მიღწევაში დაგეხმარებათ.

**ლომი** — დღეს თავში უამრავი კრეატიული აზრი მოგდით. შესაძლოა, უსიამოვნო საუბარი გქონდეთ უფროსთან. დღეს არ არის სასურველი მემკვიდრეობის საკითხის განხილვა, რადგან გარდა წყენისა და გაღიზიანებისა, არაფერს მიიღებთ.

**ქალწული** — მშვიდი და აუღელვებელი დღეა, თუმცა წინ სიურპრიზებიც გელით. სასიყვარულო ურთიერთობებში არჩევანის გაკეთება მოგიწევთ. დღის მეორე ნახევარი მეგობრების წრეში გაატარეთ ან დრო საკუთარ თავს დაუთმეთ და დაისვენეთ.

**სასწორი** — დღეს ერთბაშად მოიყრის თავს ყველა გადაუწყვეტელი პრობლემა. მათი მოგვარება კი უამრავ დროსა და ენერგიას წაგართმევთ. ასე რომ, არ გირჩევთ, ყველაფერს ერთდროულად შეეჭიდოთ. ნურც სერიოზული ცვლილებების განხორციელებას გადაწყვეტთ.

**ღრიანკალი** — დღეს ისეთი საინტერესო შეხვედრები გელით, თქვენს ცხოვრებაში მოწყენილობისა და ერთფეროვნების კვალიც კი აღარ დარჩება. გამოავლინეთ საკუთარი ნიჭი და გარშემომყოფები ამას აუცილებლად დააფასებენ.

**მშვილდოსანი** — კარიერაში თავბრუდამხვევი წინსვლა გელით. ეცადეთ, თავადაც იაქტიუროთ — განახორციელეთ ახალი პროექტები, დასახეთ ახალი მიზნები. დიდია ფინანსური მოგების ალბათობაც.

**თხის რქა** — დღეს დიდი სურვილი გაგიჩნდებათ, თავად მართოთ სიტუაცია და ადამიანებიც. ტაქტის გამოჩენა გმართებთ და ყველაფერი თავისთავად აეწყობა.

**მერწყული** — თქვენი პოტენციალის რეალიზებისთვის დღეს იდეალური პერიოდი დადგა. პირად ცხოვრებაში მცირე პრობლემებია მოსალოდნელი. თუ არ გსურთ, საყვარელ ადამიანს დაშორდეთ, ეცადეთ, მას გაუგოთ. მხოლოდ საკუთარი სურვილებით ნუ იმოქმედებთ.

**თევზები** — არავის არაფერს დაპირდეთ და არც დღის განრიგი შეადგინოთ, რადგან წინ ბევრი სიურპრიზი გელით. საღამო მეგობრებთან ერთად გაატარეთ. ნუ აჰყვებით ცდუნებას, არც თუ ისე ახლობელ ადამიანს გაანდოთ საიდუმლო, მით უმეტეს, თუ ის სხვას ეხება.



# როგორი ქალები მოსწონთ კაცებს?



ფსიქოლოგები ამბობენ, რომ განსხვავებული გემოვნების მიუხედავად, მამაკაცების უმრავლესობა ქალის თმის ფერზე ერთნაირად რეაგირებს. მაგალითად, ძლიერი სქესის უმეტესობა აცხადებს, რომ შავგვრემანი მანდილოსანი ყველაზე მიმზიდველი და სექსუალურია, ქერა თმა მხიარულებასა და ფლირტთან ასოცირდება, წითური თმა კი ტემპერამენტისა და ვნების გამოხატულებად მიაჩნიათ. მოკლედ, ქერა თუ შავგვრემანი? — ეს კითხვა დღემდე არ კარგავს აქტუალობას. ვენსმინსტერის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა ექსპერიმენტი ჩაატარეს. ბარში კაცებს ქერა გოგონები გააცნეს. ძლიერი სქესის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათი მოხიბვლა სულ ადვილად შეიძლებოდა. მოგვიანებით, იმავე გოგონებს პარიკები გაუკეთეს და მამაკაცებმაც შავთმიანი გოგონები ჭკვიანებად და ცოტა ამპარტავნებად მიიჩნიეს. აღმოჩნდა, რომ სტერეოტიპი, თითქოს მამაკაცები უპირატესობას ქერა მანდილოსნებს ანიჭებენ, მცდარია — იმ ქვეყნებშიც კი, სადაც ქერა და ცისფერთვალა ქალები ცხოვრობენ, კაცებს მაინც მუქთმიანი ქალბატონები მოსწონთ.

# გინება ტკივილს გაგიყუჩებთ





სწავლულები ნისლიანი ალბიონიდან ირწმუნებიან, რომ გინებას ტკივილის გაყუჩება შეუძლია. ის განსაკუთრებულ ეფექტს იმ ადამიანებზე ახდენს, რომელთა ლექსიკაშიც უცენზურო სიტყვები საერთოდ არ არსებობს. ამის დასამტკიცებლად მეცნიერებმა სპეციალური კვლევა ჩაატარეს, რომელშიც რამდენიმე ათეული ქალი და მამაკაცი მონაწილეობდა. ისინი ორ ჯგუფად დაყვეს — პირველში ისინი მოხვდნენ, ვინც არასოდეს იგინება, მეორეში კი ის მოხალისეები, ვინც დღეში 60-ჯერ მაინც ხმარობს უცენზურო სიტყვებს. მათი გამოცდა ყინულივით ცივ წყალში ხელების ჩაყოფა იყო მანამდე, ვიდრე ტკივილი გაუსაძლისი გახდებოდა. ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ საგინებელი სიტყვების გამოყენებით, პირველი ჯგუფის წევრებმა არა მხოლოდ 2,5 წუთით მეტხანს გაძლეს ცივ წყალში, არამედ ტკივილსაც ადვილად გაუმკლავდნენ. სწავლულები განმარტავენ, რომ ადამიანებს, რომლებიც ყოველდღიურად არ იგინებიან, უცენზურო სიტყვების წარმოთქმისთანავე, უაქტიურდებათ ემოციებსა და გრძნობებზე პასუხისმგებელი ტვინის უჯრედები. მათ კი, ვის ლექსიკაშიც გინება იშვიათობა არ არის, ეს უჯრედები ნაკლებად აქტიური აქვთ.



# ჰოროსკოპი
## 2 ივლისი

**ვერძი** — დღევანდელი დღე არ არის ხელსაყრელი უფროსებთან ურთიერთობისთვის. მშობლები თავისას გიმტკიცებენ, მათ დარწმუნებას აზრი არ აქვს. დღეს მატერიალური ხასიათის პრობლემები შეგაწუხებთ. დღის მეორე ნახევარში სტუმრების მისაღებად მოემზადეთ.

**კურო** — დღის დასაწყისი საკმაოდ წარმატებულია შემოქმედი ადამიანებისთვის. ოჯახურ ურთიერთობებში კი სრული ჰარმონია სუფევს. დღის მეორე ნახევარში ფრთხილად იყავით, დიდია ტრავმების ალბათობა.

**ტყუპები** — დღეს თუ საკმაო აქტიურობას გამოიჩენთ, წარმატება გელით ბიზნესში, შემოქმედებით საქმიანობასა და სასიყვარულო ურთიერთობებში. საღამოს მოსალოდნელია, ემოციური მდგომარეობა გაუარესდეს პატარა კონფლიქტის გამო, ამიტომ გირჩევთ, დრო შინ, ოჯახის წევრებთან ერთად გაატაროთ.

**კირჩხიბი** — თქვენი აქტიურობა დღეს მაქსიმუმს მიაღწევს. კარგი იქნება, თუ იმიჯს შეიცვლით. დღეს იზრდება საყვარელ ადამიანთან კონფლიქტის ალბათობა, ამიტომ სჯობს, თქვენი სიტყვები აკონტროლოთ.

**ლომი** — არახელსაყრელი დღეა ფინანსური ოპერაციებისთვის. საქმიან მოლაპარაკებებზე კომპრომისზე წასვლა მოგიწევთ. ერიდეთ დაძაბულ, კონფლიქტურ ვითარებას. შეეცადეთ, დღის მეორე ნახევარი მთლიანად საყვარელ ადამიანს დაუთმოთ.

**ქალწული** — დღეს მატერიალური ბაზის შექმნისა და გამყარებისთვის ხელსაყრელი პირობები გექმნებათ. დღეს სარფიან ხელშეკრულებას გააფორმებთ და იმაზე მეტის მოგების შესაძლებლობა გეძლევათ, ვიდრე გეგონათ. ნუ გაუშვებთ შანსს ხელიდან. მით უმეტეს, რომ ახლობლებიც შეძლებენ თქვენი შრომის შედეგის გამოყენებას.

**სასწორი** — უარი არ თქვათ რომანტიკულ თავგადასავალზე, ურთიერთობების გასარკვევად ეს დღე იდეალურია. კარიერაში წინსვლისთვის დღეს შემდგომ ნაბიჯებს ნუ გადადგამთ, შესაძლოა, პირიქით მოხდეს.

**ღრიანკალი** — დღე ეფექტურად ჩაივლის, თუ გამოავლენთ საკუთარ პოტენციალს საქმეში, რომელიც ფიზიკურ დატვირთვას მოითხოვს. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა, შესაძლოა, არასასხარბიელოდ დასრულდეს. ერთ-ერთი თქვენგანი დაშორების გადაწყვეტილებას მიიღებს.

**მშვილდოსანი** — ზოგი ნივთის ან ურთიერთობის აღდგენა შეუძლებელია, გახსოვდეთ ეს, ვიდრე სხვას გულსატკენთ ან რაიმე ნივთს დაამსხვრევთ. სჯობს, დღეს ყველა საქმე გვერდით გადადოთ და მთელი დღე საყვარელ ადამიანთან ერთად გაატაროთ.

**თხის რქა** — დღეს სამსახურში წარმატება გელით. გამოიყენეთ თქვენი შესაძლებლობების მაქსიმუმი და ყველას დაუმტკიცებთ, რომ გამორჩეული ადამიანი ხართ.

**მერწყული** — თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი პერიოდი დადგა. ერიდეთ კონფლიქტებს და დღეც საკმაოდ წარმატებულად ჩაივლის. იდეალური დროა პირადი ცხოვრების ასაწყობად.

**თევზები** — დღეს საკმაოდ ენერგიული დღე გელით, ისეთი საქმეები მოგვარდება, რასაც დიდი ხანია ვერ ახერხებდით და მიგავიწყდათ კიდეც. საშუალება მოგეცემათ, ყველაზე რთული საკითხები მარტივად გადაწყვიტოთ. საღამოს იმდენი ენერგია კიდევ შეგრჩებათ, რომ მეგობრებთან ერთად დრო მხიარულად გაატაროთ.







## ფოთის სანაპირო დაცვის ბაზას ნატო-ს ევროპის გაერთიანებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი ეწვია



30 ივნისს ფოთის სანაპირო დაცვის ბაზას ნატო-ს ევროპის გაერთიანებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის მოადგილე სერ რიჩარდ შირეფი ეწვია, სადაც შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ვახტანგ გომელაურს, სასაზღვრო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორ კობა ბოჭორიშვილს და სასაზღვრო პოლიციის სხვა მაღალ თანამდებობის პირებს შეხვდა. რიჩარდ შირეფი ადგილზე გაეცნო სასაზღვრო სფეროში გატარებულ რეფორმებს და ფოთის სანაპირო დაცვის ბაზა დაათვალიერა. შეხვედრის შემდეგ უმაღლესი მთავარსარდლის მოადგილე სანაპირო დაცვის კატარღით საქართველოს ტერიტორიულ წყლებში გაიყვანეს, სადაც რიჩარდ შირეფი სანაპირო დაცვის ეკიპაჟების მიერ ზღვაზე გამართულ საჩვენებელ ვარჯიშს დაესწრო.

შსს-ს სანაპირო დაცვის დეპარტამენტი ხმელთაშუა ზღვაში ნატო-ს ანტიტერორისტულ ოპერაციაში — „აქტიური ძალისხმევა“ ინფორმაციის გაცვლის გზით მონაწილეობს. წლის ბოლოსათვის სამინისტრო გეგმავს ნატო-ს საზღვაო სარდლობაში, რომელიც განთავსებულია დიდ ბრიტანეთში, ქალაქ ნორფვუდში, მიავლინოს მეკავშირე ოფიცერი.

***„ვერსიანიუსი“***







ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია,
დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.